პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით:

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უწინ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეძვირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენელი ინგლისში ამხ. ხინჩუკი გაემგზავრა ლონდონში.
— ბერლინიდან მოსკოვში დაბრუნდა საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაცია.
— ფრანგი რეფორმისტები დასთანხმდნენ შრომის ხელფასის შემცირებაზე ნახშირის მრეწველობაში.
— ლატვიაში სამხედრო-საველე სასამართლოს გადასცეს 2 ს.-დ. და 2 კომუნისტი.
— აჯანყება მაროკოში ფართოვდება.
— პრაღაში ჩავიდა რუსი მწერალი ლ. სეიფულინა.

ოთხშაბათი, 6 აპრილი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 76 (1831)

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობა

გუშინ თბილისში გაიხსნა ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეოთხე ყრილობა, რომელიც განიხილავს სამ ძმურ რესპუბლიკათა სოციალისტური მშენებლობის მთელ რიგ საჭირბოროტო საკითხებს.

მეექვსე წელია არსებობს ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია და ამ ხნის განმავლობაში, რაც დრო გადის, ჩვენ მით უფრო ვრწმუნდებით რამდენად მიუცილებელია კავკასიის ქედ-გადმოღმა მდებარე საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიულად შეკავშირება ამიერ-კავკასიის მშრომელი მასების სასიცოცხლო ინტერესების უზრუნველსაყოფად და სოციალისტური რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებისათვის.

ამიერ-კავკასია განსაკუთრებით გაირჩევა თავისი ბუნებრივი სიმდიდრით. თუ ეს უდიდესი სიმდიდრენი დღემდი უქმად და თითქმის ხელ-უხლებელნი ეყენენ, თუ ამიერ-კავკასიის მშრომელთა მასების შემოქმედებითი ძალა დღემდი უჩინარი იყო, ამას ჰქონდა თავისი ისტორიული და სოციალური მიზეზები, რომელთა აღმოსაფხვრელად, არსებობდა მხოლოდ ერთად ერთი საშუალება. ეს იყო ამიერ-კავკასიის ხალხების ტერიტორიაზე გამარჯვებულ მუშებისა და გლეხების დროშის აფრიალება, საბჭოთა წყობილების დამყარება. მეექვსე წელია არსებობს ამიერ-კავკასიის ფედერაცია, კიდევ უფრო მეტი საბჭოთა ასაკისაა მის ფარგლებში შემავალ ცალკე რესპუბლიკები. ამ ხნის განმავლობაში ერთი თოფიც არ გავარდნილა სომეხ-თათარ-ქართველთა შორის, ერთი წვეთი სისხლიც არ დაღვრილა ეროვნულ შუღლის ნიადაგზე.

ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ეროვნულ საკითხის გადაჭრა წარმოუდგენელია საბჭოთა ხელისუფლების გარეშე. განსაკუთრებით საგულისხმოა ის უაღრესად დადებითი ფაქტი, რომ ეროვნულ ურთიერთობის გამწვავების საკითხი ერთხელაც კი არ დასმულა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ხელმძღვანელ ორგანოების დღის წესრიგში. მუსავატ-მენშევიკ-დაშნაკელების შოვინისტური გესლი, რომელიც სწამლავდა მათი ბატონობის ხანაში ამიერ-კავკასიის ჰაერს, დღეს იმდენათ გაქარწყლებულია, რომ ამიერ-კავკასიის მშრომელ ხალხებს ფართო შესაძლებლობა ეძლევათ, ხელი-ხელ ჩაკიდებული, საბჭოთა კავშირის დანარჩენ მოძმე რესპუბლიკებთან ერთად მტკიცედ გასწიონ წინ, დიდ ოქტომბერში დასახული გზით.

უდაო ფაქტია, რომ ამ რამდენიმე წლის განმავლობაში, რაც ამიერ-კავკასიაში ძალა-უფლება მუშებისა და გლეხების ხელშია, ამიერ-კავკასიის ფედერაციამ მოიპოვა მთელი რიგი გამარჯვებანი სამეურნეო და კულტურულ დარგში. და ეს მიუხედავათ იმისა, რომ ამავე დროის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებას უხდებოდა სომხურ-ქართულ-თათრულ ნაციონალისტურ პარტიების უპასუხისმგებლო ბრძანებლობის დროს დანგრეულ და გაპარტახებულ მხარის აღდგენაზე ზრუნვაც. კერძოთ ჩვენი, საბჭოთა რესპუბლიკის დაუფასებელი საუნჯე და სიამაყე ბაქოს ნავთის მრეწველობა არასოდეს ისეთ სიმაღლემდე არ ყოფილა აყვანილი, როგორზედაც ის დღეს არის. გარდა ამისა ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ ამიერ-კავკასიის მთელ ფედერაციაში ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა. ელექტროფიკაციის საქმეს მტკიცე საძირკველი ეყრება. ამრიგათ ამიერ-კავკასია მტკიცეთ მიდის წინ ინდუსტრიალიზაციის გზით.

დიდი ყურადღება ექცევა სოფლის-მეურნეობის გაუმჯობესებასაც. ამ ექვსიოდე წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის მრავალ სოფლებმა პირველად იხილა ტრაქტორი, და ახალი სარწყავი არხები. სახელმწიფო დახმარებას უწევს გლეხობას ფულადი კრედიტით, ტყით, თესლის მიწოდებით, სასოფლო-სამეურნეო სკოლების აგებით და სხვა. მიღწევები ამ ხნის განმავლობაში სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში და კულტურულ ფრონტზე იმდენად დიდი და თვალსაჩინოა, რომ მათ ვერ უარყოფენ საბჭოთა ხელისუფლების მოსისხლე მტრებიც კი.

მაგრამ ჩვენ ამით ვერ დავკმაყოფილდებით. სოციალისტური მშენებლობის საქმე ეხლა იშლება ამიერ-კავკასიაში, მშრომელი ხალხის შემოქმედებითი ძალა ეხლა იწყებს თავის ამოუწურავ გიგანტიურ ენერგიით წინსვლას. ამიერ-კავკასიას მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად ბრწყინვალე მომავალი აქვს, რომლის მიღწევამდეც ჩვენ კიდევ დიდი ბრძოლა და შრომა დაგვჭირდება.

დაე, ისისინონ და ანთხიონ შხამი საბჭოთა ხელისუფლების მტრებმა და ორგულებმა, დაე, შეთხზან ამიერ-კავკასიის მუშებისა და გლეხების დასამორჩილებელი გეგმები ბურჟუაზიულ მთავრობების კალთას თავშეფარებულ ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციონერებმა, ჩვენი ფედერაცია, რომელსაც საფუძვლად უდევს საბჭოთა ჩაქუჩით ნაკვერი ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური კავშირი, ყოველთვის შესძლებს ღირსეული პასუხი გასცეს შინაურ და გარეშე მტრების იერიშებს.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეოთხე ყრილობა ჯამს გაუკეთებს უკვე არსებულ მიღწევებს და დასახავს გზებს მომავალ სიძნელეთა გადასალახავათ. მისი დღის წესრიგი უაღრესად პრაქტიკულ და საჭირბოროტო კითხვებისაგან შესდგება. ეს ერთხელ კიდევ იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ ფეხი შევდგით ფართე სოციალისტურ აღმშენებლობის გზაზე და ამიერ-კავკასიის უზენაეს სახელმწიფოებრივ ორგანოს, საბჭოთა მეოთხე ყრილობის ხელმძღვანელობით მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად ბეჯითი ნაბიჯით მივდივართ წინ ამ გზით.

ინგლისელები ჩინეთში

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ინგლისის დიპლომატია სწორედ ეხლა იკრებს ყველა ძალებს და იყენებს ყველა საშუალებას, რომ მიაღწიოს იმ შედეგს, რომელიც ასე ახლო მისაწვდომი ჰგონია და რომელსაც ვერ იქნა და ვერ ეღირსა.

უკვე მზად არის ულტიმატუმი კანტონის მთავრობისადმი. უკვე გამორკვეულია, თუ რა მოთხოვნილებები იქნება წარდგენილი, და უკვე გათვალისწინებულია ზეგავლენის ზომები იმ შემთხვევისათვის, თუ კანტონელები არ დაემორჩილებიან ულტიმატუმს. „დეილი ტელეგრაფი"-ს დიპლომატიური კორესპონდენტის აზრით, თანამედროვე საზღვაო და საჰაერო შეიარაღების პირობებში, დიდი თავის ტეხა არ დასჭირდება ფიქრს იმაზე, თუ რა ხასიათი ექნებათ ასეთ ზომებს. უკვე მთელს პრესას მოედო ცნობა, რომ შეთანხმდენ ინგლისის, ამერიკის და იაპონიის ელჩები. მაგრამ ჯერ კიდევ ლონდონში საბოლოოდ არ არის მიღებული არც იაპონიისა და არც შეერთებული შტატების თანხმობა არც პეკინელ ელჩების წინადადებაზე და არც ამ წინადადებების განხორციელების მეთოდებზე.

ინგლისის პრესის ზეიმმა იმის გამო, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოების ფრონტი ჩინეთში შესამჩნევად იწყებს წელში გამართვას, რამოდენიმედ გაუსწრო წინ ამბების ნამდვილ მსვლელობას.

შეერთებული შტატების პოლიტიკა მაინც განაგრძობს საშუალო ხაზის ძებნას ამერიკის იმ საქმიან ხალხის მოთხოვნილებებსა—რომლებიც სცხოვრობენ ჩინეთის ტერიტორიაზე, და სავსებით აქვთ შეთვისებული ინგლისის თვალსაზრისი „ცივილიზაციის დაცვაზე ყვითელ ბარბაროსებისაგან", და ამერიკის იმ მრეწველ-ექსპორტიორების მოთხოვნილებებს შორის, რომლებიც ხელსაყრელად სთვლიან ჩინეთის მეგობარის როლის თამაშს.

ამ თვალსაზრისების შეუთანხმებლობა თვალსაჩინოთ გამოააშკარავა შანხაის მუნიციპალურ საბჭოს თავმჯდომარემ ამერიკელმა ფესსენდენმა, რომელიც საუბარში „იუნაიტედ პრესის" კორესპონდენტთან ბრალს სდებდა ამერიკელ კაპიტალისტებს იმაში, რომ ისინი სცდილობენ „შეურიგდენ კანტონს სავაჭრო მოგების იმედით მომავალში და გვერდს უვლიან ჩინეთში მცხოვრებ ამერიკელ მოქალაქეთა უშუალო ინტერესებს".

სამაგიეროთ ამ უშუალო ინტერესებისათვის ასე იოლად გვერდის ავლას ვერ ურიგდებიან ამერიკის სამხედრო წრეების წარმომადგენლები. ჩინეთის წყლებში მონავარდე ამირბარები და ამერიკის ელჩი მაკ-მურეი, რომლებიც ყველა საშუალებებს მიმართავენ პროვოკაციული ხმების გასავრცელებლად და იძლევიან ისეთ პროვოკაციულ განკარგულებებს, როგორც, მაგალითად, განკარგულება ყველა ამერიკელთა ევაკუაციის შესახებ ჩინეთიდან.

ვაშინგტონის მთავრობა ვერ ბედავს აშკარად დაჰგმოს თავისი აგენტების საქციელი, ან გადადგას ნაბიჯი, რომელსაც მას ურჩევენ. კულიჯი კმაყოფილდება იმით, რომ ყოველ გზაჯვარედინზე ააშკარავებს თავის უარყოფით შეხედულებას სახელმწიფოთა შეთანხმებულ გამოსვლისადმი ჩინეთში, ავრცელებს საიდუმლო ცნობებს, რომელშიაც ყრუდ ლაპარაკობს „ინტრიგებზე კრიზისის დაჩქარებისა და მასში შეერთებული შტატების ჩარევის მიზნით" და, აგრეთვე იმის შესახებ, რომ თითქოს ამერიკელ წარმომადგენლებს ჩინეთში მიეცათ ინსტრუქცია შესწყვიტონ დაჰპყრობითი პოლიტიკა და პროვოკაციული პროპაგანდა.

ინგლისი იძულებულია ყველა ეს ლამაზი „ქათინაურები" ინტრიგები, პროვოკაცია და ცდა შეერთებული შტატების ჩარევისა ჩინეთის საწინააღმდეგო ომში, შეუშვას ერთ ყურში და გაუშვას მეორეში. ეხლა ისეთი მომენტი არ არის, რომ შეიძლებოდეს ყურადღების მიპყრობა ზრდილობიან მოქცევაზე. დაე, რაც უნდათ ის ილაპარაკონ, ოღონდ საქმით ჩვენთან ერთად იარონ.—ასეთია ამჟამად ინგლისელ იმპერიალისტების ლოზუნგი.

მაგრამ ასე ადვილი არ არის ამ გეგმის მთლიანად განხორციელება. შეერთებული შტატები და იაპონია ჯერ კიდევ სავსეა ეჭვებით, რაც შეეხება საფრანგეთს, უნდა ითქვას, რომ მის პოზიციას შეუძლია ძილი დაუფრთხოს ცივილიზაციის მოციქულებს და ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს. საპარლამენტო კომისიის შეკითხვაზე ბრიანმა განაცხადა: „საფრანგეთის მდგომარეობა ჩინეთში მშვენიერია". ის ბედნიერად სთვლის თავს, რომ საფრანგეთს წილი არ უდევს ნანკინის მოსახლეობის დახვრეტაში.

„იუმანიტეს" უფრო ვრცელი ანგარიშის თანახმად, ბრიანმა განაცხადა, რომ „მისი ცნობებით, ნაციონალურმა ჯარებმა ყველგან დაამტკიცეს წესრიგის დაცვის უნარიანობა. მათ უზრუნველჰყვეს უცხოელთა დაცვა. ორ ფრანგ მისიონერის სიკვდილი წარმოადგენს მათი უგუნურობის შედეგს, რადგან ისინი არ დაემორჩილენ ბრძანებას დაეტოვებიათ საომარი მოქმედების ზონა".

ასე ასურათებს ნანკინის ამბებს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელსაც ვერ დავწამებთ განსაკუთრებულ სიმპატიებს არა თუ კომუნისტების მიმართ, არამედ გომინდანის მიმართაც.

დაე, ბრიანმაც უარჰყოს თავისი განცხადებები იმ სახით, როგორც ეს იყო მოთავსებული „იუმანიტე"-ში, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება.

საფრანგეთის კაპიტალი დღევანდელ პირობებში თავისთვის უფრო ხელსაყრელად სთვლის მოქმედების თავისუფლების შენარჩუნებას. საფრანგეთის ექსპორტიორები, ჯამს უკეთებენ რა თავის ოპერაციებს ჩინეთში, კმაყოფილებით ადასტურებენ იმას, რომ საფრანგეთის ნიშანი საქონლის ყუთებზე წარმოადგენს საუკეთესო გარანტიას როგორც კონფისკაციისა, ისე ბოიკოტის წინააღმდეგ.

ეს გარემოება და აგრეთვე, ეჭვები, რომ ამერიკა ყოველ პირობის გარეშე მიემხრობა ინგლისის პოზიციას, განსაზღვრავენ საფრანგეთის მთავრობის დღევანდელ პოლიტიკას ჩინეთის საკითხში.

არც ნაკლებ როლს თამაშობს აქ სურვილი ბრიტანეთის დიპლომატიისათვის სამაგიეროს გადახდისა საფრანგეთის იზოლაციისათვის ევროპაში.

ასეა თუ ისე, ბრიტანეთის იმპერიალიზმის პოზიცია ჩინეთში მაინც შორს არის წაწეული წინ. ამოცანა, რათა წამოწეულ იქნან ამერიკისა და იაპონიის პოზიციები, ბრიტანეთის დიპლომატიისაგან მოითხოვს კოლოსალურ ღონისძიებას და საკმაო მსხვერპლს. შესაძლებელი უთანხმოება სახელმწიფოთა კონცერტში წინანდებურად უკარგავს მოსვენებას მისტერ ჩემბერლენს და მის კოლეგებს.

საქმეს ისიც კი ველარ სწყვეტს, ინგლისმა რომ მოახერხოს კიდეც შეერთებულ შტატებისა და იაპონიის დაყაბულება რევოლიუციონურ ჩინეთისათვის ცოტათ თუ ბევრათ თავხედურ მოთხოვნილებების, ამასთან ერთად ცოტად თუ ბევრათ რეალური მუქარებით წამძღვარებულ მოთხოვნილებების წაყენებაზე.

ჩინეთში ყველაზე მერყევია ინგლისის იმპერიალიზმის მდგომარეობა. ეს მშვენივრად ესმით და მშვენივრად იყენებენ კიდეც მას მისი კონკურენტები. მხოლოდ კონსერვატიულ პოლიტიკოსების უკიდურესი გონება ჩლუნგობა არწმუნებს მათ, რომ ინგლისის იმპერიალისტური ინტერესების შელახვა ჩინეთში არის ბოლშევიკური პროპაგანდის შედეგი. ეს შელახვა არის ინგლისის სამრეწველო განვითარების შეჩერების შედეგი, რომელმაც ომის შემდეგ იჩინა თავი.

სწორედ ამით აიხსნება ბრიტანეთის იმპერიალიზმის პოლიტიკის სიმკაცრე აღმოსავლეთის ერთა განმანთავისუფლებელ მოძრაობისადმი. ბრიტანეთის იმპერიალიზმისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს შემოსავალი, აღებული ეგვიპტელ, ინდოელ და ჩინელ პროლეტარებისა და გლეხების ექსპლოატაციით. ინგლისის ფინანსიური კაპიტალი, რომელსაც ემუქრება ზურგში მუშათა კლასის გამწვავებული სოციალური წინააღმდეგობები და სამთამადნო მუშების უკმაყოფილების ზრდა, ყველა ღონეს მიმართავს თავის კოლონიალურ პოზიციების შენარჩუნებისაკენ. აი რა აიძულებს ინგლისს დაადგეს ულტიმატუმების გზას, გაცოფებულ სისხლიან ავანტიურების გზას. დიდია საფრთხე. ჩინეთის ხალხს ემუქრება ახალი და აურაცხელი უბედურობა. მშრომელები ფხიზლად ადევნებენ თვალყურს გრანდიოზულ გაფიცვას.

მოსკოვი

სამხედრო ოპერაციები ჩინეთში

ორი აპრილის დეპეშა გვაუწყებს, რომ ნაციონალური ჯარი შეტევას აწარმოებს ნანკინ-ფინ-იანის მიმართულებით, ეს არის ნაწილი ნანკინ-ტიანძინის რკინისგზისა და ფინ-იანის ჩრდილოეთით მდებარეობს ხოი-ჯოუ (სუ-ჯოუ?), რომელიც კვანძია დასახელებულ რკინისგზის და ტუნ-გუან-კაიფინი-სუნ-ჯოუს შტოსი. ამ ადგილს შანდუნელებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც სუ-ჯოუ იქვე შანდუნის პროვინციის სამხრეთ საზღვართან მდებარეობს. ამიტომაც შანდუნელები ყოველ ძალას იხმარენ, ამ პუნქტის დაცვისათვის. ამასვე ადასტურებს დეპეშის ცნობა. კანტონელების მიერ არჩეულ შეტევის ხაზს მიზნად დასახული აქვს შანდუნელების უკვე დამარცხებული ჯარი საბოლოოდ გაანადგუროს ან და სრულიად მოსწყვიტოს მუკდენელების ჯარის იმ ნაწილს, რომელიც კაი-ფინთან იმყოფება. ფინ-იანისაკენ წაწევით კანტონელების ჯარი ასწორებს თავის კედაროს და თავის მარჯვენა ფრთას უსწორებს ცენტრსა და მარცხენა ფრთას, ე. ი. კვლავ განაგრძობს იმ საერთო მანევრს, რომელსაც აწარმოებდა დღიდან ბრძოლის დაწყებისა. კანტონიდან დაწყებული კანტონელების ჯარის საერთო კედარო (ფრონტი) მიმართული იყო ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ, ხანკოუს დაპყრობის შემდეგ ამ ჯარმა დაიწყო თავისი კედაროს თანდათან მოტრიალება ჩრდილოეთისაკენ. შანხაი-ნანკინის დაპყრობით მარჯვენა ფრთამ საგრძნობლად წამოიწია ჩრდილოეთისაკენ, მაგრამ საერთო მსვლელობით ჯერ კიდევ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ არის მიმართული. ეხლა როგორც სჩანს კანტონის ჯარი განაგრძობს თავის ძირითად მანევრს და მარჯვენა ფრთას კვლავ ჩრდილოეთისაკენ სწევს. ამიტომაც მოსალოდნელია, რომ ბრძოლის უახლოეს მიზნად დასახულია ხოუ-ჯოუს (სუ-ჯოუს) დაპყრობა, რითაც დამთავრდება საერთო კედაროს (ფრონტის) მოტრიალება ჩრდილოეთისაკენ და ბრძოლის მთავარი საგანი გახდება ტუნ-გუან-კაი-ფინ ხოი-ჯოუს რკინისგზის ხაზი. კანტონის ჯარის ეხლანდელი წინსვლა და შეტევის წარმოება ნანკინ-ფინ-იანის მიმართულებით სხვათაშორის იმასაც მოწმობს, რომ უცხოელ იმპერიალისტთა განგაში, პროვოკაციები და მუქარა, მაინც და მაინც არც იმდენად საშიშად მიაჩნია რევოლიუციონურ ჯარის სარდლობას.

აღსანიშნავია კიდევ დეპეშის ცნობა, რომ მოკლე ხანში მოსალოდნელია შეტაკება ჩრდილოელების და სამხრეთელების ფლოტების შორის. ამ შეტაკებას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩრდილოელების ფლოტის დამარცხება იმ შედეგს მოიტანს, რომ მუკდენელებს და შანდუნელებს მოესპობათ საზღვაო საკვები გზები და მეორეს მხრით კანტონელების ჯარის მარჯვენა ფრთა საბოლოოდ უზრუნველყოფილი იქნება. რა თქმა უნდა, აქ ზღვაზე მყოფ უცხოელ იმპერიალისტთა საკმაოდ ძლიერ ფლოტს უფრო მეტი ასპარეზი ეძლევა პროვოკაციისათვის, მაგრამ მიუხედავათ ამისა კანტონელებმა უსათუოდ უნდა მოუსპონ საზღვაო საშუალებანი ჩრდილოელებს.

თავის მხრით უცხოელი იმპერიალისტები და მათ შორის უმთავრესად ინგლისი განაგრძობენ მუქარას და სამხედრო სამზადისს. ამას წინად იყო ცნობა, რომ ინგლისელების ფლოტი უცდის მდ. იან-ცე-კიანგის ადიდებას, როდესაც შესაძლებელი იქნება დიდი სამხედრო ხომალდებისათვის ხანკოუმდე ნაოსნობა და სამხედრო მოქმედება. ინგლისელებს იმედი აქვთ, რომ მდ. იან-ცე-კიანგის დაკავებით ხანკოუმდე, კანტონელების საკვები გზები გადაიჭრება და კანტონის ჯარი დიდს გაჭირვებაში ჩავარდება. რამდენად გაუმართლდებათ ეს იმედები მომავალი გვიჩვენებს, მხოლოდ ეხლავე შეიძლება იმის თქმა, რომ მაინც და მაინც მარტო იან-ცე-კიანგზე არ ამყარებენ ჯარის გამოკვების და შევსების საქმეს კანტონელები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სამხრეთ და შუაგულ ჩინეთის უმდიდრესი და უფრო მჭიდროთ დასახლებული პროვინციები კანტონელების ხელშია და ჯარის გამოკვებას და შევსებას თამამად შესძლებენ ადგილობრივ საშუალებებით, მით უმეტეს ეს შესაძლებელია იმ საყოველთაო აღფრთოვანების ატმოსფერაში, რომელსაც ადგილი აქვს ჩინეთის ხალხის ფართო მასებში. მხოლოდ ისეთი ჯარის ზურგია მუდმივ განსაცდელში, რომელსაც არ თანაუგრძნობს ზურგით მობინადრე მოსახლეობა. კანტონელების მდგომარეობა კი, როგორც ცნობილია, ამ მხრითაც უკეთესია.

დეპეშების ცნობით უცხოელ იმპერიალისტთა ჯარების საერთო რიცხვი ნანკინ-შანხაის რაიონში უდრის ამჟამად 28 ათას; რასაკვირველია ეს ჯარი, თანამედროვე ტეხნიკურ საშუალებებით აღჭურვილი და ძლიერი ფლოტის დახმარებით, საგრძნობ ძალას წარმოადგენს; რასაკვირველია, იმპერიალისტებს შეუძლიანთ კიდევ გამრავლება ამ ჯარისა, მაგრამ ამასთანავე ერთად არ უნდა დავივიწყოთ, რომ უცხოელებისათვის ჩინეთის ბრძოლას აქვს სამხედრო თვალსაზრისით მეტად შორეული ექსპედიციის ხასიათი, რომ ეს ჯარები მეტად დაშორებული არიან თავის ძირითად ბაზას, რომ მათი საკვები გზები მანძილით რამდენიმე ათას კილომეტრს უდრის (ჯარის შევსება, თოფ-იარაღის მიწოდება). ამიტომ ფართო ოპერაციებზე ოცნებაც კი არ შეუძლიან ამ ჯარებს. მაშასადამე ბოლოს და ბოლოს მოქმედება (სამხედრო) ამ ჯარების შეიძლება გამოიხატოს მდ. იან-ცე-კიანგის და ზღვის ნაპირებით ნავარდობაში და ისეთ სისხლიან პროვოკაციებში, როგორსაც ამას წინად ადგილი ჰქონდა ნანკინში. რა თქმა უნდა უცხოელების ძლიერ ფლოტს ადვილად შეუძლიან ბლოკადის მოხდენა, ჩინეთის მთავარ ნავთსადგურების ჩაკეტა. მაგრამ ეს უკანასკნელი ზომა ვგონებთ უფრო მეტს ზარალს მოუტანს უცხოელ იმპერიალისტებს, ვიდრე ჩინეთის რევოლიუციონურ ხალხს, რადგანაც ჩინეთიდან ნედლი მასალის გაზიდვა უცხოელებს უფრო ესაჭიროებათ, ვიდრე ჩინელებს უცხოელებისაგან რისამე შემოტანა. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ თუ კი ადგილი და შესაძლებელი იქნებოდა უცხოელებისათვის ფართო ოპერაციების წარმოება და ბლოკადის განხორციელება, ამას ისინი აქამდისაც მიმართავდნენ. მაგრამ ალბად არც ისე იოლი საქმეა ეს.

ი. გედევანიშვილი.

საბჭოთა პრესა

დაწინაურებულთა მიზანშეწონილი გამოყენება

ბიუროკრატიზმის აღმოფხვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახაპარატის შემადგენლობის გადახალისებას, ვინაიდან უდავოა, რომ ჩვენს დაწესებულებებში ჯერ კიდევ ბლომად მოიპოვებიან უსულო მოხელეები, რომელთაც გული არ შესტკივათ მშრომელთა სახელმწიფოს ბედისათვის. მაშასადამე, ჩვენს წინაშე დგას ამოცანა სახაპარატის გაძლიერებისა მუშურ-გლეხური ელემენტებით. მოწინავე მუშათა და გლეხთა დაწინაურებას პარტია იმ თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევს, ამაზე უკანასკნელად საკ. კომპარტიის ცეკას სპეციალური დადგენილებაც იქნა გამოქვეყნებული. მაგრამ, სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებებში დაწინაურებულ ამხანაგებს ხშირად სათანადოდ ვერ ეპყრობიან. ამის გამო „ბედნოტა" სწერს:

„ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ერთ უმნიშვნელოვანეს ფრონტს წარმოადგენს პირველ ყოვლისა ბრძოლა დაწინაურებულისადმი ბიუროკრატიულ დამოკიდებულების წინააღმდეგ. მართლაც: რით აიხსნება აუარებელი მაგალითები იმის, რომ დაწინაურებულმა ამხანაგმა, რომელმაც დაყო დაწესებულებაში ერთი ან ორი წელიწადი, ვერ შეიტანა ვერც ერთი პრაქტიკული წინადადება, ვერც ერთი შენიშვნა, მიმართული ამ დაწესებულების მუშაობის გაუმჯობესებისაკენ. ცხადია, ამას ხელს უშლიდენ ის პირობები, რომლებშიც ის დაწესებულებამ ჩააყენა. შეგხვდება, რა თქმა უნდა, უხეიროდ შერჩეული დაწინაურებულნი, — პირნი, რომელნიც მოკლებული არიან საზოგადოებრივი მუშაობის გამოცდილებას, ან პირნი, თავისი ბუნებით ზანტნი, გაუბედავნი, დაუკვირებელნი; ბოლოს, შეგხვდება კანდიდატები, რომელნიც დაწინაურებულის სამუშაოზე მიდიან კარიერისტული მისწრაფებებით. მაგრამ გაცილებით ხშირად საქმე არა დაწინაურებულის თვისებაშია, არამედ მისდამი ცუდ მიდგომაში დაწესებულების ხელმძღვანელთა მხრით, დაწინაურებულის არასწორ გამოყენებაში, არანორმალურ პირობებში, რომელშიც მას აყენებენ.

ამას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო. საჭიროა იმ განყოფილებათა ყველა ხელმძღვანელთ, სადაც დაწინაურებულნი მუშაობენ, შეგვაგნებინოთ, რომ 1) უაზრობაა დაწინაურებულისგან მოთხოვნა, რათა მან თავდაპირველად შეითვისოს მთელი საკანცელარიო სიბრძნე გახდეს დახელოვნებული მოხელე, და მხოლოდ შემდეგ გაბედოს თავისი აზრი იქონიოს; 2) დაწინაურებულის ყოველგვარი შენიშვნა ან წინადადება უნდა განხილულ იქნას არსებითად და შეფასდეს სასტიკად საქმიანი თვალსაზრისით; 3) დაწინაურებული უნდა იქნეს ჩაბმული დაწესებულების მთელ სახელმძღვანელო მუშაობაში; 4) პერიოდულად მოსმენილ იქნას თვით დაწინაურებულთა ანგარიშები თავისი მუშაობის შესახებ".

ამგვარად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაწინაურებულ ამხანაგების მიზანშეწონილ გამოყენებას და მათ გარეშე ამხანაგური ატმოსფერის შექმნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ დაწინაურებულთ დავაკისრეთ უბრალო ტეხნიკური სამუშაო, ან ისინი მიუყენეთ ისეთ საქმეს, რომელსაც ვერ დასძლევენ, როგორც ამას ხშირად აქვს ადგილი, ამით მხოლოდ დაწინაურების იდეას [illegible].

ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეოთხე ყრილობა

ამხ. რუძუტაკის მოხსენება

ყრილობის გახსნა

გუშინ, 5 აპრილს საღამოს 7 საათზე, რუსთაველის თეატრში გაიხსნა ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეოთხე ყრილობა.

სრულ 7 საათზე იხდება ფარდა. სცენა მორთულია დროშებით. შუაში ამართულია მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის და დიდი მასწავლებლის ლენინის ბიუსტი. სცენაზე დადგმულ მაგიდას გარშემო უსხედან ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრები. მათ შორის ამხ. **მიხა ცხაკაია, ალამალი-ოღლი, ამბარცუმიანი, მამია ორახელაშვილი**. ყრილობას ხსნის ამხ. მ. ცხაკაია.

მიხა ცხაკაიას სიტყვა

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა წითელ არმიელთა და მეზღვაურთა საბჭოების მეოთხე ყრილობას გახსნილად ვაცხადებ (მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს). ამ მნიშვნელოვან დღეს,—განაგრძობს ამხ. ცხაკაია,—როდესაც ამიერ-კავკასიის მშრომელი ხალხის წარმომადგენლები იკრიბებიან იმ მიზნით, რომ თვალი გადაავლონ საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებს და გამოიმუშავონ მომავალი სამოქმედო გეგმა, არ შეიძლება არ მოვიგონოთ და პატივი არა ვცეთ იმათ, ხსოვნას, რომელნიც დაიღუპენ რევოლიუციის გამარჯვებისათვის. ჩვენ ვალდებული ვართ მოვიგონოთ ოქტომბრის რევოლიუციის მებრძოლნი და მისთვის დაღუპული ამხ. ძერჟინსკი (მუსიკა უკრავს სამგლოვიარო ჰიმნს და ყველა ფეხზე დგება, შემდეგ ამხ. მ. ცხაკაია მიმოხილვას უკეთებს ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორი წლის მუშაობას და ამბობს, რომ ცაკმა ამ ხნის განმავლობაში განიხილა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შეეხებოდენ ქვეყნის კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებას. ცაკმა ჩაატარა სამი სესია. მათ შორის ერთი ერევანში, მეორე—განჯაში. ამიერ-კავკასიის ცაკის სესიების მოწვევა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების—სომხეთისა და აზერბეიჯანის—მნიშვნელოვან ცენტრებში წარმოადგენდა დიდ პოლიტიკურ აქტს, რომელმაც კიდევ უფრო განამტკიცა სოლიდარობა და ძმური ურთიერთობა ამიერ-კავკასიის ერებს შორის. ამ კეთილ-მეზობლური ურთიერთობამ და თანამშრომლობამ გახადა შესაძლებელი ის ნაყოფიერი მუშაობა, რომელსაც წარმატებით აწარმოებდენ ამიერ-კავკასიის მთავრობის ორგანოები ამ ორი წლის განმავლობაში. ერთმანეთის დახმარებით ამჟამად უკვე აღდგენილია ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობა. ეხლა საშუალება გვაქვს ამ აღდგენითი პერიოდიდან გადავიდეთ უფრო უმაღლეს საფეხურზე. შევუდგეთ ჩვენი მეურნეობის გადახალისებას იმ გეგმის მიხედვით, რომელიც მთავრობის უმაღლეს ორგანოებს აქვს გამომუშავებული. საბჭოთა კავშირის ეკონომიური აღორძინება დღით-დღე ამაგრებს მის პოლიტიკურ ძლიერებას. არასდროს საბჭოთა კავშირი ისეთი ძლიერი არ ყოფილა პოლიტიკურად და ეკონომიურად, როგორც ეხლა. ამჟამად იგი წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკის უდიდეს ფაქტორს და მამოძრავებელ ძალას, მის ძლიერებას ემყარება, როგორც დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობა, ისე აღმოსავლეთის ხალხების ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა. საბჭოთა კავშირის ძლიერებით განმხნევებული და იმედ მოცემულნი ჩაგრული კლასები და ერები ამხედრებული არიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ და შორს არ არის ის დრო, როცა ისინი გაიმარჯვებენ კომუნიზმის დროშის ქვეშ. (მქუხარე ტაში. ინტერნაციონალი).

შემდეგ ყრილობა ირჩევს საქმიან პრეზიდიუმს.

პრეზიდიუმი

არჩეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: **ალამალი-ოღლი, ამბარცუმიანი, ამირხანიანი, ანესაგლიანი, ანთიძე, ასრიბეკოვი, ახუნდოვი, ბაგიროვი, ბეჟზადიანი, ბუნიატ-ზადე, ვაშაკიძე, ვეზიროვი, გეგეჭკორი, ღოღობერიძე ლ., გოგიბერიძე, ჰუსეინოვი, ჯანგიანი, ჯატიევი, ჯაფარიძე ვარო, ჯულელი, ივანოვ-კავკასკი, ივანოვი, იონესიანი, კასიმოვი, კარინიანი, კარაევი, ქართველიშვილი, კარაკოზოვი, კახიანი, ყარაევი, კონიუშკინი, კოხტანიანი, ყურულაშვილი, კასუმოღლი, კულუხანუმი, ლაკობა, ლევანდოვსკი, ლუკაშინი, მახარაძე, მეხტიევი, მირზოიანი, მუსაბეკოვი, მუსაევი; ნაფედოვი, ნაზარეტიანი, ორახელაშვილი მამია, ოსეპიანი, პოლოსიანი, პავლუნოვსკი, რატნეკი, რახმანოვი, რუბენი, სუხიშვილი, სვანიძე, საფრაზბეკიანი, სტურუა, თოდრია, ხანოიანი, ცხაკაია, ჩალიანი, შავერდოვი, შახსუვარიანი, შავერდოვა, შ. ელიავა, ეფენდიევი და იაკუბოვი.**

საპატიო პრეზიდიუმი

ყრილობამ აირჩია ამხანაგები: **კალინინი, რიკოვი, სტალინი, რუძუტაკი, ვოროშილოვი, ტომსკი, მოლოტოვი; ბუხარინი, ორჯონიკიძე, კიროვი, მიქოიანი, კლარა ცეტკინი და საჟინი.**

პარიზის კომუნარი ამხ. საჟინი ყრილობაზე

ყრილობა ფეხზე ამდგარი მქუხარე ტაშის ცემით ხვდება პარიზის კომუნის მონაწილეს სრულიად გაჭაღარებულ მოხუც კომუნარს ამხ. **საჟინს**, რომელსაც ამხ. **არაქელა ოქუაშვილი** შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „ჩვენ ყველანი ამასთან შედარებით ვართ კომკავშირელები".

ყრილობის დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარს ამხ. რუძუტაკს, რომელსაც ყრილობა ხანგრძლივი ტაშის ცემით ეგებება.

ამხ. რუძუტაკის მოხსენება

ამხანაგებო, ნება მომეცით მივესალმო ამიერ-კავკასიის საბჭოთა მე-4-ე ყრილობას საკავშირო მთავრობის სახელით (მქუხარე ტაში) და ამ მისალმებასთან ერთად მოკლედ შევეხო იმ უახლოეს ამოცანებს, რომლებიც დასმულია ჩვენი კავშირის და ამასთან ერთად, აგრეთვე ჩვენი ყრილობის წინაშე.

საშინაო მდგომარეობა

პირველი ძირითადი საკითხი, რომელიც სდგას ჩვენს წინაშე, — ეს არის საკითხი ჩვენი საბჭოთა კავშირის შემდგომი განვითარებისა სოციალისტური მშენებლობის გზაზე. აქ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის განსაკუთრებული პირობები, რომლებშიაც უხდება საბჭოთა კავშირს მუშაობა მისი არსებობის პირველ დღიდანვე.

ჩვენი ძირითადი ამოცანა

ჩვენ სოციალისტური მეურნეობის შენება გვიხდება კაპიტალისტურ გარემოცვაში, მსოფლიო მეურნეობისაგან განცალკევებით. ჩვენ ჯერ-ჯერობით წარმოვადგენთ სოციალისტურ კუნძულს კაპიტალისტურ ოკეანეში. მართალია, ეს კუნძული შეადგენს მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილს, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ძველი თვითმპყრობელური რუსეთის ეკონომიურ, ტეხნიკურ და კულტურულ ჩამორჩენილობას და იმ უაღრესად მძიმე პირობებს, რომელშიაც უხდებოდა არსებობა საბჭოთა ხელისუფლებას პირველ წლებში, ჩვენთვის სავსებით გასაგები გახდება, თუ რამდენად ძნელია ჩვენს წინაშე დასმული ამოცანა.

ჩვენ უნდა ვეცადოთ ისე მოვაწყოთ მეურნეობა ჩვენს ქვეყანაში, რომ ჩვენი დამოკიდებულება კაპიტალისტურ მსოფლიოსაგან ყოველი წლობით მცირდებოდეს.

ძველი, მეფის რუსეთი უმეტესად სასოფლო-სამეურნეო ქვეყანას წარმოადგენდა. დამოუკიდებელი მრეწველობა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით თითქმის მას არ გააჩნდა. ერთ-ერთ ყველაზე უფრო მტკივნეულ ადგილს ჩვენი მეურნეობის ორგანიზაციის საქმეში წარმოადგენს ის, რომ ჩვენ არ გვაქვს მსხვილი მანქანების საამშენებლო მრეწველობა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გარდავქმნათ ჩვენი მრეწველობა. ამ დარგში ჩვენ ამჟამად ყველაზე უფრო დამოკიდებული ვართ კაპიტალისტურ ქვეყნებისაგან, რამდენადაც საკითხი ჩვენი მრეწველობის შემდგომი განვითარების შესახებ დიდათ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად დაჩქარებით და რამდენად დიდი რაოდენობით მოვახერხებთ საზღვარ-გარეთ იმ მოწყობილობის შეძენას, რომელიც საჭიროა ჩვენი ქვეყნის მრეწველობის განვითარებისათვის. არსებულ ფაბრიკა-ქარხნების გადაკეთებისათვის.

ამიტომ საბჭოთა კავშირის მორიგი ძირითად ამოცანას წარმოადგენს ინდუსტრიალიზაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მეურნეობა უნდა გადავიყვანოთ ტეხნიკური განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე და ამასთან ერთად ისე მოვაწყოთ, რომ ის წარმოადგენდეს უმეტესად ისეთ მეურნეობას, რომელსაც თავის საკუთარ ბაზაზე, საკუთარი ქვეყნის ფარგლებში შეეძლება არსებობა და განვითარება.

ჩვენ სავსებით გარკვევით უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენს ქვეყანას გააჩნია ყველა ბუნებრივი სიმდიდრეები, რომლებიც აუცილებელია დამოუკიდებელ მეურნეობის შესაქმნელად. ჩვენ გვაქვს ყველა სახის ნედლეული, გარდა კაუჩუკისა. ამ რიგად, ჩვენი მრეწველობის ყველა დარგებს, გარდა რეზინის მრეწველობისა, შეუძლიათ არსებობა და განვითარება საკუთარ ნედლეულზე დამყარებით. ამავე დროს ჩვენი ქვეყანა, რომელსაც აქვს პურეულის მდიდარი ვეებერთელა სივრცე, პურის მარაგის საკმაოდ ძლიერ წყაროს წარმოადგენს.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გადავაკეთოთ, გარდავქმნათ ჩვენი მრეწველობა ისეთ საფუძველზე, რომ საშუალება გვქონდეს დავამზადოთ არა მარტო მოსახლეობის მოხმარებისათვის საჭირო საგნები, არამედ აგრეთვე მანქანებიც იმისთვის, რომ დავამზადოთ მოხმარების ეს საგნები.

ის ღონისძიებები, რომლებიც მიიღო ჩვენმა საბჭოთა კავშირმა მეურნეობის გარდაქმნის გეგმის განსახორციელებლად, მოწმობენ, თუ რამდენად საფუძვლიანად და ფართოდ შუდგა ჩვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფო ამ საკითხის გადაჭრას.

ჩვენში, როგორც სამეურნეო მშენებლობის უახლოესი პროგრამა, განზრახულია ჩვენი მეურნეობის ენერგეტიკის შეცვლა. ჩვენ დასახული გვაქვს ამოცანად ელექტროფიკაციის ბაზაზე გადასვლა. ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის საკითხს პირველი ადგილი უჭირავს ჩვენი სახალხო მეურნეობის გარდაქმნის საქმეში.

შემდეგ ამხ. რუძუტაკი ეხება საბჭოთა ხელისუფლების ისეთ უდიდეს წამოწყებებს, როგორიც არის „დნეპროსტროი", სემირეჩიეს რკინის გზა, ვოლგა-დონის არხი

წამოწყებანი მრეწველობის დარგში

„დნეპროსტროის" განხორციელება— ლაპარაკობს ის — ნიშნავს, რომ ჩვენ გარდავქმნით სამხრეთის ლითონის და ქვანახშირის რაიონს, შევქმნით სავსებით ახალ სამრეწველო კერას, რომელიც დამყარებული იქნება სავსებით ახალ ბაზაზე.

სემირეჩიეს რკინის გზის გაყვანა, რომელიც შეაერთებს ციმბირსა და შუა აზიას, როდია უბრალოდ სატრანსპორტო პრობლემის გადაჭრა ან რკინის გზის ახალი შტოს მიმატება არსებულ ქსელისათვის. ეს არის მთელ რიგ რაიონების ეკონომიურად გარდაქმნის პრობლემა. უმდიდრეს სასოფლო-სამეურნეო რაიონის — ციმბირის შეერთება უმოკლესი გზით შუა აზიასთან, საშუალებას მოგვცემს გავზიდოთ იაფი ხორბალი და მივიღოთ იაფი ბამბა. ჩვენ გადაგვირჩება რამდენიმე ასეული მილიონი ოქროს მანეთი, რომელთაც ჩვენ ამჟამად ვუხდით ამერიკელებს ბამბისათვის.

ამხ. რუძუტაკი

ვოლგა-დონის არხის გათხრის საკითხიც როდია ვიწრო სატრანსპორტო საკითხი; ის სწყვეტს უდიდეს ეკონომიურ ამოცანას: მისი საშუალებით ურალის და ვოლგის განაპირა, პურით მდიდარი რაიონები შეუერთდებიან შავ ზღვას, ჩვენს საექსპორტო ნავთსადგურებს. ჩვენ ვხედავთ, რომ ეს პრობლემაც ჩვენს საერთო ეკონომიურ ცხოვრებასთან აკავშირებს ახალ რაიონებს, ახალ ოლქებს. ეს აერთებს მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილს ჭეშმარიტად მთლიან ეკონომიურ ერთეულად.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასახული ჩვენი მეურნეობის გარდაქმნის გეგმების მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ამჟამად ეკონომიურად განცალკევებული, ერთმანეთისაგან მოწყვეტილი ცალკე რაიონები ხდებიან ჩვენი ქვეყნის მთელი საერთო ეკონომიკის აუცილებელ, განუყოფელ შემადგენელ ნაწილებად.

თქვენ ხედავთ, თუ რა დიდი და ფართო ამოცანებია დასმული ჩვენს წინაშე. ამასთანავე ჩვენ, რასაკვირველია, ნათლად უნდა გავითვალისწინოთ ყველა ის სიძნელეები, რომლებიც ჩვენ წინ გვეღობებიან ამ ამოცანების განხორციელების საქმეში.

ჩვენ ამჟამად განვიცდით ჩვენივე ზრდით გამოწვეულ ტკივილებს. საერთოდ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მეურნეობა და კულტურული მოთხოვნილებები იზრდებიან უფრო სწრაფად, ვინემ ტეხნიკური ბაზა და ტეხნიკური შესაძლებლობა ამ ზრდის დასაკმაყოფილებლად. მაგალითისათვის დავასახელებ ამიერ-კავკასიის რკინის გზებს. სალი მოსაზრება გვიკარნახებს, რომ ჩვენ უნდა გავიყვანოთ ორი ხაზი, გავატაროთ სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია, სიგნალიზაციის მექანიზაცია და სხვ. მაგრამ ჩვენ ამის განხორციელება დღემდე ვერ შევსძელით არა იმიტომ, რომ ეს ვერ მოვიფიქრეთ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი ტეხნიკური და ფინანსიური ბაზა საშუალებას არ გვაძლევს დავაკმაყოფილოთ ეს მოთხოვნილებები. ჩვენ ხშირად ვარდებით იმ კაცის მდგომარეობაში, რომელსაც დაახლოვებით უხდება ასეთი ამოცანის გადაჭრა: ერთი გირვანქა შაქრის გაყოფა ას კაცს შორის, რომლის დროს უნდა გაითვალისწინოს თითოეულის ოჯახური მდგომარეობა და ჯანმრთელობა (სიცილი).

სოფლის მეურნეობა და ინდუსტრიალიზაცია

რა საშუალებებით შეგვიძლია ამ ზრდით გამოწვეულ სატკივრის შემსუბუქება? პასუხი მარტივია: ჩვენი ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაციით. მაგრამ იმისათვის, რომ შეგვეძლოს მოწყობილობის შემოზიდვა საზღვარ-გარეთიდან, ჩვენ ხელთ უნდა გვქონდეს საკმაო ვალიუტა, რომ ანგარიშში გაუსწოროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ხოლო წყაროს ვალიუტის მისაღებად პირველ ყოვლისა წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები, ვინაიდან ჩვენს მრეწველობას უცხოეთის ბაზარზე ჯერ კიდევ არ შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს უცხოეთის მრეწველობას. აქ ჩვენს წინაშე ისმება მეორე დიდი პრობლემა, რომელსაც დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს: ეს არის სოფლის და ქალაქის ინტერესების დაკავშირება.

ჩვენი მრეწველობის განვითარება მჭიდროთ არის დაკავშირებული სასოფლო მეურნეობის განვითარებასთან, ვინაიდან რამდენადაც მეტ პურს, სელს, ტყავს, ტყეს გავასაღებთ საზღვარგარეთ, მით უფრო მეტ ფულს მივიღებთ და უფრო მეტ იარაღ-მანქანებს შემოვზიდავთ, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას. ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ საქალაქო მეურნეობის სწრაფ ზრდასთან ერთად, ქალაქი დაინტერესებულია, აგრეთვე, სასოფლო მეურნეობის სწრაფი განვითარებით. ამასთან ერთად, სოფელიც თავის მხრივ დაინტერესებულია ქალაქისა და მრეწველობის განვითარებით. გლეხობა დამონებული ჰყავს ბუნებას, მიწას, პირველყოფილ საწარმოო იარაღს, რომლების საშუალებითაც მან პური უნდა მოიყვანოს. სოფელს ამ ტყვეობისაგან გაანთავისუფლებს მხოლოდ და მხოლოდ ქალაქი, განვითარებული ქალაქი. ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის სწორად დაყენების პირობებში, ქალაქისა და სოფლის ინტერესები არ ეწინააღმდეგებიან ერთი მეორეს.

საერთაშორისო მდგომარეობა

გადადის რა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე, ამხ. რუძუტაკი ამბობს:

— თუ მე ვამბობდი იმას, რომ ჩვენი მეურნეობის განვითარება ამჟამად მეტწილად დამოკიდებულია უცხო კაპიტალისტურ ქვეყნებისაგან, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ვითომ ჩვენ ვერ შევსძლებთ შემდეგ განვითარებას მათი მონაწილეობის, მათი დახმარების გარეშე

ეკონომიური დამოკიდებულება უცხოეთთან

ჩვენი დამოკიდებულება უცხო სახელმწიფოებისაგან — მხოლოდ პირობითია. ჩვენ მათგან დამოკიდებული ვართ იმ მხრივ, თუ მოვინდომებთ სწრაფ განვითარებას, მაგრამ ჩვენ სრულიადაც არ ვართ მათგან დამოკიდებულნი. თუ მოვისურვებთ უფრო შენელებული ტემპით სიარულს განვითარების გზაზე.

და თუ ეხლა უცხო სახელმწიფოები იწყებენ ამა თუ იმ ურთიერთობის დამყარებას ჩვენთან, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ეს სახელმწიფოები დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება არც ისე ცუდია. მათ ჩვენ ისევე სძულვართ, როგორც სძულდით 1917 წელში, და ისევე ნატრობენ ჩვენს დაღუპვას. მათ საბჭოთა კავშირისაკენ იმიტომ იბრუნეს პირი, რომ ესაჭიროებათ ბაზარი, მათ ჩვენ შეგვიყვარეს არა როგორც საბჭოთა ხელისუფლება, არამედ როგორც მათი საქონლის შემსყიდველები. აი ამ საფუძველზეა, უმთავრესად, აგებული ჩვენი როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური ურთიერთობა დასავლეთ-ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებთან.

რაში გვდებენ ბრალს

ძალიან ხშირად აჟღარუნებენ ისინი იარაღს და გზავნიან მუქარას საბჭოთა კავშირის მისამართით, თავს გვახვევენ რა ჩვენ ყოველგვარ ცოდვებს. ისინი ხშირად გვისაყვედურებენ ჩვენ იმას, რომ კაპიტალისტურ წყობილებას ვთვლით ცუდ, უვარგის წყობილებად, ხოლო საბჭოთა წყობილებას მასზე უკეთესად.

მაგრამ ჩვენ ხომ არ გვწყინს, როდესაც ისინი ლაპარაკობენ, რომ საბჭოთა წყობილება არაფრად არ ვარგა და კაპიტალისტური წყობილება მასზე უკეთესია. დაე, ილაპარაკონ. თუ ისინი შესძლებენ თავიანთი ქვეყნების მუშების დარწმუნებას იმაში, რომ კაპიტალისტური წყობილება უკეთესია, — მით უკეთესი მათთვის. ხოლო თუ ისინი, მუშები, დაინახავენ, რომ ჩვენი წყობილება უკეთესია — ეს მათი საქმეა. მაგრამ კაპიტალისტები, აგრეთვე, გვეუბნებიან: „თქვენ ჩვენს წინააღმდეგ აწყობთ რევოლიუციონურ მოძრაობას და აჯანყებებს". ეს კი წარმოადგენს აშკარა ცილისწამებას ჩვენს მთავრობასა და სახელმწიფოზე. მე ვფიქრობ, რომ უცხოეთის ვერც ერთი მმართველთაგანი ვერ მიგვითითებს ჩვენი სახელმწიფოს რომელიმე ისეთ წარმომადგენელზე, რომელიც არალოიალურ, არამეგობრულ დამოკიდებულებას იჩენდეს საზღვარგარეთ იმ სახელმწიფოს მთავრობის მიმართ, რომელშიაც ის სცხოვრობს. ისინი აცხადებენ: „მოსკოვის კონფერენციაზე ბუხარინმა ჩვენი მისამართით ბევრი მწარე სიტყვა იხმარა"-ო. მაგრამ, ბუხარინი ხომ არ მართავს საბჭოთა კავშირს? ჩვენ გვყავს საბჭოთა მთავრობა და მასთან ერთად მთელი რიგი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც თუმცა არსებობენ სახელმწიფოში, მაგრამ არ მართავენ მას. ჩვენ ხომ არ ვაძლევთ პასუხისგებაში ინგლისის მთავრობას იმის გამო, რომ ინგლისის პარლამენტის ანდა ინგლისის მთავრობის ესა თუ ის წევრი უწმაწური სიტყვებით ლანძღავს საბჭოთა კავშირს და ჩვენს მთავრობას.

ბრძენი ხალხი, რომლებიც ბრალად გვდებენ მათი საწინააღმდეგო აგიტაციის წარმოებას, სასაცილო მდგომარეობაში აგდებენ თავის თავს, როდესაც ვერ ახერხებენ ერთი რომელიმე ფაქტის მოყვანას. ამავე დროს კი ისინი ინახავენ ჩვენი კონტრ-რევოლიუციის მეთაურებს და ნაწილობრივ მათ სთვლიან ყოფილ რუსეთის იმპერიის ოფიციალურ წარმომადგენლებად.

მათი მუქარა ვერ შეგვაშინებს

დღევანდელ მომენტში ჩვენ სრულიადაც არ გვაშინებს მათი მუქარა და იარაღის ჟღარუნი, ვინაიდან ურთიერთობის შეწყვეტა მათთვის უფრო საზარალოა, ვიდრე ჩვენთვის. ჩვენ ვისწავლეთ მუშაობა, ვისწავლეთ მოთმინება და ჩვენი მეურნეობის მშენებლობა მტრებით გარემოცულ ქვეყანაში.

ამ ვაჟბატონებმა მუქარებისა და იარა-

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეოთხე ყრილობა

ლის ჟღარუნის დროს ფხიზლად უნდა ადევნონ თვალყური იმას, რაც მათ ზურგს უკან არის. გარეშე ბუხარინის სიტყვებისა და ამხ. ეფიმოვის კარიკატურებისა. ამერიკისა და დასავლეთ ევროპის მრავალმა ათასმა მუშამ დაათვალიერა ჩვენი ქვეყანა, და დარწმუნდა, რომ ეს ქვეყანა იზრდება, რომ გაიზარდა მისი მუშათა კლასი, რომელმაც შექმნა სახელმწიფო, იცავს მას მთელი მსოფლიოს ყველა კაპიტალისტების თავდასხმისაგან, აღადგინა დანგრეული მეურნეობა და იწყებს ახალი მეურნეობის შენებას უფრო მაღალ ტეხნიკურ ბაზაზე. დასავლეთ - ევროპის ქვეყნების მუშათა კლასის სახით ჩვენ გვყავს საიმედო მოკავშირე.

ამ მხრივ მუშური, კლასიური, პროლეტარული ინსტიქტი უკარნახებს მათ თუ ვის მხარეზეა სიმართლე.

უნდა გვეშინოდეს თუ არა ჩვენ იმის, რომ მუქარები, რომლებსაც უკანასკნელ წლებში ძალიან ხშირად გზავნიან ჩვენი მისამართით, მიიღებენ რეალურ ფორმას ახლო მომავალში? ამაზე ეხლა ძნელია პასუხის გაცემა. წინასწარ ხომ ვერავინ ვერ იტყვის, თუ რას იზამს დამფრთხალი კამეჩი (სიცილი).

ამ უგუნურ ხალხს შეუძლია ახალი ავანტიურის მოწყობა, შეუძლიათ მოგვისიონ ვინმე დაქირავებული, რომელიც ამჟამად თავის მდიდარ პატრონების ხარჯზე სცხოვრობს. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ასეთი შესაძლებლობისათვის, თუმცა ამ შემთხვევაშიც შეგვიძლია თამამად და მხნედ ვუყუროთ მომავალს. ჩვენი საბჭოთა კავშირი ამჟამად შესდგება რკინის ერთ მთლიან, უძლეველ მასისაგან. ამ კავშირის თვითეული წევრი მუდამ მზად არის წინააღმდეგობა გაუწიოს ჩვენს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ყოველგვარ ცდას.

განმანთავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთში

შემდეგ, შეჩერდა რა ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაზე აღმოსავლეთ ქვეყნებში, ამხ. რუძუტაკი ამბობს:

— ამ ფაქტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვენთვის, ისე დასავლეთ - ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის. განმანთავისუფლებელი მოძრაობა ოსმალეთში, სპარსეთში, ხოლო ამჟამად ჩინეთში აყენებს ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის. იმპერიალისტურ უღლისაგან მათი განთავისუფლების და დამოუკიდებელ პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებისაკენ მათი გამოღვიძების ლოზუნგს. ეს იმას ნიშნავს, რომ იმპერიალისტურ ქვეყნებს ხელიდან ეცლებათ მონები. რომელთა ექსპლოატაციაც მათ შეეძლოთ. მეორე მხრივ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი საბჭოთა კავშირი იძენს ახალ მოკავშირეს. ტყუილად არ გაერთიანდენ ყველა ქვეყნის იმპერიალისტები ჩინეთის ხალხის რევოლიუციონურ მოძრაობასთან საქმეში.

შემდეგ აღნიშნავს რა, რომ არ არის მართალი განმანთავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერების ახსნა აღმოსავლეთში „ბოლშევიკების ხრიკებით“, ამხ. რუძუტაკი თავის მოხსენებას ათავებს სიტყვებით:

დასკვნა

„უკეთებთ რა ჯამს ჩვენს საშინაო პოლიტიკას და ჩვენს საშინაო მდგომარეობას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი მეურნეობა შედგა მტკიცე საფუძველზე. ჩვენ დავსახეთ ახალი გზები შემდგომი ეკონომიური განვითარებისათვის; ეს გზები ჩვენს მეურნეობას აყენებენ უფრო მაღალ ტეხნიკურ საფეხურზე, ვიდრე ის დღემდე იდგა და ანთავისუფლებენ შრომას ბუნების ტყვეობისაგან და იმ ტეხნიკურ პირობებისაგან, რომლებშიც ჩვენ დღეს ვიმყოფებით. ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემს ნაკლები ფიზიკური შრომის დახარჯვით უფრო მეტად დავაკმაყოფილოთ მუშურ - გლეხური ფართე მასების მოთხოვნილებები.

ჩვენ მტკიცედ მივდივართ სოციალიზმის მშენებლობის გზაზე და არ გვაშინებს არავითარი მუქარა, არავითარი ბლოკადა, არავითარი ბოიკოტი.

საერთაშორისო მდგომარეობის მხრივ, ჩვენ თამამად და მხნედ შეგვიძლია ვუყუროთ მომავალს, რადგან ვხედავთ, რომ კაპიტალიზმი ჯერ კიდევ არ მომაგრებულა, ვხედავთ, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებს ვერ გამოუნახავთ საერთო ენა, ვერ ენდობიან ერთი მეორეს.

დღითი დღე იზრდება კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა, მუშათა ფართე მასების უკმაყოფილება. ამ მხრივ მუშათა მასების გაცნობა ჩვენი საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობასთან, წარმოადგენს საუკეთესო მაგალითს, საუკეთესო აგიტაციას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რევოლიუციონურ მუშათა ფართე მასები არ მისცემენ ნებას თავის გათავხედებულ მთავრობებს დაიწყონ ახალი ლაშქრობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ გვინდა მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანობა და მშვიდობიანი შრომა.

ჩვენ შეგვიძლია თამამად ვუყუროთ მომავალს კიდევ იმიტომ, რომ ჩვენს ბანაკში მოვლენ აღმოსავლეთის ქვეყნების მრავალმილიონიანი მასები, რომლებიც თავის ერთად-ერთ თანამგრძნობს ხედავენ საბჭოთა კავშირში.

ჩვენ მაგრად გვიჭირავს კომუნიზმის რევოლიუციონური დროშა და დედამიწის ზურგზე არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ამ დროშის გაგდება ჩვენი ხელიდან.

ჩვენ მტკიცედ ვდგევართ ჩვენს ნიადაგზე და სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებამდე ჩვენს ქვეყანაში ვიდგომებით ამ ნიადაგზე, დავიცავთ მას და ვიმუშავებთ მასზე მანამდე, სანამ ჩვენი მაგალითი არ წაახალისებს დანარჩენ ქვეყნებსაც—მუშათა კლასისა და გლეხობის სახით. (მქუხარე ტაში, ინტერნაციონალი).

შემდეგ ყრილობამ მიიღო შემდეგი

რეზოლიუცია

ამხ. რუძუტაკის მოხსენების გამო

მოისმინა რა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. რუძუტაკის მოხსენება, ამიერ-კავკასიის საბჭოთა მე-4 ყრილობა სავსებით და მთლიანად იწონებს საბჭოთა კავშირის მთავრობის როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკას.

ამიერ-კავკასიის მშრომელთა მისწრაფება მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობისადმი, ისე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ერების მისწრაფება, სავსებით ამართლებს საკავშირო მთავრობის მშვიდობიან პოლიტიკას, რომელიც გამოიხატა როგორც საგარანტიო ხელშეკრულებების დადებაში მთელ რიგ მეზობელ სახელმწიფოებთან, ისე იმ პროვოკაციული ცდების უკუქცევაში, რომლითაც ერთი დიდი სახელმწიფოს იმპერიალისტური ხროვა ცდილობდა ჩავეთრიეთ მწვავე კონფლიქტში, რომელიც მთელ ქვეყანას გაეხვევდა ახალი მსოფლიო ომის ქარცეცხლში.

ყრილობა განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს ჩვენს უახლოეს მეზობელთან—ეროვნულ-რევოლიუციონურ ოსმალეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებას, მასთან კეთილმეზობლურ ურთიერთობის განმტკიცებას და ამასთან ერთად სპარსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დასადებათ მოლაპარაკების განახლებას.

ყრილობა აღასტურებს, რომ საკავშირო მთავრობამ საკმაო ენერგია გამოიჩინა იმ ქვეყნების წრის გაფართოვების საქმეში, რომლებიც ხელშეკრულებებით არიან ჩვენთან დაკავშირებულნი, და რომ მთელი პასუხისმგებლობა ჩვენი იმ ცდების ჩაშლაში, რომლებიც მიმართული იყვნენ მშვიდობიანობის უზრუნველყოფისაკენ ევროპაში, ეკისრება ამ ქვეყნების იმპერიალისტურ და მილიტარისტულ დაჯგუფებებს.

საბჭოთა კავშირს, რომელიც წარმოადგენს ნაციონალური საკითხების რევოლიუციონურად, სამართლიანად გადაწყვეტის უმაღლეს ფორმას და რომელმაც მოსპო ნაციონალური უთანასწორობა და ჩაგვრის ყოველგვარი ნაშთები, არ შეეძლო და არც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კოლონიათა ჩაგვრისა და ძარცვის პოლიტიკაში, უთანასწორო ხელშეკრულებათა დადების პოლიტიკაში, რომელსაც ატარებენ კაპიტალისტურ ქვეყნების იმპერიალისტური სახელმწიფოები. ყრილობა ესალმება საკავშირო მთავრობის პოლიტიკას გამოღვიძებულ ჩინეთისადმი, პროლეტარულ სახელმწიფოს ერთად ერთ ღირსეულ და შესაძლებელ პოლიტიკას.

აღნიშნავს რა მთელ რიგ მიღწევებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და რეკონსტრუქციის საქმეში, ყრილობა ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელთა სახელით სიტყვას აძლევს საკავშირო მთავრობას, რომ ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს მას შემდგომ ბრძოლაში მომჭირნეობის რეჟიმისა, სოციალისტური დაგროვებისა, ფასების დაკლებისა და სამეურნეო ორგანოებში ბიუროკრატიზმის, უყაირათობის და მფლანგველობის აღმოფხვრისათვის.

ყრილობა მთლიანად და სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის მთავრობის სამეურნეო პოლიტიკას, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ წარმოების რაციონალიზაცია და მომჭირნეობის რეჟიმი ტარდებოდეს სწორად და ეს ხელს უწყობს მუშების და გლეხების საცხოვრებელ დონის ფაქტიურ ამაღლებას და მათ კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ყრილობა სავსებით იზიარებს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ინტერესების განუყოფლობის პოლიტიკას, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ქალაქის ინდუსტრია უნდა განვითარდეს სოფლის ეკონომიური კეთილდღეობის გაუმჯობესების ნიადაგზე. გადასახადისაგან სავსებით განთავისუფლებულ ღარიბ გლეხობის წრის გაფართოვება, იმ გადასახადების შემცირება, რომელიც ეკისრება სოფლის საშუალო შეძლების მქონე გლეხობის ნაწილს, ამ გადასახადების მთელი სიმძიმის გადატანა კულაკებზე, უზრუნველყოფს საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებას სოფლის მეურნეობაში, გლეხობის მთავარ მასის კეთილდღეობის აღორძინებას, მისი კავშირის განმტკიცებას პროლეტარიატთან და მის მიერ პროლეტარული დიქტატურის და სოციალისტური მშენებლობის დაცვას.

ყრილობა განსაკუთრებით იწონებს საკავშირო მთავრობის სამეურნეო პოლიტიკას, რომლის მიზანია ფაქტიურ უთანასწორობის მოსპობა ყოფილ დიდმპყრობელურ და წინად ჩაგრულ ერებს შორის, ხელის შეწყობაა ეკონომიურად ჩამორჩენილ რესპუბლიკების კულტურულ აღორძინებისა და ინდუსტრიალიზაციისათვის, კერძოთ, ელექტროფიკაციისათვის, აგრეთვე დასამუშავებლად გამოსადეგ მიწების გასაშრობად და მოსარწყავად და ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეების დასამუშავებლად საბჭოთა მთავრობის შემდგომ ნაბიჯებს უზრუნველყოფენ მასების ჩაბმა სახელმწიფო აპარატის მუშაობაში, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან მასში საბჭოთა საზოგადოებრივობის აქტიური მონაწილეობით წინად დაჩაგრულ ერების თანასწორუფლებიანი მონაწილეობა საკავშირო მმართველ ორგანოებში საბჭოთა კავშირის მთავრობას ხდის ს.ს.რ.კ. შემავალ რესპუბლიკებისათვის მზრუნველ და ახლოს მდგომ მთავრობად.

ამიერ-კავკასიის მშრომელთა სახელით ყრილობა აღუთქვამს საკავშირო მთავრობას, რომ საქართველოს, სომხეთის, აზერბეიჯანის, აფხაზეთის, აჭარისტანის, მთიანი ყარაბახის, ნახიჩევანის რესპუბლიკის და სამხრეთ-ოსეთის მუშები და გლეხები მომავალშიაც უდრეკად აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ შემდგომ მშენებლობაში და საბჭოთა კავშირის დაცვაში თავდასხმისაგან, ვისგანაც არ უნდა გამომდინარეობდეს ეს.

პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის, ერთა შორის მშვიდობიანობის და ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური ერთობის განმტკიცებით, სოციალისტურ საფუძველზე ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებით, საბჭოთა აპარატის რაციონალიზაციით, მის გაუმჯობესებაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმით, წითელ არმიაზე საზღვაო და საჰაერო ფლოტზე და მათ გაძლიერებაზე ზრუნვით, ნაციონალურ ნაწილების პოლიტიკურ შენების, სამხედრო მომზადების და კულტურული დონის ამაღლებით, საბჭოთა ამიერ-კავკასიის მშრომელები ამრავლებენ თავის ძალებს, რომელთაც ისინი მოახმარებენ საბჭოთა კავშირის განმტკიცების საქმეს, მის დაცვას და სოციალისტური მშენებლობის მიყვანას ბოლომდე, სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდე.

ყრილობის მისალმებები

ამხ. რუძუტაკის მოხსენების გამო რეზოლიუციის მიღების შემდეგ ყრილობა ადგენს მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნოს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, ამხ. ორჯონიკიძეს, ჩინეთის მებრძოლ ხალხს და ამხ. ვოროშილოვს.

ამხ. საჰინის მისალმება

დასასრულ ყრილობას მისასალმებელი სიტყვით მიმართავს ამხ. საჰინი, რომელიც იგონებს პარიზის კომუნართა თავგადადებულ ბრძოლას მუშათა წყობილების დასამყარებლად და უსურვებს ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას.

ამით დამთავრდა ყრილობის პირველი სხდომა.

საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმში

პარტაღწერის შედეგები ამიერ-კავკასიაში

ამხ. რუბენის მოხსენება

გუშინ დღისით შესდგა საკავშირო კომპარტიის ა. კ. საოლქო კომიტეტის მორიგი პლენუმი. ამხ. რუბენმა გააკეთა მოხსენება პარტიული აღწერის შედეგების შესახებ ამიერ-კავკასიაში.

აღწერის მიზანი

— პარტაღწერის უმთავრესი ამოცანაა, განაცხადა მომხსენებელმა, საადრიცხვო სტატისტიკურ განყოფილებათა მუშაობის კრიტიკული შემოწმება, პარტიის შემადგენლობის სისწორით გამორკვევის მიზნით: ძნელია პარტიის სოციალური შემადგენლობის პრობლემის გადაჭრა, თუ არ გვექნება საკმაო ცნობები მისი შემადგენელი ელემენტების შესახებ.

აღწერის პროგრამაში შედიოდა: გამორკვევა იმის, თუ რამდენად დაკავშირებულია პარტიული მუშა სოფელთან; გამორკვევა დაზგასთან მომუშავე კომუნისტთა პროცენტის და პარტიის პროლეტარული ნაწილის დეტალური ანალიზი; სოფლის პარტორგანიზაციის მუშაობის შემოწმება; პარტიულ, პროფესიონალურ, საბჭოთა და სხვ. აპარატებში მომუშავე კომუნისტთა ჯგუფების დეტალური ანალიზი; სწორი ციფრების მიღება კომპარტიის წევრთა განათლების შესახებ და დაბოლოს პარტიის მიღწევების შემოწმება ავტონომიურ ოლქების და კავშირის რესპუბლიკების ძირითად ეროვნებებს შორის მუშაობის საქმეში.

წინასწარი სამზადისი

პარტაღწერისათვის მოსამზადებელი კამპანია ჩატარებულ იქნა კარგად პრესის დახმარებით.

აღწერისათვის პერსონალი კარგად იქნა შერჩეული, განსაკუთრებით ადგილობრივ ენების ცოდნის მხრივ.

მიუხედავად მთელ რიგ პირობებისა, რომლებიც ხელს უშლიდენ მუშაობას—საარჩევნო კამპანია, კომპარტიის და კომკავშირის კონფერენცია და გარდა ამისა, ცუდი ამინდი—პარტაღწერა მაინც წარმატებით იქნა ჩატარებული.

1927 წლის 10 იანვრისათვის საქართველოში ასაწერი იყო 17.583 პარტიის წევრი და 11.518 კანდიდატი—სულ 29.101 კაცი; აზერბეიჯანში, ბაქოსთან ერთად,—პარტიის 19.669 წევრი და 8.549 კანდიდატი—სულ 28.218 კაცი; სომხეთში—პარტიის 4.812 წევრი და 3.625 კანდ. ე. ი. 8,437 კაცი.

ამრიგად, ამიერ-კავკასიაში ასაწერი იყო 65.765 კომუნისტი. ეს რიცხვი სხვადასხვა ტიპის უჯრედების მიხედვით იყოფოდა ამრიგად: მუშათა უჯრედებში—41,9 პროც., სასოფლო უჯრედებში—30,3 პროც., დაწესებულებათა უჯრ.—17 პროც., უმაღლეს სასწავლებლების უჯრ.—4,7 პროც. და სამხედრო უჯრ.—2,6 პროც., გარდა ამისა, საკანდიდატო ჯგუფებში ირიცხებოდა 2,7 პროც. და ერთეული კომუნისტები იყო 0,8 პროც. როგორც სჩანს, პარტიულთა ძირითადი მასა თავმოყრილია მუშათა უჯრედებში.

აღწერის გარეშე დარჩენილნი

აღწერა საერთოდ დამთავრდა დანიშნულ ვადისათვის, ხოლო ბაქოში—ვადაზე უფრო ადრეც. დანიშნულ ვადისათვის აღურიცხავი იყო: საქართველოში 2.643 კაცი (9,1 პროც.), აზერბეიჯანში 2172 (7,7 პროც.), აქედან ბაქოში—6,7 პროც.; სომხეთში—636 კ. (4,3 პროც.). სულ ამიერ-კავკასიაში დანიშნულ ვადისათვის აღურიცხავი იყო 5,178 კაცი ე. ი. 7,9 პროცენტი.

პარტიის წევრთა და კანდიდატთა საერთო რიცხვიდან აღწერის გარეშე დარჩა წევრების 5,8 პროც. და კანდ. 11,5 პროც. ამრიგად, პარტიის კანდიდატები გამოდგენ უფრო ნაკლებ დისციპლინიანი ვინემ პარტიის წევრები.

დანიშნულ ვადისათვის აღურიცხავ კომუნისტების ციფრი 5.278 ნაწილდება შემდეგნაირად: სამუშაოდ წასვლის გამო—325 კაცი (6,3 პროცენტი), ავადმყოფობის გამო—631 კაცი (13,3 პროც.), შვებულებაში ყოფნის გამო 272 კ. (5.3 პროც.), გამოუცხადებლობა არასაპატიო მიზეზების გამო—2.423 (46,8 პროც.) საწევრო გადასახადის შემოუტანლობის გამო 72 ამხ. (1,4 პროც.), პარტდოკუმენტების უქონლობის გამო—62 (1,2 პროც.), პარტიიდან გამორიცხვის გამო—10 (0.2 პროც.), დაპატიმრების გამო—96 კ. (1.8 პროც.), აღწერილ უჯრედების გარეშე ყოფნის გამო—89 კ. (1,7 პროც.), აღწერის გავლაზე უარი სთქვა—122 კაცმა (2,4 პროც.), მოკვდა 20 ამხ. (0,4 პროც.), დანარჩენი მიზეზები—161 კ. (3,1 პროც.) და გამოურკვეველი მიზეზები—62 კ. (1,2 პროც.).

არა საპატიო მიზეზების გამო აღწერა არ გაუვლია 2.243 კაცს, აღწერის გავლაზე უარი განაცხადა 122 კ. ე. ი. ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების ყველა წევრების და კანდიდატების 0,2 პროცენტმა.

ყველა ეს შედეგები გამოარკვია ა.-კ. პარტთათბირმა, რომელიც შესდგა თებერვალში, პარტაღწერის წინასწარ დამუშავებულ მასალებიდან.

პარტაღწერის გარეშე დარჩენილთა პროცენტი მნიშვნელოვანია შემდეგ მაზრებში: აზერბეიჯანში: ზაქათალას მაზრაში — 26,3 პროც., აგდამში—13.8 პროცენტი, გეოგჩაიში—16,9 პროცენტი, ჯებრაილში — 12,1 პროცენტი; ნუხაში — 15,5 პროცენტი; სალიანში—19, 3 პროცენტი, შემახაში — 12,2 პროცენტი. საქართველოში: აფხაზეთში — 10,5 პროცენტი, ბორჩალოში 11,4 პროცენტი, ლეჩხუმში—16:5 პროცენტი; ფოთში — 10,2 პროცენტი, რაჭაში — 25,8 პროცენტი, თელავში — 11,1 პროცენტი.

პარტაღწერამ გამოარკვია, რომ პარტიაში მიღების დროს არ სწარმოებს მისაღებ პირთა საკმაო შერჩევა, მუშაობა კანდიდატებთან ვერ არის დამაკმაყოფილებლად დაყენებული და საკმაოდ სუსტია ხარისხობრივი აღრიცხვა. ა.-კ. საოლქო კომიტეტმა უკვე მიაქცია ყურადღება ამ ნაკლოვანებებს; უკვე შემუშავებულია და ტარდება პრაქტიკული დირექტივები ხსენებულ ნაკლოვანებათა მოსასპობად.

საკავშირო კომპარტიის ცეკამ დაავალა პარტორგანიზაციებს მოაწყონ აღწერის დამატებითი გავლა 15 მაისამდე, წინადადება მისცა პარტკომებს, რომ მათ სასწრაფოდ განიხილონ სათანადო განცხადებები. პარტაღწერისათვის წარმოებული მთელი მუშაობა უნდა დამთავრდეს 1-ლ ივლისისთვის.

დამატებითი ცნობები აზერბეიჯანიდან

ამიერ - კავკასიის პარტთათბირის შემდგომ დამატებითი ცნობები პარტაღწერის შესახებ მეტად მცირეა და მათზე დაყრდნობით ჯერ არავითარი საბოლოო დასკვნის გამოყვანა არ შეიძლება.

ამ ცნობების თანახმად აზერბეიჯანის 14 მაზრაში ა. წ. 31 მარტამდე დამატებით გაიარა აღწერა პარტიის 60 წევრმა და 102 კანდიდატმა.

ბაქოს პარტორგანიზაციაში კომპარტიის 15.631 წევრიდან აღწერა გაიარა 15.203 კაცმა, აღწერის გარეშე დარჩა 428 კაცი ე. ი. 2,7 პროცენტი, 4.707 კანდიდატიდან აღწერა გაიარა 4.304 კაცმა, აღწერის გარეშე დარჩა 403, ე. ი. 8,6 პროცენტი.

საერთოდ, ბაქოში პარტიის 20.338 წევრისა და კანდიდატიდან აღწერის გარეშე დარჩა 831, ე. ი. 4,1 პროცენტი.

14 სამაზრო პარტორგანიზაციებში პარტიის 4.038 წევრისა და კანდიდატიდან აღწერა გაიარა 3.885 კაცმა. (96.2 პროცენტი). აღწერის გარეშე დარჩა 153 (3,8 პროცენტი). 3.842 კანდიდატიდან აღწერა გაიარა 3.342 კაცმა, აღწერის გარეშე დარჩა 500, ე .ი. 13 პროცენტი.

სულ აზერბეიჯანის კომპარტიის სამაზრო ორგანიზაციების 7.880 წევრისა და კანდიდატიდან აღწერა გაიარა 7.227 კაცმა, აღწერის გარეშე დარჩა 653 კაცი (8,3 პროცენტი).

სულ აზერბეიჯანის კომპარტიაში 28.218 წევრისა და კანდიდატიდან აღწერა გაიარა 26.734 კაცმა, ხოლო აღწერის გარეშე დარჩა 1.454 (5,3 პროცენტი).

ამრიგად პირველი თებერვლის 7,7 პროცენტიდან აზერბეიჯანში პარტაღწერის გარეშე დარჩენილთა პროცენტი დაეცა 5,3 პროცენტამდე. მიუხედავად ამისა ეს პროცენტიც მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს.

ქალაქ ბაქოში და აზერბეიჯანის ხუთ მაზრაში ჩატარებულ აღწერის მასალებიდან სჩანს, რომ არასაპატიო მიზეზების გამო აქ აღწერა არ გაუვლია 816 კაცს, მათ შორის არის 636 მუშა, 174 გლეხი, 53 მოსამსახურე. მუშებს შორის კვალიფიციურები და ნახევრად კვალიფიციურები შეადგენენ 346 კაცს, არაკვალიფიციურები—227 კაცს.

პარტაღწერის გავლაზე უარი სთქვა 60 კაცმა, მათ შორის არის 45 მუშა, 12 გლეხი და 3 მოსამსახურე.

თვით ბაქოში აღწერა არ გაუვლია 712 კაცს, მათ შორის 606 მუშა, 46 გლეხი, 47 მოსამსახურე და 13 დანარჩენი. მუშებს შორის კვალიფიციურები და ნახევრად კვალიფიციურები შეადგენენ 370 კაცს (51,9 პროცენტი), არაკვალიფიციურები — 211 კაცს (29,6 პროცენტი).

პარტსტაჟის მიხედვით ეს 712 კაცი ამნაირად ნაწილდება: კომპარტიის წევრი სტაჟით 1924 წლამდე — 71 კაცი, პარტსტაჟით 1924 წლიდან და შემდეგ 290 კაცი, მათ რიცხვში 1924 წლის ლენინის გაწვევის — 131 (18,4 პროცენტი), პარტიის კანდიდატები 351 (49,3 პროცენტი).

ბაქოს ორგანიზაციის 712 კომუნისტის მიერ აღწერის არგავლის მიზეზები შემდეგია: კომპარტიის 361 წევრიდან აღწერა ავადმყოფობის გამო არ გაუვლია 30 კაცს, შვებულებაში ყოფნის გამო — 19 კაცს, მივლინებაში ყოფნის გამო 22 კაცს.

არასაპატიო მიზეზების გამო არ გამოცხადდა 154 კაცი, აღწერის გავლაზე უარი სთქვა 45 კაცმა, დაპატიმრების გამო არ გამოცხადდა 14 კაცი, გამოურკვეველ მიზეზების გამო — 67, სხვა მიზეზების გამო — 10 კაცი. 351 კანდიდატიდან ავადმყოფობის გამო აღწერა არ გაუვლია 17 კაცს, შვებულებაში იყო 8, მივლინებაში — 22, დაპატიმრებული იყო 3 კაცი, აღწერის გავლაზე უარის თქმა — 70 კაცმა, აღწერის გარეშე დარჩა გამოურკვეველ მიზეზების გამო — 62, დანარჩენ მიზეზების გამო—11.

საერთოდ აღწერის გარეშე დარჩენილ ბაქოელ 712 კომუნისტიდან 47 კაცმა (6,6 პროცენტი) არ გაიარა აღწერა ავადმყოფობის გამო, 27 (3,8 პროც.) იყო შვებულებაში, 44 კაცი (6,2 პროცენტი) — მივლინებაში, არასაპატიო მიზეზების გამო აღწერაზე არ გამოცხადდა 312 კაცი (43,8 პროცენტი), აღწერის გავლაზე უარი სთქვა 115 კაცმა (16,2 პროცენტი; დაპატიმრებული იყო — 17 (2,4 პროცენტი), გამოურკვეველ მიზეზების გამო აღწერა არ გაუვლია 129 კაცს (18,1 პროცენტი) და დანარჩენ მიზეზების გამო — 21 კაცს (2,9 პროცენტი).

გარდა ამისა ბაქოში აღწერის წინ აღრიცხვიდან მოხსნილ იქნა 597 კაცი („მკვდარი სულები“ და სხვა), ე. ი. 2,9 პროცენტი.

აზერბეიჯანის ხუთ მაზრაში აგდამის, განჯის, ზაქათალის, ყარაბახის და შემახის მაზრებში ჩატარებულ აღწერიდან სჩანს, რომ აქ არასაპატიო მიზეზების გამო აღწერა არ გაუვლია 151 კაცს, აღწერის გავლაზე უარი სთქვა 15 კაცმა. ამ 166 კაციდან არის მუშა — 58 (34,9 პროცენტი), გლეხი — 87 (52,4 პროცენტი), მოსამსახურე — 11 (6,6 პროცენტი) და დანარჩენები—10 (6,1 პროც.).

მთელს აზერბეიჯანის ორგანიზაციაში აღწერის გარეშე დარჩა 867 კომუნისტი, რაც აზერბეიჯანის კომპარტიის წევრების საერთო რიცხვის — 28.218 კაცი — 3,1 პროცენტს შეადგენს.

დამატებითი ცნობები საქართველოდან

საქართველოში დამატებითი აღწერა გაიარა 990 კაცმა. 1-ლ აპრილისათვის აღწერის გარეშე დარჩენილია 1.550 კაცი. ამრიგად აღწერის გარეშე დარჩენილთა პროცენტი 9,1-დან 5,3-მდე დაეცა.

ქალაქ თბილისში, აფხაზეთში, ბორჩალოს, ლეჩხუმის; ოზურგეთის; ფოთის, რაჭის და სენაკის მაზრებში არასაპატიო მიზეზების გამო აღწერის გარეშე დარჩენილთა შესახებ არსებულ ცნობებიდან სჩანს, რომ აღწერის გარეშე დარჩენილ 407 კაციდან არის მუშა — 165, გლეხი — 217, მოსამსახურე — 25. 165 მუშიდან კვალიფიციური და არაკვალიფიციური—52.

407 კაცი ხსენებულ ჯგუფის წევრების და კანდიდატების მთელ რაოდენობასთან შეფარდებით — 17.988 კაცი — შეადგენს 2,3 პროცენტს, ცალკე თბილისში კი—1,9 პროცენტს.

აღწერის გარეშე დარჩენილთა საერთო ჯამი

სომხეთიდან დამატებითი ცნობები არ მოსულა. სულ 8.437 კაციდან აღწერის გარეშე დარჩა 363, ე. ი. 4,3 პროცენტი. 363 კაციდან აღწერა არასაპატიო მიზეზების გამო არ გაუვლია 148, ე. ი. 1,9 პროცენტს.

საერთოდ, ა. წ. 1-ლ აპრილისათვის დამატებითი ცნობების მიხედვით ამიერ-კავკასიაში არასაპატიო მიზეზების გამო პარტაღწერა არ [illegible] და 1.373 კ. (აზერბეიჯანში — 816, საქართველოში — 407 და სომხეთში — 150), მაშინ, როცა 1-ლ თებერვლისათვის [illegible] 2,365 კაცამდე. ეჭვს გარეშეა. რომ 1-ლ ივლისისთვის ციფრი 1.373 მნიშვნელოვნად შემცირდება. 1.373 კაცი ა. - კ. პარტორგანიზაციების წევრებისა და კანდიდატების საერთო რიცხვთან შეფარდებით შეადგენს 2,1 პროცენტს.

უმთავრესი მიზეზები, რომელთაც ეყრდნობიან დარჩენილი ამხანაგები, აღწერის გარეშე არის: ავადმყოფობა, სიბერე, ოჯახის წევრთა ავადმყოფობა, დაღლილობა, მაგარი პარტდისციპლინა, პარტიის კანდიდატად „დაძველება“ და სხვა. პარტიის პოლიტიკაზე უკმაყოფილების გამოთქმის შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

საერთო დასკვნა

ეყრდნობა რა ყველაფერს, რაც ზემოთ იყო თქმული, ამხ. რუბენი მიდის შემდეგ დასკვნამდე:

ა.-კ. პარტორგანიზაციების გაცხრილვა კანონზომიერია. ასეთი გაცხრილვა აუცილებელია მომავალშიაც, თუ პარტიის შემადგენლობის ზრდისა და მოწესრიგების პრობლემას არ მიექცევა სათანადო ყურადღება. გაცხრილვა უმთავრესად მოხდა პარტიის ახალ წევრების და კანდიდატთა შემადგენლობის ხარჯზე. ის გარემოება, რომ აზერბეიჯანში მუშების შედარებით დიდ პროცენტს არ გაუვლია აღწერა აიხსნება იმით, რომ იქ მუშებს ხშირად ღებულობენ პარტიაში არასაკმაოდ შემოწმებით. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ცალკე წარმოებებიდან არა გვაქვს ცნობები, მაინც შეგვიძლია გამოვაცხადოთ, რომ ზოგიერთ ადგილას ცუდად იყო დაყენებული პარტიულ - აღმზრდელობითი მასიური მუშაობა, რომ საწევრო გადასახადები არ იკრიფება თავის დროზე და სხვა.

მიუხედავად გაცხრილვისა, აღწერამ გამოარკვია ა.-კ. პარტორგანიზაციის სიმტკიცე. პარტაღწერის შედეგები მთლიანად უმდიდრეს მასალას იძლევა ორგანიზაციის შემადგენლობის ზრდისა და მოწესრიგების შემდგომი პრობლემისათვის. ერთ - ერთი უმთავრესი დასკვნაა: საჭირო მუშების პროცენტის გადიდება, მასიურ მიღების მეთოდის გარეშე და მოსამსახურეების და გლეხების მიღების რამოდენიმეთ შენელება. აღწერამ ადგილზე უმდიდრესი მასალა მოგვცა პარტიულ ხელმძღვანელობის ყოველდღიურ პრაქტიკისათვის. ადგილებზე ჩატარებულ პარტაღწერის შედეგები უნდა განიხილოთ აგრეთვე თვითშემოწმების თვალსაზრისით; პარტიიდან მექანიკურად გასვლის უმთავრესი მიზეზებია შემდეგი: პარტიიდან გასულთა არასაკმაოდ ჩაბმა საორგანიზაციო და პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობაში, ნაწილობრივად უკმაყოფილება პარტსწავლებით, საზოგადოებრივ მოვალეობებით დატვირთვა, ყოფა - ცხოვრების პირობები და, დაბოლოს, სათანადო მიუდგომლობა პარტიაში წევრების ჩაბმის საქმისადმი. პარტორგანიზაციამ ახლო მომავალში უნდა მიიღოს ყველა შესაძლო ზომები იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს პარტიიდან იმათი გასვლა, რომელთა დატოვება პარტიის რიგებში აუცილებელია, და შეძლებისდაგვარად მოსპოს პროლეტარული კადრის შემდგომი შემცირება პარტიაში.

რეზოლიუცია

ამხ. რუბენის მოხსენების გამო

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის პლენუმმა, მოისმინა რა მან მოხსენება ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების პარტაღწერის წინასწარი შედეგების შესახებ აღნიშნავს:

1) მიუხედავად მძიმე ობიექტიური პირობებისა, რომელშიაც მიმდინარეობდა პარტიული აღწერა, იგი საერთოდ და მთლიანად დამაკმაყოფილებლად ჩატარდა როგორც კომუნისტების რაოდენობის გამორკვევის, ისე აღწერის წინაშე დასმული ამოცანების მხრივ, და დადებითი შედეგები მოგვცა.

პარტიული ორგანიზაციების წინაშე ხდგას აღწერისაგან მიღებული მასალების ყოველმხრივი შესწავლისა და დამუშავების და აგრეთვე აღწერის საორგანიზაციო გამოცდილების შესწავლის ამოცანა.

2) აღწერამ გვიჩვენა ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების სრული სიმტკიცე.

მოსამზადებელი მუშაობის პროცესში და თვით აღწერის დროს ჩატარებული ორგანიზაციის რიცხვობრივად უმნიშვნელო ზოგიერთი ნაწილის გაცხრილვა მოხდა პარტიის ახალგაზრდა წევრთა და კანდიდატთა ხარჯზე და საერთოდ და მთლიანად იგი ნორმალურად შეიძლება ჩაითვალოს. რამოდენიმე ასეული მუშის გაცხრილვა გახდა მუშების მასიურად მიღების ხარჯზე. გაცხრილვაში არ იყო არც აშკარა და არც ფარული საპროტესტო ელემენტი, მიმართული პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ.

3) აღწერის შედეგები ერთხელ კიდევ აყენებს პარტორგანიზაციის შემადგენლობის ზრდისა და მოწესრიგების საკითხისადმი ყურადღებით მოპყრობის ამოცანას.

ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების სოციალური შემადგენლობის ერთგვარი გაუარესება გაცხრილვის შემდეგ, აყენებს ამოცანას მუშების ჩაბმისა პარტიაში იმგვარად, რომ არ მივმართოთ მასიური მიღების მეთოდებს და გლეხებისა და მოსამსახურეთა პარტიაში მიღების შეკვეცას უახლოეს მომავლისათვის.

პლენუმი ავალებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმს, შეამოწმოს, თუ როგორ იქნა გატარებული წარსული პლენუმის დირექტივა პარტიის შემადგენლობის ზრდისა და მოწესრიგების საკითხის შესახებ.

4) აღწერამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთ ადგილას სუსტად არის დაყენებული პარტიულ-აღმზრდელობითი და საორგანიზაციო მუშაობა, კანდიდატები სუსტად არიან ჩაბმულნი მუშაობაში, ჯეროვანად არ არის მომზადებული მასიური მუშაობა და აგრეთვე არ არსებობს საკმაოდ მტკიცე დისციპლინა (განსაკუთრებით პარტგადასახადის თავის დროზე შეუტანლობა); პლენუმი ავალებს პრეზიდიუმს მისცეს ადგილებს სპეციალური დირექტივა ამ საკითხში.

5) პლენუმი წინადადებას აძლევს ყველა პარტორგანიზაციებს, ფართოდ აცნობონ პარტიული აღწერის გარეშე დარჩენილ ამხანაგებს, რომ მათ 15 მაისამდე შეუძლიათ ადგილობრივ პარტკომიტეტში დასვან საკითხი დამატებითი აღწერის შესახებ და მთელი მუშაობა პარტაღწერისათვის ა. წ. 1 ივლისისათვის დაამთავრონ.

6) პლენუმი წინადადებას აძლევს აგრეთვე ყველა პარტორგანოებს მიიღონ ზომები თავისი ორგანიზაციების რაოდენობითი და თვისობრივ აღრიცხვის გაუმჯობესებისათვის.

ჩინეთის მშრომელთა ერთიანი ფრონტი იმპერიალისტების წინააღმდეგ

გომინდანის მემარცხენე ფრთის ლიდერი ვან-ტინ-ვეი დაბრუნდა ჩინეთში.--ჩან-კაი-შის განცხადება

იაპონია თავს იკავებს ახალი ჯარების გაგზავნისაგან ჩინეთში.-შეტაკება ხანკოუში

ვან-ტინ ვეის დაბრუნება ჩინეთში

შანხაი, 4 აპრილი. ევროპიდან ჩინეთში დაბრუნდა გომინდანის გამოჩენილი ბელადი, გომინდანის აღმასკომის, პოლიტბიუროს და კანტონის ნაციონალური მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ვან-ტინ-ვეი, რომელიც ერთი წელიწადია წასული იყო ჩინეთიდან.

ვან-ტინ-ვეი დროებით შეჩერდა შანხაიში, სადაც მან ინახულა ჩან-კაი-ში და ნაციონალურ მთავრობის ფინანსთა მინისტრი სუნ-ცზი-ვენ.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ვან-ტინ-ვეიმ განაცხადა:

„ჩვენი მიზანია განვახორციელოთ ჩინეთში სახალხო რევოლიუცია და გავაფართოვოთ ანტი-იმპერიალისტური ფრონტი. მე დარწმუნებული ვარ, რომ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ მხარს დაგვიჭერენ მთელი ქვეყნის მშრომელი მასსები. ეს ბრძოლა ჩვენი მთავარი ამოცანაა“.

ვან-ტინ-ვეი

შანხაი, 4 აპრილი. ვან-ტინ-ვეი არის ჩინეთის პირველი რევოლიუციის (1911 წლის) ერთ-ერთი მონაწილე. და სუნ-იატ-სენის უახლოესი თანამშრომელი. სუნ-იატ-სენის გარდაცვალების შემდეგ ვან-ტინ-ვეის როლი განსაკუთრებით გაიზარდა და ის გომინდანის მემარცხენე ფრთის ფაქტიური ლიდერი გახდა, ხელმძღვანელობდა რა ერთ და იმავე დროს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და ნაციონალურ მთავრობას. საზღვარგარეთ გამგზავრების წინ 1926 წელს ვან-ტინ-ვეი იყო აგრეთვე ბამპის სამხედრო აკადემიის პოლიტიკური ხელმძღვანელი.

დაეყრდნო რა ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციების სურვილს, გომინდანის კონფერენციამ 1926 წლის ოქტომბერში მიიღო დადგენილება, რომ ვან-ტინ-ვეი დაბრუნებოდა პოლიტიკურ მუშაობას.

ჩან--კაი-შის ცირკულიარი ვან-ტინ-ვეის შესახებ

შანხაი, 4 აპრილი. ვან-ტინ-ვეის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ჩან-კაი-შიმ დაგზავნა ცირკულიარული დეპეშა, რომელიც გამოქვეყნებულია აგრეთვე პრესაში. დეპეშაში ნათქვამია:

„ჩვენი არმიის ძალები გაიზარდა და განმტკიცდა მთელს სამხრეთ-აღმოსავლეთში. იან-ცზიანის ჩრდილოეთით ყველა რაიონებიდან მოდის ცნობები გამარჯვების შესახებ. ხენანში მოწინააღმდეგე ვერ უძლებს ჩვენს იერიშებს. გამარჯვების ამ პერიოდში შესაძლებელია ნამდვილად გაერთიანებულ იქნეს პარტია იმ კაცის ხელმძღვანელობის ქვეშ, რომელიც მთელი პარტიის ნდობით სარგებლობს. ამით ჩვენ მოვსპობთ ყოველგვარ გაუგებრობას, უთანხმოებას და დაბრკოლებებს, რაც საშუალებას მოგვცემს საბოლოო გამარჯვებამდე მივიყვანოთ ნაციონალური რევოლიუცია.

ერთი წლის შვებულების და ავადმყოფობის შემდეგ ვან-ტინ-ვეი დაბრუნდა სამშობლოში. მისი დაბრუნება უდიდესი ბედნიერებაა. ვან-ტინ-ვეი პარტიის ყველაზე უფრო ერთგული მეგობარაა. მე ღრმად დარწმუნებ. ვარ, რომ ის შეძლებს პარტიის საძირკველის განმტკიცებას, უზრუნველყოფს ნაციონალური რევოლიუციის გამარჯვებას და ბოლომდე შეასრულებს სუნ-იატ-სენის ანდერძს.

ვან-ტინ-ვეის დაბრუნების შემდეგ ყველა სამხედრო და პოლიტიკური საკითხები და აგრეთვე საგარეო პოლიტიკის და ფინანს. საკითხებიც უნდა წყდებოდეს მისი ხელმძღვანელობის ქვეშ. მე ჩემ მთელ ძალ-ღონეს მოვანდომებ მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო საქმეებს, რათა ჩვენ შევძლოთ რევოლიუციის ბოლომდე მიყვანა. მე იმედი მაქვს, რომ უფროსთა შემადგენლობა დაემორჩილება და ყოველმხრივ მხარს დაუჭერს ვან-ტინ-ვეის, რათა მას საშუალება მიეცეს შეასრულოს თავისი მოვალეობა“.

ინგლისელები აფართოებენ „გავლენის“ სფეროს

ლონდონი, 5 აპრილი. „დეილი ნიუსის“ შანხაელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ შანხაიში მყოფ ინგლისურ ჯარებს მიცემული აქვთ ინსტრუქციები დაიკავონ შანხაის უცხოელთა კვარტალის გარეთ ახალი უბნები. (ადს).

იაპონია სიფრთხილეს იჩენს

ტოკიო, 4 აპრილი. იაპონიის მთავრობის ოფიციალური პოზიცია ჩინეთის საკითხში გამჟღავნებულია პრესაში გამოქვეყნებულ ცნობაში: „იაპონია შიშობს, რომ ჯარების გაგზავნამ ჩინეთში შესაძლოა გააღრმაოს გომინდანის მემარჯვენე და მემარცხენე ფრთის უცხოელების, კერძოთ, იაპონიის წინააღმდეგ, რაც გამოიწვევს მდგომარეობის გაუარესებას. ამიტომ, მიუხედავად უკიდურესი პროვოკაციისა, იაპონიამ გადასწყვიტა თავიდან აიცილოს ჯარების გაგზავნა“. უცხოელი კორესპონდენტები დარწმუნებული არიან, რომ „იაპონიის მხრივ სამხედრო ღონისძიებებზე ხელის აღება გამოწვეულია იმით, რომ მას არ სურს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაფუჭება“. (ადს).

ამერიკაც არ ჩამორჩება

ვაშინგტონი, 4 აპრილი. გარეშე საქმეთა სამინისტრო ამზადებს ნოტას ეროვნ. მთავრობისადმი. ნოტა შეეხება ნანკინში მომხდარ ინციდენტს.

შესაძლებელია ამერიკის ნოტა და ინგლისის ნოტა ერთდროულად გაიგზავნოს. (ადს).

კონსერვატიული პრესის ზეიმი

ლონდონი, 5 აპრილი. კონსერვატიული პრესა ესალმება მთავრობის გადაწყვეტილებას ახალ დამხმარე ძალთა გაგზავნის შესახებ ჩინეთში.

ლიბერალური გაზეთები არ აცხადებენ, მაგრამ გამოსთქვამენ რწმენას, რომ ეს ზომა არ ნიშნავს ინგლისის მთავრობის პოლიტიკის შეცვლას. მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდი“ სწერს:

„დეე იცოდენ შუბლმაგრებმა, რომ ინგლისის შეკავშირებული მუშები მთელი ძალღონით გაუწევენ წინააღმდეგობას ომს და სისხლის ღვრას ჩინეთში“.

მაგრამ გაზეთი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა ზომები იქნება მიღებული, რომ წინააღმდეგობა მართლა რეალური გამოდგეს.

საფრანგეთის პროტესტი

პარიზი, 5 აპრილი. საფრანგეთის მთავრობის დავალებით, პეკინში მყოფმა საფრანგეთის ელჩმა გადასცა მთავრობას პროტესტი ნანკინში ორი ფრანგი მისიონერის მოკვლის გამო. გარდა ამისა წარდგენილია მოთხოვნილება ზარალის ანაზღაურების შესახებ.

შანხაისა და ნანკინის შორის კავშირი აღდგენილია

შანხაი, 4 აპრ. აღდგენილია კავშირი ნანკინთან, რომელიც უკანასკნელ დროს მოწყვეტილი იყო შანხაისაგან. უკვე რეგულიარულად მოდის ცნობები. ირკვევა, რომ პირველად შანხაიში გავრცელებული ხმები ძლიერ აზვიადებდენ ნანკინის მსხვერპლთა რაოდენობას.

შეტაკება იაპონელებსა და ჩინელებს შორის ხანკოუში

ტოკიო, 4 აპრილი. აქაური გაზეთების კორესპონდენტები ხანკოუდან იუწყებიან იაპონელ მეზღვაურებსა და ჩინელებს შორის მომხდარ სისხლის მღვრელ შეტაკების შესახებ, რომლის დროს მოკლულ იქნა და დაიჭრა რამოდენიმე ჩინელი. ზოგიერთი კორესპონდენტები აცხადებენ, რომ, თითქოს შეტაკება გამოიწვია „კომუნისტების“ ცდამ ხელში ჩაეგდოთ იაპონიის კონცესია.

გაზეთები იუწყებიან, რომ იაპონიის საზღვაო ძალების სარდალმა შანხაიში გადასწყვიტა გაგზავნოს ხანკოუში სამხედრო გემები. გარეშე საქმეთა სამინისტრ. არ უარყოფენ ხანკოუდან მიღებულ ცნობებს, მაგრამ აცხადებენ, რომ შეტაკება უმნიშვნელო იყო და მას ჰქონდა შემთხვევითი ხასიათი.

მუშათა საერთაშორისო დელეგაცია ჩანშაში

ჩანშა, 4 აპრილი. ჩანშაში მუშათა საერთაშორისო დელეგაციის ჩასვლის გამო გაიმართა სადილი, რომელსაც დაესწრენ გომინდანის ადგილობრივი ორგანიზაციის, მუშურ-გლეხური ორგანიზაციების, ვაჭრების და სტუდენტთა კავშირების წარმომადგენლები. სადილის შემდეგ მიუხედავად ძლიერი წვიმისა გაიმართა მრავალ რიცხოვანი ღია მიტინგი, რომელზედაც დელეგატები გამოვიდენ მისალმებებით. 2 აპრილს დელეგატები სპეციალური მატარებლით გაემგზავრენ უხანში. (ადს).

„ზოგიერთი ცვლილებები“

ნიუ-იორკი, 5 აპრ. „იუნაიტედ პრეს“-ის სააგენტოს ცნობით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა ამერიკის ელჩს პეკინში შეიტანოს ზოგიერთი შესწორებები სახელმწიფოებთან ნოტაში ნაციონალურ მთავრობის სახელზე ნანკინის ამბების გარშემო. ელჩისათვის მიცემული ინსტრუქციები შესაძლებლად სცნობენ ნაციონალური მთავრობისადმი ნოტის წარდგენას ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით და წინადადებით, რათა მომავალში დაცულ იქნას უცხოელთა სიცოცხლე და ქონება, მაგრამ ელჩს ნება არა აქვს წარადგინოს ულტიმატუმი არც შეერთებული შტატების და არც დაინტერესებულ სახელმწიფოთა სახელით. ითვალისწინებს რა ნაციონალური მთავრობის სამხედრო ძლიერების ზრდას, შეერთებულ შტატების მთავრობას არ სურს წარუდგინოს უკანასკნელს ისეთი მოთხოვნილებები, რომელთა შესრულებაც საეჭვოა და რომლებიც ჩინეთში გაზრდიან უკმაყოფილებას ამერიკელებისადმი. ხმების მიხედვით, უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს პეკინში დღემდე არ გადაუწყვეტიათ ვის ჩააბარონ ნოტა ნანკინის ამბების გარშემო—ევგენი ჩენს თუ ჩან-კაი-შის. (ადს).

პონსონბი ნანკინის ამბების შესახებ

ლონდონი, 4 აპრ. „დეილი ჰერალდ“-ის წარმომადგენელთან საუბრის დროს მუშათა პარტიის წევრმა არტურ პონსონბიმ ნანკინის ამბების შესახებ განაცხადა შემდეგი:

„არსებულ პირობებში არ არის ძნელი ჩინელების სისასტიკით და უცხოელებზე თავდასხმით გამართლება იმ დიპლომატიური პოლიტიკის ჩინეთის მიმართ, რომელიც ამზადებს მტრულ გამოსვლას.

— ჩინეთში — განაცხადა პონსონბიმ — სწარმოებს სამოქალაქო ომი, რომელიც საფრთხეში აგდებს ყველას, ვინც სამხედრო მოქმედებათა რაიონებში იმყოფება. მთავრობა თავისი უგუნურობით შესაძლოთ ხდის, რომ ამ სამოქალაქო ომის ცეცხლში იწოდენ ინგლისელი მოქალაქენიც. ამიტომ მთავრობა დაგმობის ღირსია. ჩვენი ქვეყანა არ დაუჭერს მხარს მთავრობას, რომელიც ცდილობს გამონახოს საბაბი ამ ცეცხლის კიდევ უფრო გაღვივებისათვის“. (ადს)

ახალი ჯარები ჩინეთში

ლონდონი, 4 აპრ. „ტაიმს“-ის ჰონკონგელ კორესპონდენტის ცნობით. შანხაიში გადმოსხეს ინგლისის ქვეითი ჯარის რაზმი. ახლო მომავალში გადმოსხამენ აგრეთვე ტყვიისმფრქვეველთა გუნდს და საარტილერიო ბატარეას. (ადს)

მეორე ინტერნაციონალი და ჩინეთის საკითხი

პარიზი, 4 აპრილი. ბალკანეთზე და ჩინეთში არსებულ ომის საფრთხესთან დაკავშირებით პარიზში მოწვეულ იქნა მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალთა აღმასკომების სხდომა.

ჩინეთის საკითხის გარშემო მიღებული რეზოლიუცია მოუწოდებს პროფკავშირებს და სოციალისტურ პარტიებს გააძლიერონ აგიტაცია პრივილეგიების და ექსტერიტორიალობის გაუქმების, კონცესიებზე უარის თქმის და აგრეთვე უცხოეთის ჯარების და სამხედრო გემების უკან გამოწვევის სასარგებლოდ. რეზოლიუცია სოციალისტურ პარტიების საპარლამენტო ფრაქციებს მოუწოდებს ხმა მისცენ ჩინეთში სამხედრო ხარჯების გაღების წინააღმდეგ.

მიღებულია აგრეთვე საპროტესტო რეზოლიუცია იმის წინააღმდეგ, რომ იტალიამ უარი განაცხადა სამხრეთ - სლავიასთან მომხდარი კონფლიქტის ერთა ლიგისათვის გადაცემაზე. (დას)

შუბლმაგარნი სთესენ პანიკას

ლონდონი, 5 აპრილი. „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, ინგლისის საკონსულოებს ჩინეთში მიცემული აქვთ ინსტრუქციები გააფრთხილონ ჩინეთის შიგნით რაიონებში მცხოვრები ინგლისელი მოქალაქენი, რომ ისინი დაუყოვნებლივ გაემგზავრონ შანხაიში, ტიან-ძინში და სხვა განაპირა ნავთსადგურებში. იმ ინგლისელმა მოქალაქეებმა, რომლებიც მოისურვებენ ჩინეთის შიგნით რაიონებში დარჩენას, ამ გაფრთხილების შემდეგ, უნდა იკისრონ პასუხისმგებლობა შესაძლებელ შედეგებზე. (ადს).

შანხაის დამცველი კორპუსი

ლონდონი, 4 აპრ. შანხაიში ახალი ქვეითი ბრიგადის ჩასვლის შემდეგ შანხაის დამცველ კორპუსის რაოდენობა მიაღწევს 23.000 ჯარისკაცამდე, საზღვაო ქვეითი ნაწილის ჩათვლით. (ადს)

შანხაის პროფკავშირთა კონფერენცია

შანხაი, 4 აპრ. დამთავრდა შანხაის პროფკავშირთა კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 1.000-ზე მეტი დელეგატი.

კონფერენციამ დაადგინა განაგრძოს ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ, მხარი დაუჭიროს ნაციონალურ მთავრობას, განაძლიეროს მუშების შეიარაღებული თავდაცვა და განამტკიცოს მუშების და ჯარისკაცების კავშირი. (ადს)

ესტონეთ-საბჭ. კავშირის მოლაპარაკების გარშემო

რეველი, 5 აპრილი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. პეტროვსკისა და ესტონეთის დელეგაციის უკანასკნელ თათბირზე, ერთგვარი გარდატეხა მოხდა ესტონეთის დელეგაციაში. ამასთან ერთად, ქალაქში, გაზეთების რედაქციებში და საგარეო საქმეთა სამინისტროში გავრცელდა ხმა, რომ თითქოს, ორი კვირის წინად შეწყვეტილი ოფიციალური მოლაპარაკება, სინამდვილეში გადიდო განუსაზღვრელი დროით. ამის გამო ამხ. პეტროვსკიმ საგარეო საქმეთა მინისტრს აკელს მიმართა ნოტით, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია: „საბჭოთა კავშირის მთავრობა კვლავ დგას მოლაპარაკების გაგრძელების თვალსაზრისზე და დარწმუნებულია, რომ, თუ ორივე მხარე გამოიჩენს კეთილგონიერებას, ეს მოლაპარაკება წარმატებით იქნება დასრულებული. ამიტომ საბჭოთა მთავრობა ვერ იკისრებს პასუხისმგებლობას მოლაპარაკების ჩაშლისათვის და იმედი აქვს, რომ ესტონეთის მთავრობაც არ ისურვებს ამ პასუხისმგებლობის აღებას“.

საპასუხო ნოტაში ამხ. პეტროვსკის სახელზე საგარეო საქმეთა მინისტრი აკელი აცხადებს შემდეგს: „ესტონეთის დელეგაციის თავმჯდომარემ გელლატმა გვაუწყა, რომ მორიგი სხდომა შესდგება უქმეების შემდეგ. სიხარულით ვიღებ ცნობას საბჭოთა კავშირის მთავრობის სურვილის შესახებ განაგრძოს მოლაპარაკება და მის რწმენის შესახებ ამ მოლაპარაკების წარმატებით დასრულებაში. ესტონეთის მთავრობა არა ნაკლები ყურადღებით ადევნებს თვალყურს მოლაპარაკებას და წინანდებურად სიხარულით ეგებება ხელშეკრულების დადებას“. (ადს).

საომარი სამზადისი ალბანეთში

ვენა, 4 აპრილი. სამხრეთ-სლავიის პრესა კვლავ აქვეყნებს ცნობებს საომარ მზადების შესახებ ალბანეთში.

პრესის ცნობების თანახმად, ტარაბოშის მთაზე, სკუტარის მახლობლად მოთავსებულია რაზმი, შეიარაღებული ზარბაზნებით და 4 ტყვიისმფრქვეველით. ვალონში იტალიელებმა გადაზიდეს 130 საბარგო ავტომობილი. (ომახინჯებულია...) გაგზავნილია სამთო არტილერია, იქ გახსნილია სანაპირო ჯარების მთავარი სამხედრო დეპო. მეორე დეპო გახსნილია ტირანის მახლობლად.

სამხრეთ-სლავიის პრესა ემყარება აგრეთვე „ჩიკაგო ტრიბიუნ“-ის სპეციალ. კორესპონდენტის ცნობებს. (კორესპონდენტმა მოიარა ალბანეთის სამხრეთ-სლავიის საზღვრის განაპირა რაიონი). კორესპონდენტის სიტყვით, სკუტარში ამას წინად გადასხეს 6.000 იტალიელი ჯარის კაციდან შემდგარი რაზმი, გამზადებული საომრად, შვიდი ჯავშნოსანით, შემდეგ კორესპონდენტი იტყობინება, რომ დურაცოში გადასხეს 40 ბათალიონი და გადაზიდეს 4 შორს-მსროლელი ზარბაზანი, 50 საბარგო ავტომობილი და დიდძალი ამუნიცია. ალბანელ ჯარების გაწვრთნა დაკისრებული აქვთ იტალიელ ოფიცრებს. სკუტარში გარნიზონის სარდლობა დაკისრებული აქვს იტალიელ ოფიცრებს. სკუტარის გარშემო იტალიელი ინჟინრების ხელმძღვანელობით ეწყობა სიმაგრეები. (ადს).

რეფორმისტების მოღალატეობა

პარიზი. 4 აპრილი. ნორის, პა დე კალეს და ანზენის ოლქების სანახშირო მრეწველობის მუშათა რეფორმისტულ პროფკავშირების ყრილობამ ერთხმად მოიწონა ამ კავშირების მიერ ხელმოწერილი შეთანხმება სამუშაო ხელფასის დაკლების შესახებ, გაფიცვა სცნო „საზიანოდ მუშათა ინტერესებისათვის“ და უარყო უნიტარულ პროფკავშირების წინადადება მთლიანი ფრონტის შექმნის შესახებ.

ბურჟუაზიული პრესა ზეიმობს, რადგან ამ დადგენილებას სთვლის გამარჯვებად, რომელიც მან მოიპოვა მუშების და მწარმოებლების პირველ შეტაკებისთანავე რაციონალიზაციის და სტაბილიზაციის ნიადაგზე.

კანადის შრომის კონგრესი

ვაშინგტონი, 4 აპრილი. დამოუკიდებელ პროფკავშირთა 12 ჯგუფის ყრილობამ მონრეალში დაარსა კანადის შრომის კონგრესი იმ მიზნით, რომ იგი დაუპირდაპირონ ამერიკის შრომის ფედერაციას.

კონგრესის მომწყობნი ამტკიცებენ, რომ იგი აერთიანებს 100.000 კაცს. კონგრესის დაარსება ნიშნავს კანადის პროფკავშირთა დამოუკიდებლობის მომხრეთა მოძრაობის გაძლიერებას.

დეკლარაციაში, რომელიც გამოქვეყნდა კონგრესის დაარსების გამო, ნათქვამია:

„კანადის მუშათა მოძრაობა უნდა იქნას განთავისუფლებული იმ პროფკავშირთა გავლენისაგან, რომელიც კანტროლს უწევს ამერიკის შრომის ფედერაცია. (ადს)

შუბლმაგართა ახალი შეტევა

კანონი პროფკავშირების წინააღმდეგ

ლონდონი, 4 აპრილი. გენერალური პროკურორის მიერ თემთა პალატაში შეტანილია ახალი კანონ-პროექტი პროფკავშირთა უფლებების შესახებ. კანონპროექტი უკანონოდ აცხადებს ყველა გაფიცვებს, რომელთაც „მიზნად ექნება მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენა და საზოგადოების დაფრთხობა“. კანონ-პროექტით გათვალისწინებულია მძიმე სასჯელი, როგორც დაჯარიმებით, ისე დაპატიმრებით იმათ მიმართ, რომლებიც იქნებიან ასეთი უკანონო გაფიცვების ხელმძღვანელები ან მონაწილენი. ამასთანავე პროფკავშირებს უფლება ერთმევა აიძულონ თავიანთი წევრები გადაიხადონ თანხები პოლიტიკურის ხასიათის ფონდები გასაძლიერებლად, თუ მათ ამის შესახებ არ ექნებათ სათანადო წერილობითი თანხმობა.

პოლიტიკური მიზნებისათვის დაარსებული ფონდის გამოყოფილ უნდა იქნეს პროფკავშირთა თანხებიდან. (ადს).

ჩინეთის ამბები

საფრანგეთი და საზღვაო განიარაღება

პარიზი, 4 აპრილი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ საფრანგეთის მთავრობამ პასუხი გაუგზავნა შეერთებულ შტატებს კულიჯის სახელზე, რომელმაც ამას წინად წინადადება მისცა საფრანგეთის მთავრობას გაეგზავნა თავისი წარმომადგენელი ინგლისის, შეერთებული შტატების და იაპონიის მომავალ კონფერენციაზე, რომელმაც უნდა გაარჩიოს საზღვაო შეიარაღების საკითხი. თავის პასუხში საფრანგეთის მთავრობა აღნიშნავს, რომ მას არ შეუძლია მონაწილეობის მიღება კონფერენციაზე მეთვალყურის გაგზავნის სახითაც კი, ვინაიდან საფრანგეთს არ შეუძლია დაარღვიოს ან შეასუსტოს ავტორიტეტი ერთა ლიგის, რომელიც უკვე შეუდგა განიარაღების პრობლემის განხილვას, ხოლო ამ პრობლემაში კი საზღვაო, ხმელეთის და საჰაერო შეიარაღების საკითხები ერთმანეთისაგან არ შეიძლება დაცილებული იქნეს. (ადს).

სეიფულინა პრაღაში

პრაღა. 5 აპრილი. პრაღაში მწერალ სეიფულინას ჩასვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია ბურჟუაზიულ წრეებშიაც. გაზეთების თანამშრომლები სეიფულინას საუბრისათვის მიმართავენ დიდძალი თხოვნებით. ქალაქის თავმა სეიფულინა მიიპატიჟა ქალაქის დაწესებულებების დასათვალიერებლად. სეიფულინას საპატივცემოდ გაიმართა საზეიმო წარმოდგენა. დაიდგა „ვირინეია“. პიესას დიდძალი ხალხი დაესწრო. სეიფულინა რამოდენიმეჯერ გამოიძახეს სცენაზე.

მუსოლინი—ბეტლენი

რომი. 5 აპრილი. მუსოლინიმ მიიღო უნგრეთის პრემიერი ბეტლენი. 5 აპრილს განხილულ იქნება იტალია-უნგრეთის სამეგობრო ხელშეკრულების დადების საკითხი. (ადს).

ვაჭრობა საბერძნეთთან

ათინა. 5 აპრილი. 1 ოქტომბრიდან 1 აპრილამდე საბჭოთა კავშირიდან საბერძნეთში გაზიდული იყო 5 მილ. მანეთის საქონელი, საბერძნეთიდან საბჭოთა კავშირში შემოზიდული იყო 500.000 მანეთის საქონელი. სავაჭრო ბრუნვამ ორივე სახელმწიფოს შორის თითქმის ომის წინანდელ დონეს მიაღწია. (ადს).

ტერორი ლატვიაში

სოციალ - დემოკრატების პროტესტი

კოვნო. 4 აპრილი. „ეხო“-ს ცნობით, ნიშნად პროტესტისა, სამხედრო საველე სასამართლოსათვის ორი სოციალ დემოკრატის გადაცემის წინააღმდეგ სოციალ - დემოკრატიულმა ფრაქციამ დასტოვა სეიმის სხდომა სოც.-დემ. მიბაძეს ნაროდნიკების და ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლებმა.

გაზეთ „რიტას“ იუწყება რომ სამხედრო საველე სასამართლო შეუდგა ორი კომუნისტის საქმის გარჩევას.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა გაიგო, რომ ორ კომუნისტსა და ორ სოც.-დემ. გარდა, სამხედრო საველე სასამართლოს გადაეცა აგრეთვე ორი ნაროდნიკი.

ამერიკის სესხი პოლონეთს

ვარშავა, 4 აპრილი. გაზეთები იტყობინებიან, რომ ახლო ხანში ვარშავაში ჩამოვა ამერიკელ ბანკირების სპეციალური კომისია, რომელიც ადგილობრივ გაეცნობა და შეისწავლის ამერიკელი ფინანსისტების მიერ პოლონეთისათვის წარდგენილი ფინანსიური გეგმის განხორციელების შესაძლებლობას. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს დელეგაციის დაბრუნება

მოსკოვი, 5 აპრილი. ბერლინიდან დაბრუნდა საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს დელეგაცია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ინგლის - საბჭოთა კომიტეტის თათბირის მუშაობაში. კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობას იღებდენ ამხ. ტომსკი, დოგადოვი, ანდრეევი და ლეპსე. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს უახლოეს პლენუმზე დასმული იქნება მოხსენება ინგლის-რუსეთის კომიტეტის ბერლინის თათბირის მუშაობის შესახებ. პლენუმს დასამტკიცებლად წარედგინება აგრეთვე თათბირის დადგენილებანი (ადს).

ამხ. ოსინსკი შვებულებაში

მოსკოვი, 5 აპრ. საბჭოთა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამგემ ამხ. ოსინსკიმ 1 აპრილიდან მიიღო 4 თვის შვებულება.

საკავშირო ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს გამგის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა ამხ. კრაგენცევი. (ადს)

ამხ. ხინჩუკი მიემგზავრება ლონდონში

მოსკოვი, 5 აპრილი. საკავშირო ცენტრ. კოოპერატიულ საბჭოს გაფართოებულმა პლენუმმა კოოპ. საბჭოს თავმჯდომარეთ ამხ. ხინჩუკის მაგიერ აირჩია ამხ. [illegible]. ამხ. ხინჩუკი დანიშნულია სავაჭრო წარმომადგენლათ ინგლისში. (ადს).

საბჭოთა პლაკატის გამოფენა

მოსკოვი, 5 აპრილი. საზღვარ-გარეთთან კულტურული კავშირის სრ. საკავშირო საზოგადოებამ ბერლინში გაგზავნა საბჭოთა პლაკატის გამოფენა, რომელიც მან მოაწყო „ახალი რუსეთის მეგობართა“ გერმანულ საზოგადოებასთან ერთად. (ადს)

სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრა

მოსკოვი, 5 აპრ. საბჭოთა რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო პროექტი კანონისა (რომელიც დასამტკიცებლათ გადაეცა საკავშირო ცაკს), რომლის თანახმად, სასოფლო მოსახლეობის თვითდაბეგვრა საზოგადოებრივ საჭიროებისათვის დასაშვებია საერთო კრების დადგენილებით, რომელსაც (კრებას) უნდა დაესწროს საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა არა ნაკლებ 50 პროცენტისა. საკითხს სწყვეტს დამსწრეთა უმრავლესობა. (ადს)

სარევიზიო კომისიების ლიკვიდაცია ტრესტებში

მოსკოვი, 5 აპრილი. საბჭოთა კავშირის სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს პლენუმის გადაწყვეტილებას თანახმად 1 აპრილიდან უქმდება საერთო - საკავშირო მნიშვნელობის ტრესტებთან არსებული სარევიზიო კომისიები.

ტრესტების მოქმედების გამოკვლევას მოახდენს უშუალოდ თვით სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

ჩაის კულტურა ამიერ-კავკასიაში

საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება

მოსკოვი, 5 აპრილი. მიმდინარე წელს იანვარში ა.-კ. მთავრობამ წარადგინა შრომისა და თავდაცვის საბჭოში მოხსენება ამიერ-კავკასიაში ჩაის კულტურის მდგომარეობის შესახებ. მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ მთელ ამიერ-კავკასიაში ჩაის კულტურას უჭირავს 1160 დესეტინა სივრცე. მოსახლეობის სიმრავლე საჭიროდ ხდის, რომ მიწების ის სივრცე, რომელზედაც ამჟამად სთესენ სიმინდს გამოყენებულ იქნეს ჩაის კულტურისათვის, ვინაიდან ჩაის პლანტაციები გაცილებით მეტ შემოსავალს იძლევა, ვიდრე სიმინდის ყანები. ამიტომ ა.-კ. მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ჩაის კულტურის გავრცელება ამიერ-კავკასიის რაიონებში.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ ამ საკითხის წინასწარი განხილვა მიანდო განსაკუთრებულ კომისიას. რომელმაც საჭიროდ სცნო რომ ამიერ-კავკასიაში ჩაის პლანტაციების სივრცე 1927-31 წლების განმავლობაში აყვანილ იქნეს 20.000 ჰექტარამდე. 5-წლიანი პერსპექტიული გეგმის შედგენის დროს ა.-კ. მთავრობამ უნდა იხელმძღვანელოს იმ მოსაზრებით, რომ ჩაის კულტურას დაეთმოს უმთავრესად გლეხების კუთვნილი მიწები და პლანტატორ-გლეხებს მიეცეთ გრძელვადიანი კრედიტი სააქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაი“-ს საშუალებით.

შრ. და თავდ. საბჭომ საჭიროდ სცნო: გრძელვადიანი კრედიტი მიეცეს გლეხებს 8 წლის ვადით, რომ საკმაოთ შეიძინონ საჭირო თესლეული; მოეწყოს ჩაის მოყვანის საცდელი მინდვრები; კლიმატიური და ნიადაგის გამოკვლევების ჩატარება; ექსპედიციების გაგზავნა საზღვარგარეთის ჩაის კულტურის რაიონებში, ჩაის მოყვანის საქმის დაყენების შესასწავლად; საზღვარ-გარეთიდან სპეციალისტების გამოზავნა და სხ.

ა.-კ.-ში ჩაის კულტურის განსავითარებლათ შრ. და თავდ. საბჭომ მიმდინარე წლისათვის გადასდო 150.000 მანეთი, ხოლო კაპიტალურ მშენებლობის ჩასატარებლათ—500.000 მანეთი. გლეხებისათვის ამ საქმეზე 8 წლის ვადიანი კრედიტების მისაცემათ გადადებულია 297.000 მანეთი. (ადს).

ავსტრიის დელეგაცია მთავარ საკონცესიო კომიტეტში

მოსკოვი, 5 აპრილი. ავსტრიის სავაჭრო სამრეწველო დელეგაცია ეწვია მთავარ საკონცესიო კომიტეტს, სადაც ის მიიღო თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კსანდროვმა. დელეგაციის წევრების თხოვნით კსანდროვმა გააცნო მათ საბჭოთა მთავრობის საკონცესიო პოლიტიკა. თავისი საუბრის დასასრულს კსანდროვმა განუცხადა დელეგაციის წევრებს, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიური პირობების სტაბილიზაცია უფრო და უფრო გაუადვილებს უცხოელ მწარმოებლებს იმ პირობების გათვალისწინებას, რომელშიაც მათ მოუხდებათ მუშაობა საბჭოთა კავშირში. (ადს).

მზის დაბნელება

მოსკოვი, 5 აპრილი. ივნისში მოსალოდნელ მზის დაბნელებაზე დაკვირვების ჩასატარებლათ, მოსკოვში მიემგზავრება საკავშ. სამეცნიერო საბჭოს ექსპედიცია, რომელიც გადაიღებს მზის დაბნელების ფილმს და აგრეთვე იმ მდგომარეობას, რომელშიაც იწარმოებს მზის დაბნელება. (ადს).

თურქმენისტანის

ახალი ცაკი

ასხაბადი, 5 აპრილი. შესდგა თურქმენისტანის ცაკის ახალი შემადგენლობის სესია. ცაკის თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. აიტაკოვი, ხოლო მის მოადგილეებათ ამხ. ნაზაროვი და რახმანოვი. სახკომსაბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. ათაბაევი,—მოადგილეთ ამხ. [illegible]. (ადს).

საბჭოთა საქართველო

წერილები

საზოგადო. და სამეურნეო. მუშაობა სოფლად

გაზაფხულისა და ზაფხულის თვეები გლეხის მეურნეობაში გაცხოველებული მუშაობის თვეებია. ამ ხნის განმავლობაში ბევრითი მეურნე გლეხი ზოგჯერ იმდენად დატვირთულია საქმით, რომ მას თავის მოსაფხანადაც არ სცალია.

ასეთ პირობებში, ცხადია, საზოგადოებრივი მუშაობა სოფლად ისე ვერ იწარმოებს, როგორც ამას ჩვეულებრივ აქვს ადგილი. ნაწილობრივ გლეხკაცობის მოუცლელობას ზაფხულობით შეელიან ქალაქებიდან ჩასული მუშა-მოსამსახურენი და მოსწავლე ახალგაზრდობა. მაგრამ ეს მხოლოდ ზაფხულობით ორიოდე თუ სამი თვის განმავლობაში, რაც შეეხება გაზაფხულისა და შემოდგომის თვეებს, ამ თვეებში სოფელში ყველაზე მეტად მოიკოჭლებს საზოგადოებრივი მუშაობა.

ასეთი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ნორმალურად არ ჩაითვლება. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. საჭიროა ორგანიზაციების მუშაობა უფარდებოდეს გლეხური მასის შესაძლებლობას და დროს. ამისათვის სხვადა სხვა კომისიის და საზოგადო კრებები ამ ხნის განმავლობაში უნდა ხდებოდეს რაც შეიძლება იშვიათად და ისეთ დღეებში, როცა გლეხს ამ გაძლიერებული მუშაობის თვეებშიაც შეეძლება საჭირო თავისუფალი დროის გამონახვა. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ბევრჯერ საზოგადოებრივ მუშაობის მოდუნების და წინააღმდეგოთ უებარ საშუალებათ მიაჩნიათ კრებებისა და სხდომების მოხშირება.

გაზაფხულის თვეებში ამნაირი გზით საზოგადოებრივ მუშაობას არა თუ გამოვაცოცხლებთ, არამედ უფრო დავაშინებთ აქტიურ გლეხობას და ჩამოვაცილებთ საზოგადო საქმეს. აქედან ჩვენ ვერც ისეთ დასკვნას გამოვიტანთ, რომ კრებებისა და სხდომების რიცხვის შემცირებით ხელოვნურად შევასუსტოთ საზოგადო მუშაობა. ამ მიზნით საჭიროა ზაფხულის თვეებში გაძლიერონ მუშაობა ორგანიზაციათა აღმასრულებელი ორგანოებმა, რომლებიც უშუალოდ უდგანან საქმეს სათავეში და თავიანთ მუშაობისათვის გასამრჯელოსაც ღებულობენ.

საზოგადო კრებები თუ კომისიების ან გამგეობათა სხდომები უნდა იქნას მოწვეული, რაც შეიძლება რეგულიარულად, მაგრამ უფრო იშვიათად, ვიდრე ეს ზამთრის თვეებში ხდება. ჩვენ უაღრესად დაინტერესებული ვართ იმაში რომ აქტიური საზოგადო მუშაკი აქტიური და მაგალითის მიმცემი მეურნე იყვეს სოფლად. ამ ჩვენს მისწრაფებას ჩვენ ვერ გავამართლებთ, თუ ვერ შევძლებთ საზოგადო მუშაობის სამეურნეო მუშაობასთან შეთანხმებას.

ბ. ლ—ი.

ვინ ანადგურებდა ტყეს

(სენაკის მაზრა)

სალხინოს რაიონი სენაკის სატყეოში მოზრდილი და მნიშვნელოვანი რაიონია. მასში დაახლოვებით 30.000 დესეტ. სივრცის ოთხი სატყეო აგარაკია. ყველა ეს აგარაკები მდიდარია წიწვიანი და სხვა იშვიათი ხის ჯიშებით, მაგ.: ბზა, წაბლი, ნეკერჩხალი, ცაცხვი, რცხილა, კოპიტი და სხვ. მიუხედავად ამისა, ეს აგარაკები დღემდე ნაკლებად არის შესწავლილი; მათი დაცვა-მოშენების საქმე კი უფრო სამწუხარო მდგომარეობაშია.

ამ ტყეებს შეუბრალებლად ანადგურებდენ ერთის მხრივ, მეცხვარეები და მეორე მხრივ—თხის ჯოგები. ეს უკანასკნელნი, დაახლოვებით 5.000 თავამდე, ზაფხულის რამოდენიმე თვეების გამოკლებით მთელი წლის განმავლობაში აქაურ ტყეებში იმყოფებიან და იკვებებიან ახლად აღმონაცენებით და მოზარდი ხის ფოთლებით. სადაც ეს ჯოგები ბინადრობენ, იქ ტყე სატიროდავ სურათს წარმოადგენს. ზამთარში, როცა თითონ თხას უძნელდება საკვების შოვნა, მეჯოგე ეხმარება მას ტყის განადგურებაში.

ამ საქმეში თხის ჯოგებს წინეთ გაცილებით უსწრებდენ წინ მეყავრეები, რომელნიც დაუნდობლად ჩეხავდენ ტყეს და მოჭრილი ხის მერქნის 20 პროცენტსაც კი ვერ იყენებდენ საყავრედ; დანარჩენი ნაწილი იქვე ტყეში ილპებოდა, სჭრიდენ ისინი განსაკუთრებით წიწვიანი ჯიშის ხეებს. მეყავრეების თავისუფალი პარპაშის შედეგია ის, რომ აქ საგრძნობლად შემცირდა წიწვიანი ჯიშის ხეების რაოდენობა და აგრეთვე ისიც, რომ დღეს შეიათად შეხვდებით ისეთ წიწვიან ხეს, რომელიც ტანში 3—4 ადგილას არ იყოს ცულით შეჭრილი—ეს შესამოწმებლად იმისა, გამოდგებოდა თუ არა იგი დანიშნულებისათვის, ე. ი. საყავრეთ. ამრიგად დღითიდღე და წლიდან-წლობით ნადგურდებოდა ჩვენი რაიონის ტყეები.

მაგრამ დღეს ენერგიული ზომების მეოხებით მეყავრეების თარეშს და საერთოდ უთავბოლოუსისტემო გაჩეხვის საშიშროება უკვე აღარ უქადის ჩვენს ტყეებს.

დაცვის საქმის გარდა აქ ტყის მოშენების საქმესაც დიდი ყურადღება აქვს დათმობილი. ცენტრალურ სატყეო უწყებასთან შეთანხმებით ქვიბიის სატყეო აგარაკში გამოყოფილ და შემოფარგლულია დაახლოებით 600 დესეტ. ნაკვეთი, დგომის აგარაკში—200-მდე დესეტ. წიწვიანი ჯიშის აღმონაცენებით. ამ შემოფარგლულ ნაკვეთებში დარგულია 500-მდე ძირი ნაძვისა და 1.000-მდე სოჭის ჯიშის ხეები.

ჭაჩხურას პირელი.

მივიწყებული სოფელი

(შქმერი, რაჭა)

წრევანდელმა ზამთარმა ვერ მოუწყო ხელი აქაურ მცხოვრებთ. მოსთოვა ძალზე დიდი (3 არ.), მასთან ხშირი ქარბუქისა გამო, მიმოსვლა სხვა სოფლებთან შეწყვეტილი იყო დეკემბრის 15 დან თითქმის მარტის პირველ რიცხვამდე.

შიმშაც მოუმარაგებელი დარჩათ. გლეხებს ძალიან უჭირდათ ფარღალალა სახლში, შიშველ ტიტველი და ისიც უცეცხლოდ ზამთრის გატარება. თუ ვინმე გახდა ავად, მოგჭამა ჭირი, რომ გადასარჩენი იყოს, ის მაინც უნდა გამოესალმოს წუთი სოფელს. საექიმო დახმარება შესაძლებელია მიიღო ზაფხულში ქ. ონიდან, რომელიც დაშორებულია ჩვენგან 15 ვერსით, ესეც მოსახერხებელია ისეთი გლეხისთვის, რომელსაც შეუძლია გაიღოს ცხენის ქირა და ექიმის საფასური. რა უნდა ქნას იმან, ვისაც ასეთ შემთხვევის დროს მანათის მოხერხების თავი არ აქვს. იყო შემთხვევები ამ ზამთარში. ვხედავთ ავადმყოფს, აშკარად შესაძლებელია მისი გადარჩენა, მაგრამ სილარიბისა და გეოგრაფიული მდებარეობისა გამო ვერ მოახერხა საექიმო დახმარების მიღება.

გარდა ამისა გზები და ხიდები სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული. არ მომხდარა რომ ამ რამოდენიმე წელს გაკეთებულიყოს უბრალო საცალფეხო ხიდი. არის სასწავლებელი, რომელსაც არ აქვს საკუთარი შენობა, სოფელმა დაიწყო საკუთარი შენობის აგება, მოამზადა ხის მასალა, მაგრამ საქმეს საშველი არ დაადგა დამზადებული მასალა ლპება. ლპება და ხდება ეს ხალხის ნაოფლარი და ნაამაგარი. ხალხი კულტურულად ძალზე ჩამორჩენილია.

დროა არის მიექცეს ყურადღება ამ სოფელს ისე, როგორც ამას ვხედავთ სხვა მეზობელ სოფლებში.

შქმერელი.

ტანჯვის გზები

(ს. მზეთამზია, გორ. მ.)

წაღვერის თემის სოფელი მზეთამზია დიდ გაჭირვებას განიცდის უგზოობის გამო. არ გვაქვს საშუალება, ჩვენ გზაზე ურმით ან მარხილით ვიმგზავროთ. გვიხდება მარხილის ჯაჭვით დაბმა. თუ ასეთი ხერხი არ ვიხმარეთ, ადვილად ხდება, რომ საქონელი გადავარდება უზარმაზარ კლდეზე.

თუ რამე გვაქვს ასატანი სოფელში, 20 ფუთს ოთხი უღელი ხარი უნდა დაუბათ, ისე შეუძლებელია მისი სოფელში ატანა.

როდესაც გაზაფხული დგება და გზები ძალიან პდება, იმდენად გვეშინია საქონლის წაქცევის, რომ დაღმართებში მოვკიდებთ ყურში ხარებს ხელს და ისე მიგვყავს.

იმედი გვაქვს რომ გორის სამაზრო აღმასკომი ჩვენი თემის ამ უმწეო მდგომარეობას განსაკუთრებულ ანგარიშს გაუწევს და დაგვეხმარება გზების შეკეთება-გაყვანის საქმეში.

შ. გელაშვილი.

წითელი ჯვარი ჩვენში

(ჯურუყვეთის თემი, გურია)

მიმდინარე წლის თებერვლის თვიდან ჩვენს თემში დაარსებულ იქნა საქ. წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრ. კომიტეტის მიერ საექიმო პუნქტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ადგილობრივი თემის წითელი ჯვრის საზოგადოების (500 წევრი) უჯრედის მიერ გამოყოფილი კომისია.

ამ დღეებში მოწყობილი იქნება ავადმყოფებისთვის ათი ლოგინი.

პუნქტი უწევს დახმარებას როგორც ადგილობრივ თემს, ისე მახლობელ რამდენიმე თემებს.

გრ. კვაჭაძე.

პასუხად მიქაძეს

გაზ. „კომუნისტი“-ს № 40-ში მოთავსებული იყო ვინმე მიქაძის კორესპონდენცია ს. ხიდისთავიდან (გურია), სადაც ავტორი შეუფერებლად იხსენიებს აქაურ საექიმო პუნქტის გამგე ვ. ჩიგოგიძეს. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ექ. ვ. ჩიგოგიძეს არ დაუმსახურებია არც ზნეობის და არც თავისი ექიმობის მხრივ არც ერთი ხსენებულ კორესპონდენციაში წამოყენებული ბრალდება. ექ. ჩიგოგიძე სოფლის უანგარო მუშაკია. მიქაძის კორესპონდენცია გაუგებრობის, ან შეგნებულ ცილისწამების შედეგია.

ხელს აწერს 18 გლეხი.

მუშათა ცხოვრება

დღეს, საღამოს 5 საათზე რედაქციის ბინაზე შესდგება „კომუნისტის“ მუშკორთა კრება.

ფასების დაკლების კამპანიის შესახებ

ფასების დაკლების კამპანია, რომელიც ამ რამოდენიმე თვის წინად დაიწყო ჩვენმა პარტიამ და ხელისუფლებამ, თანდათან ფართოვდება და ღრმავდება. როგორც მოსალოდნელი იყო ამ კამპანიის არ მისცემია ერთდროული დაკვრითი ხასიათი იგი სისტემატიურად და ყოველდღიურად ტარდება. ბევრს არც კი ეგონა, თუ ეს კამპანია ასეთ ხასიათს მიიღებდა.

ერთს ალაპარაკდებიან და აზმაურდებიან პრესაში, კრებებზე და კონფერენციებზე, შემდეგ კი მიავიწყდებათ ფასების დაკლებაც და მის ცხოვრებაში გატარებაც—ასე ფიქრობდენ ზოგიერთი სამეურნეო და კოოპერატიული ორგანოების ხელმძღვანელები, რომელთაც ეხებოდა უმთავრესად ფასების დაკლების გატარება. ამიტომ არის, რომ ზოგი სრულიად არ ატარებს უმაღლესი ორგანოების დირექტივას ფასების დაკლების შესახებ. ზოგი კი ძლიერ ზანტად ირჯება, უკლებს ფასს, მაგრამ უმნიშვნელოდ—უცდიან აბა როდის შეწყდება კამპანია, რომ ისევ ძველი გზით ვიაროთო, განცხადება კი ყველას გამოკრული აქვს პირველ ადგილზე: ფასები მნიშვნელოვნად დაკლებულია.

მაგალითისათვის შორს წასვლა არაა საჭირო. ჩვენს სახელგამს, როგორც სჩანს ამას წინად ჩვენს გაზეთში მოთავსებულ კორესპონდენციიდან, ჯერ ჯერობით ფიქრადაც არ მოსვლია ეზრუნა ფასების დაკლებაზე. ამ უკანასკნელმა 32 კაპეიკად იყიდა ცალი ქაღალდი აქვე თბილისში ა. კ. სახ. ვაჭრობისგან, თვითონ კი 1 მანეთად ყიდის. რა არის ეს ფასების დაკლება?

ფასების დაკლებას ჩვენი პროლეტარული სახელმწიფოსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აუცილებელია მისი უნაკლოდ ცხოვრებაში გატარება. პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ამ საქმეში გვერდში უნდა ამოუდგენ მუშების ფართო ფენები, პროფკავშირებში გაერთიანებული მასები; თუ მასებმა უშუალო არ მიიღეს ამ კამპანიის წარმოებაში მონაწილეობა, ისე არაფერი არ გამოვა. მუშათა მასებმა თვალყური უნდა ადევნონ, თუ რამდენად ატარებენ ჩვენი სავაჭრო სამეურნეო და კოოპერატიული ორგანოები ფასების დაწევას. საჭირო შემთხვევაში კიდევაც უნდა ამხილონ, თუ სადმე ცუღლუტობას შენიშნავენ. პარტია და ხელისუფლება ორგანიზაციულად შეკავშირებულ მუშათა მასებთან ერთად შესძლებენ ყოველგვარი დაბრკოლებების გადალახვა და ფასების დაკლების პოლიტიკის გატარებას.

—:—

ექსკურსია მთავარ სახელოსნოში

28 მარტს მოეწყო ქ. მუშფაკის მესამე კურსის მსმენელთა ექსკურსია რკ. გზის მთავარ სახელოსნოში. სახელოსნოში იმ დროს მივედით, როდესაც გაჩაღებული იყო მუშაობა. წარმოების გასაცნობად და სხვადასხვა ახსნა-განმარტებისათვის მოგვცეს ერთი ადგილობრივი თანამშრომელი, რომელმაც არ დასტოვა სახელოსნოში არც ერთი განყოფილება, რომ ჩვენთვის არ გაეცნო: მოგვცა ახსნა-განმარტება მუშების მდგომარეობის და სახელოსნოს პერსპექტივებზე, თუ რამდენად იქნება გამოყენებული ზაჰესის ენერგია მანქანების ასამოძრავებლად და სხვ.

დიდი შთაბეჭდილება დასტოვა აგრეთვე იმანაც, რომ თითეული მუშა ჩვენს შეკითხვაზე თავის საქმიან მუშაობასთან ერთად გვაძლევდა დამაკმაყოფილებელ პასუხს.

ასეთ ექსკურსიას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მეტი წილი მუშფაკის მსმენელების პროვინციიდან ჩამოსული არიან და ასეთ ფართო წარმოებაზე, როგორც მთავარი სახელოსნოა, მხოლოდ წარმოდგენა თუ აქვთ.

გვიტი.

„ნიშანსვეტის“ წლისთავი

ერთი წელი შესრულდა, რაც სადგ. თბილისის მოძრაობის დარგი უშვებს კედლის გაზეთს „ნიშანსვეტი“-ს სახელწოდებით. უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთს დღეს თვალსაჩინო მიღწევები აქვს; თუმცა პირველ ხანებში გაზეთს ქონდა ნაკლი, მაგრამ ეს თანდათანობით გამოსწორდა.

გაზეთი „ნიშანსვეტი“ ემსახურება მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრებას, ეხება ჩვენი დარგის კულტურულ, პროფესიონალურ, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სატარიფო ეკონომიურ, შრომის დისციპლინის და სხვა საკითხებს. გაზეთმა შესძლო თავის გარშემო მუშა-მოსამსახურეთა შემოკრებვა. პირველად გაზეთს ყავდა 12—13 მუშკორი ამჟამად კი გაზეთის ირგვლივ შემოკრებილია 40-მდე მუდმივი თანამშრომელი.

ერთი წლის განმავლობაში გაზეთში მოთავსებულია 340-ზე მეტი წერილი, აქედან წარმოების საკითხს ეხება 30 პრ., პროფესიონალურს—25, კულტურულს—20 პროც. სხვადასხვა საკითხებს ეხება 25 პროც. ადგილკომი [illegible] ყურადღებას აქცევს გაზეთში მოთავსებულ შენიშვნებს, რაც ხელს უწყობს მუშკორთა მოძრაობის გაფართოვებას.

გაზეთს აქვს ნაკლიც. მოძრაობის დარგის ახალგაზრდათა რიცხვი უდრის 160, რომელთა მონაწილეობა გაზეთში სუსტია, რაც უნდა გამოსწორდეს.

რედკოლეგია ვერ აშუქებს პარტიულ ცხოვრებას მასალის მიუწოდებლობის გამო.

აღსანიშნავია, რომ გაზეთი არ არის დაყოფილი განყოფილებებად. მუშკორთა მოძრაობაში არ არიან ჩაბმული ქალები.

მართალია, გაზეთს აქვს ნაკლი, მაგრამ შედარებით მუშაობის პირობებთან, მან პირნათლად შეასრულა შეძლებისდაგვარად დაკისრებული მოვალეობა.

ვუსურვოთ „ნიშანსვეტს“ წარმატება.

ი. ჯაჯ.

მუშური მადლობა

თბილისის სადგურის უფროსის თანაშემწე ვ. რჩეულიშვილი, მეტად ენერგიულად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას. ზემოხსენებულ სადგურში, მეტად შევიწროვებულია მატარებლების მისაღებ-მოსაშვები არე. რჩეულიშვილი კი ყოველივე ძალით, ენერგიით და მოხერხებით ცდილობს სახალხო სადგურების მუშებს მოგვეცეს საქონლით დატვირთული რონოდა ისეთ ადგილზე, სადაც სწრაფად და ადვილად შეიძლება მისი დაცლა-გადმოტვირთვა. ხშირად, როდესაც საჭიროა მატარებლების ჩამოყენება და არ არის საშუალება, ის თავისივე ხელით გადახსნის მატარებელს, დაჰყვება გადამშლის და გვაძლევს გადატვირთვა-გადმოტვირთვის საშუალებას. ასეთ მუშებისათვის თავდადებულ თანაშემწეს რჩეულიშვილს, სახალხო სადგურის მუშების მთელი შემადგენლობა ღრმა მადლობას უძღვნის.

მუშების მინდობილობით **ხიდისთაველი.**

ნაკლი, რომელიც გამოსწორებულ უნდა იქნეს

თუ გადავავლებთ თვალს ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების და სამოქალაქო დაწესებულებების კედლის გაზეთებს, დავინახავთ, რომ არც ერთ მათგანში არ არის გამოყოფილი სამხედრო განყოფილება.

უეჭველია მოსახლეობის და კერძოთ მუშა-მოსამსახურეების გასამხედროების საქმეში კედლის გაზეთს შეუძლიან ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი. დღეს ჩვენ კედლის გაზეთებს მოპოებული აქვთ საკმაო ნდობა და პატივისცემა და ეს გარემოება ჩვენ მიერ შესაფერისად უნდა იქნას გამოყენებული.

კედლის გაზეთებში, უპირველესად ყოვლისა, უნდა შუქდებოდეს ამა თუ იმ დაწესებულების გასამხედროების საქმის საკითხები, ცნობები, თუ როგორ მიმდინარეობს გასამხედროება, როგორ მონაწილეობას იღებენ მასში მუშა-მოსამსახურენი, რა საქმიანობას ეწევიან წვევამდელნი, ცვალებადელნი და სათადარიგო მეთაურნი, თუ კი ასეთები მოიძებნებიან იმ დაწესებულებაში ან ფაბრიკა-ქარხანაში.

შემდეგ აუცილებელია, რომ კედლის გაზეთების მიერ გაშუქებულ იქნეს ყაზარმის ცხოვრება და წითელარმიელთა სწავლების და აღზრდის საქმე. ამით მუშა-მოსამსახურეებს ექნებათ საშუალება ახლო გაეცნონ წითელარმიას.

საჭიროა აგრეთვე კედლის გაზეთებმა ყურადღება მიაქციონ საშეფო მუშაობას ჯარის ნაწილებში, ვინაიდან მრავალ დაწესებულებას და ფაბრიკა-ქარხანას შეფობაზე ჰყავთ აყვანილი წითელი ჯარის ნაწილები.

საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ გაუწევს ხელმძღვანელობას კედლის გაზეთის სამხედრო განყოფილებას, ადვილად შეიძლება მოგვარებულ იქნეს. სამხედრო განყოფილების ხელმძღვანელობა უნდა დაევალოს რომელიმე სათადარიგო მეთაურს, ან ყოფილ წითელარმიელს, თუ კი ასეთები არ არიან ამა თუ იმ დაწესებულებაში, მაშინ ხელმძღვანელად მოწვეულ უნდა იყვეს ახლო მდგომ საკადრო ან ტერიტორიალურ ნაწილიდან მეთაური ან პოლიტმომუშავე, ამაზე, უეჭველია, არც ერთი ჯარის ნაწილი არ იტყვის უარს, არამედ, პირიქით ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს და შეუწყობს ხელს კედლის გაზეთების სამხედრო განყოფილებების დაყენებას თავის სიმაღლეზე.

ხ.

—:—

რატომ არ მოაგვარეს

შევხვედრივარ, რომ ბაქან ლაშში მოლარეები ლაშის ბილეთის მაგივრად ყიდიან ხან ბრო წეულას ბილეთს და ხან სხვა ბაქნებისასაც. როდესაც შევეკითხებით მოლარეებს ისინი გვიპასუხებენ, რომ ლაშის ბილეთები გამოგველიაო. ეს ასე ხდება აგერ რვა თვეა. ამ ხნის განმავლობაში რატომ არ მოგვარდა ლაშის ბილეთის დაბეჭდვა და გამოგზავნა. მაგრამ ამ გარემოებას არავინ ყურადღებას არ აქცევს.

მოვითხოვთ პასუხი სადგ. სამტრედიის უფროსს.

ველითელი.

მუშათა ქრონიკა

— **შემოწმება.** რკინის გზის საუბნო დამზღვევი სალაროს პლენუმმა დაადგინა მოახდინოს თბილისის უბნის ახალგაზრდობის შემოწმება.

— **საღამო.** დღეს, მ. ც. კლუბში ადგილობრივ წრეების მონაწილეობით გაიმართება საღამო.

— **კედლის გაზეთი.** სადგ. თბილისის კულტკომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთი „ნიშანსვეტი“-ს მე-17 ნომერი.

— **„გაჭირვების ტალკვესი“.** პარასკევს პლეხანოვის სახ. კლუბში პროლეტარ სტუდენტთა სასარგებლოდ წარმოდგენილ იქნება პიესა „გაჭირვების ტალკვესი“.

— **ორკესტრი.** ორჯონიკიძის სახ. კლუბში დაარსდა სიმფონიური ორკესტრის წრე.

პროფკავშირებში

— **252 მან. 97 კ. დახმარება.** ა. წ. 31 მარტს საქპროფსაბჭომ გადაუგზავნა სომხეთის პროფსაბჭოს ლენინაკანის მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 252 მანეთი 97 კაპეიკი.

— **პროლეტარულ სტუდენტთა კვირეული.** პროლეტარულ სტუდენტთა სასარგებლოთ მხოლოდ ყულაბებით მოგროვილია ქ. თბილისში 2587 მან.

— **კავშირიდან გარიცხვა.** როგორც კავშირის წევრებისათვის შეუფერებელ მოქმედებისათვის საბჭოთა მუშაკების კავშირის ც. გ. კავშირიდან გარიცხა 6 თვის ვადით მოქ. გუნცაძე.

ყრილობები და თათბირები

საქ. პროფკავშირთა მე-5 კულტთათბირი

მეორე სხდომა

5 აპრილის დილის სხდომაზე თათბირმა მოისმინა ამხ. **მხითაროვის** თანამოხსენება საბიბლიოთეკო მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკების ცენტრალიზაციის წარსული წლის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ბიბლიოთეკების გაერთიანება მიზანშეწონილია; ამიტომ საჭიროა ჩატარებული ღონისძიების კიდევ უფრო გაღრმავება არა მარტო თბილისში, არამედ მთელი რესპუბლიკის ფარგლებში.

საკავშირო ბიბლიოთეკების შევსების საქმე, განსაკუთრებით მაზრებში, ვერ არის დამაკმაყოფილებლად დაყენებული, ხშირია შემთხვევა, როდესაც ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება არც ერთი პოპულიარული და მკითხველი მუშისთვის და მისი ოჯახისათვის საჭირო წიგნი.

უმეტეს შემთხვევებში ბიბლიოთეკები დატვირთულია უვარგისი ლიტერატურით. ამ ნაკლის გამოსასწორებლად საჭიროა, რომ ბიბლიოთეკების შევსების დროს მთავარი ყურადღება მიექცეს შემდეგი დარგის წიგნების შეძენას: პოლიტიკური დარგის (წიგნების 25—30 პროც.) პროფესიონალური—8—10 პროც., საწარმოო—10—12 პროც., გამოსაყენებელ ცოდნათა—10 პროც., ბელეტრისტული ნაწარმოები—35—40 პროც. და წიგნები ახალგაზრდობის მოძრაობის შესახებ.

ამავე დროს საჭიროა, რომ წიგნები, რომლებზედაც დიდი მოთხოვნილებაა, შეძენილი იქნეს რამოდენიმე ცალად.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ დაუშვებელია მუშათა ბიბლიოთეკებში ინახებოდეს დიდი რაოდენობა დაუმუშავებელი ლიტერატურისა. მთელი დაუმუშავებელი ლიტერატურა ახლო მომავალში მომზადებული უნდა იქნეს მასებთან დასაახლოვებლად. ამასთანავე მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია, რომ მთელი ახლად შეძენილი ლიტერატურა დამუშავებული იქნეს ორი კვირის განმავლობაში.

ბიბლიოთეკების აქტიური მუშაობის გაძლიერება და განმტკიცება, მომხსენებლის თქმით, შემდეგი ხაზით უნდა სწარმოებდეს:

უნდა ჩატარდეს წიგნების რეკომენდაცია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი სახით. აქტიურ მუშაობაში მაქსიმალურად გამოყენებული უნდა იქნეს „ბიბლიოთეკის მეგობართა“ წრეები.

ამასთან ერთად ბიბლიოთეკა სამსახურს უნდა უწევდეს თავის კავშირის და კლუბის მოთხოვნილებებს, გარდა წრეებისათვის სათანადო ლიტერატურის მიწოდებისა, იგი უნდა აწყობდეს წიგნების მოძრავ გამოფენებს ლექციებისა, საუბრებისა, მოხსენებებისა, კონფერენციებისა და კამპანიებისათვის, რომლებსაც კლუბი ატარებს.

მუშათა ბიბლიოთეკა უნდა ემსახურებოდეს კავშირების წევრებს და მათ მზრუნველობაზე მყოფ პირებს, ხოლო რაც შეეხება ბავშვებისათვის (კავშირების წევრთა შვილებისათვის) სამსახურის გაწევას, ეს საქმე უნდა დაეკისროს ადგილობრივი პოლიტგანის ბიბლიოთეკებს.

მესამე სხდომა

თათბირის მესამე სხდომა მთლიანად მოუნდა კამათს ამხ. შელიძის მოხსენების გარშემო.

კამათში მონაწილეობა მიიღო 15 ამხანაგმა. მათ მიერ აღნიშნულ იყო კულტმუშაობის მდგომარეობა ადგილებზე და ის მიზეზები, რომელნიც ხელს უშლიან ამ მუშაობის დაყენებას საღ ნიადაგზე.

ორატორები მოითხოვენ, რომ პროფკავშირეებმა ყურადღება მიაქციონ კლუბების მდგომარეობას. მეტ წილად კლუბები არ შეეფერებიან თავიანთ დანიშნულებას.

აღნიშნული იყო აგრეთვე ის გარემოება, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არ უწევს სათანადო დახმარებას კლუბებს.

პროფსაბჭოს კულტგანყოფილების მიერ გაგზავნილ დირექტივებს აგვიანდება; მათ ადგილებზე ღებულობენ მაშინ, როცა უკვე ესა თუ ის კამპანია ჩატარებულია.

არ არის აგრეთვე ცოცხალი ხელმძღვანელობა კულტგანყოფილების მხრივ.

ორატორები მოითხოვდენ, რათა დროგამოშვებით იგზავნებოდენ ადგილებზე ლექტორები, ვინაიდან ასეთები არ მოიპოვებიან სამაზრო ქალაქებში და სოფლად.

ვერ არის დამაკმაყოფილებელი ბიბლიოთეკების მდგომარეობაც. ბიბლიოთეკებს არ აქვთ ისეთი წიგნები, რომლებზედაც დიდი მოთხოვნილებაა. თვით ბიბლიოთეკარებიც არ შეეფერებიან თავიანთ დანიშნულებას და საჭიროა მათი გადამზადება.

კამათის დროს გამოთქმული იყო სურვილი, რათა შედგენილ იქნეს სპეციალური რეპერტუარი სამაზრო კლუბებისათვის.

პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის წარმომადგენლის მიერ აღნიშნული იყო, რომ არ არსებობს არავითარი კავშირი პოლიტგანათლების მმართველობის და კულტგანყოფილების შორის. ეს ორი ორგანიზაცია არ უთანხმებენ ერთი მეორეს თავიანთ მუშაობის გეგმებს. რაც არ არის სასურველი. იგი მოითხოვს, რომ შემდეგში მუშაობა შეთანხმებულად იყოს წარმოებული.

კამათის შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. შელიძის საბოლოო სიტყვა, რომელშიაც მან გასცა პასუხი კამათში გამოსულ ამხანაგებს.

თათბირმა დაადგინა გაეგზავნოს მისალოცი დეპეშა ა.-კ. საბჭოთა მეოთხე ყრილობას. თათბირის მორიგი სხდომა შესდგება დღეს დილის 9 საათზე მუშათა სასახლეში.

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა მე-6 ყრილობა

(5 აპრილის დილის და საღამოს სხდომები)

5 აპრილს დილით ყრილობა შეუდგა საქმიან მუშაობას. პირველი მოხსენებებით საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების ცენტრალური გამგეობის მუშაობა საქმიანობის შესახებ გამოვიდა

ამხ. ნ. ათოევი

მომხსენებელი ჩერდება კავშირის შემადგენლობასა და კონსტრუქციაზე და აღნიშნა, რომ კავშირს უკანასკნელი წლის განმავლობაში ეტყობა თვალსაჩინო ზრდა. ამჟამად მთელ რესპუბლიკაში კავშირს ჰყავს 23.909 წევრი. უკანასკნელი საანგარიშო წლის განმავლობაში კავშირს მომატებია 1.057 ახალი წევრი, აქედან მდედრობითი სქესისაა 3.681 ანუ 9.4 პროც. კავშირის წევრებში 51,7 პროც. ქართველები შეადგენენ.

მოხსენების შემდეგ ნაწილში ორატორი აღნიშნავს, რომ კავშირის რიცხვის ზრდასთან ერთად ადგილი აქვს აგრეთვე უმუშევრობის ზრდასაც. უმუშევრობა გავრცელებულია დაბალ კვალიფიკაციის მუშებში, ხოლო ამის მიზეზი კი ერთის მხრივ მდგომარეობს შტატების შემცირებაში, პირადი შემადგენლობის ხშირ ცვალებადობაში და მეორეს მხრივ კი პროტექციონიზმში, რასაც იშვიათად მაგრამ მაინც ადგილი აქვს ზოგ დაწესებულებაში.

შემდეგ ორატორი გადადის კავშირის მიერ ჩატარებულ სხვადასხვა ხასიათის საქმიანობაზე, როგორც არის პროფმუშაობა, ხელმძღვანელობა [illegible] პროფაქტივზე, ცოცხალი კავშირი ადგილკომებთან, ქალთა შორის მუშაობა, დამხმარე სალაროების საქმიანობა, სატარიფო ეკონომიური მუშაობა და სხვა.

დასასრულ, მომხსენებელმა განმარტა სამუშაო ხელფასის საკითხის მდგომარეობა, აღნიშნა, ბევრ დარგებში მისი ზრდის ტენდენცია, შეეხო კავშირის წევრებს შორის ჩატარებულ კულტურულ-განმათლებელ მუშაობას. ცენტრალურ გამგეობას მომხსენებლის სიტყვით მიღებული აქვს მთელი რიგი ზომებისა უმუშევართა შორის სხვადასხვა ხასიათის მუშაობის საწარმოებლად.

მოხსენების დასრულების შემდეგ ორატორს მისცეს მრავალი შეკითხვები, რის შემდეგაც ყრილობის წინაშე მოხსენებით გამოვიდა ამხ. **ტ. ხოშტარია** ცენტრალური გამგეობის ფინანსიური საქმიანობის შესახებ გასულ საანგარიშო წლის განმავლობაში.

მომხსენებელმა განმარტა საკავშირო საშუალებათა შემოსავალ-გასავლის მდგომარეობა, საორგანიზაციო ხარჯები და სხვა. საღამოს სხდომაზე მოხსენება გააკეთა აგრეთვე სარევიზიო კომისიის წარმომადგენელმა ამხ. **გ. ალიხანოვმა.**

მოხსენებათა მოსმენის შემდეგ, საღამოს, ყრილობის დარბაზში დელეგატებისათვის გაიმართა მაღრაძის გუნდის კონცერტი და ცოცხალი გაზეთი სომხურ ენაზე.

რემედასის თბ. სამაზრო-საქალაქო კონფერენცია

უკანასკნელი სხდომა

რემედასის თბილისის სამაზრო-საქალაქო კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე დასრულდა ადგილებიდან გაკეთებული მოხსენებების მოსმენა. შემდეგ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუციები რემედასის თბილისის კომიტეტის და სარევიზიო კომის. საანგარიშო მოხსენებათა გარშემო. თბილისის კომიტეტის საქმიანობის შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში მოწონებული არის რემედასის თბილისის კომიტეტის მიერ ჩატარებული მუშაობა, ხოლო სარევიზიო კომისიის მუშაობა ცნობილია სუსტად.

არჩევნების ჩატარებამდე კონფერენციამ გამოჰყო განსაკუთრებული კომისია რომელსაც უნდა შეემუშავებინა პრაქტიკული ხასიათის წინადადებანი რემედასის თბილისის კომიტეტის ახალი შემადგენლობის სახელმძღვანელოდ. აღნიშნულ პრაქტიკულ ღონისძიებათა გამომუშავებისა და მისი მოსმენის შემდეგ კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა რემიდასის საერთაშორისო კონფერენციას მოსკოვში, რემედასის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს რემედასის ცენტრალურ კომიტეტს.

დასასრულ კონფერენციამ აირჩია რემედასის თბილისის კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელშიაც შედის 26 წევრი და 6 კანდიდატი.

ზაჰესის სინათლე მოვიდა

ზაჰესის საგენერატორო სადგურში უკვე სამი დღეა შეუწყვეტლივ და სრული დატვირთვით მუშაობს პირველი აგრეგატი. 3 აპრილიდან ქალაქის მთავარ ქვესადგურს ეძლევა ელექტრო ენერგია. თვით ზაჰესის წარმოებებში მუშაობა სწარმოებს საგენერატორო სადგურიდან გადაცემული სინათლით.

თბილისში ზაჰესის ენერგიის მიღებასთან დაკავშირებით განზრახული იყო სინათლე მიეცათ ზოგიერთი ქუჩებისათვის და ა.-კ. საბჭოთა ყრილობის დარბაზისათვის. მაგრამ, ვინაიდან მოხსენებულ ადგილებზე სინათლის გადასაცემათ საჭირო გახდებოდა ზაჰესის ზოგიერთ მიმდინარე სამუშაოების დროებით შეწყვეტა და ამასთანავე მთავარ ქვესადგურზე ტრანსფორმატორებმა ვერ მოასწრეს გამოშრობა, ამიტომ აღნიშნულ ადგილებზე გუშინ საღამოს არ იქნა გადაცემული სინათლე.

ქალაქის მთავარ ქვე-სადგურზე უკვე მოწყობილია შესაფერი ელექტრო-სანათურები და მიმდინარე მუშაობა სწარმოებს ზაჰესის სინათლეზე. ზაჰესის სინათლით სადგური განათებული იყო მთელი ღამის განმავლობაში.

უახლოესი დღეებში ამუშავდება ზაჰესის მესამე აგრეგატიც და მაშინ ზაჰესს ექნება ენერგიის ზედმეტი მარაგი, რომელიც გადაეცემა ქალაქს გასანათებლათ.

მალარიასთან ბრძოლა ყარაიაში

ყარაიაში არსდება სამალარიო დისპანსერი

ყარაია ძველთაგანვე ცნობილია, როგორც მალარიის ბუდე. ყარაიას რაიონი აერთიანებს 14 ხუტორს—8859 მცხოვრებით და 2. 267 სახლეულო მეურნეობით. ყოველწლიური ზრდა მოსახლეობისა არ აღემატება 0,8 პროც. (ნორმალური ზრდა 2 პროცენტია). ასეთი მცირე პროცენტი მოსახლეობის ზრდისა აიხსნება მალარიით, რომელიც აქ მძვინვარებს და მუსრს ავლებს მოსახლეობას.

ყარაიას ნიადაგი ძალიან ნოყიერია და რაიონში სასოფლო-მეურნეობის განვითარებას ფართო პერსპექტივები აქვს, მაგრამ საშინელი სენი მოსახლეობას ხშირად იძულებულს ჰყოფს დასტოვოს თავიანთი სამოსახლო და სხვაგან ეძიოს თავშესაფარი.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ტფილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ, რომელმაც ყარაიაში გაგზავნა სპეციალური კომისია სოციალურ სენებთან მებრძოლი განყოფილების გამგის ექ. ლ. **წერეთლის** მეთაურობით. კომისიაში შედიან თბ. სამალარიო დისპანსერის გამგე ექ. ს. **კანდელაკი**, მაზრის საექიმო ნაწილის გამგე ექ. ა. **დევიძე** და სხვები.

კომისია ყარაიაში გაემგზავრა 3 აპრილს, იქ სამალარიო და პარაზიტულ სენებთან მებრძოლი დისპანსერის დაარსების მიზნით.

სოციალურ სენებთან მებრძოლი განყოფილებას მიზნად აქვს დასახული ყარაიას რაიონში პირველ რიგში ჩაატაროს პროფილაქტიურ ზომები.

ამიერიდან ყარაიას რაიონში, პირველად თითქმის მთელს საქართველოში, გარდა სამალარიო პუნქტებისა, რომლებიც დაარსებული იქნება, მოწყობილი იქნება აგრეთვე ე. წ. მოძრავი დისპანსერი—ამბულატორიის ტიპისა.

ეს დისპანსერი პერიოდულად ჩამოივლის ადგილობრივ სოფლების მოსახლეობას და გაუწევს მათ დახმარებას, როგორც ექიმობით, ისე რჩევა-დახმარებით. ყველა ავადმყოფები აყვანილ იქნებიან აღრიცხვაზე. მათ დაურიგდებათ ბარათები, სადაც აღინიშნება მათი მკურნალობის მიმდინარეობა.

ყარაიას რაიონში, გარდა არსებული სამალარიო პუნქტისა, დაარსებული იქნება აგრეთვე დისპანსერი ლაბორატორიით.

როგორ შეხვდა ადგილობრივი მოსახლეობა დისპანსერის დაარსების საკითხს?

ამ კითხვაზე ექ. ლ. **წერეთელმა** ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

კომისიის იქ ყოფნის დროს, როგორც რაიონის მცხოვრებლების, ისე თემაღმასკომების თავმჯდომარე ამხ. მიხაილოვის სიტყვებიდან გამოირკვა, რომ ამ საკითხით ადგილობრივი მცხოვრებნი დიდათ არიან დაინტერესებულნი და მზად არიან ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კომისიის მუშაობას.

დახმარება მუშა-გამომგონებლებს

საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს წინადადება

საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმებმა ყველა სამეურნეო და პროფესიონალურ ორგანიზაციებს მიმართეს წერილით რომელშიც აღნიშნავენ, რომ მუშა-გამომგონებლებისათვის დახმარების აღმოჩენის დარგში ერთ-ერთ უპირველეს ღონისძიებას უნდა წარმოადგენდეს ტეხნიკურ-კონსულტაციების მოწყობა.

პირველად იწყებს რა ტეხნიკური დახმარების ორგანიზაციას გამომგონებლობის საქმეში, საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო ხელმძღვანელობს იმ მოსაზრებით, რომ ეს დახმარება რაც შეიძლება მეტად უნდა იქნას დაახლოვებული მუშათა. მასებთან და პირველ რიგში უნდა მოეწყოს წარმოებებში. ტეხნიკური კონსულტაციების მუშაობას სისტემატიური ხასიათი უნდა მიეცეს. ტეხნიკური კონსულტაცია მჭიდროთ უნდა იქნას დაკავშირებული საწარმოო და საექსპერტო კომისიების მუშაობასთან.

მსხვილ წარმოებებში მიზანშეწონილია მოწყობა საცდელ საწარმოო კუთხეების, სადაც ქარხანაში მომუშავე მუშა-გამომგონებლებს საშუალება ექნებათ თავისუფალ დროს იმეცადინონ ცოდნის შეძენისა და თავის გამოგონებათა გასაუმჯობესებლად. ამ კუთხეების გარშემო შემოკრებილი უნდა იქნან ქარხნის ყველა მუშა-გამომგონებლები. საექსპერტო კომისიებთან უნდა მოეწყოს ტეხნიკური ბიბლიოთეკები, სადაც მუშა-გამომგონებლები იპოვიან საჭირო ლიტერატურას საგანზე, რომელიც მათ აინტერესებს. საჭიროა, აგრეთვე, საშუალება მიეცეს მუშა-გამომგონებლებს ისარგებლონ ქარხნის სამმართველოებთან და საინჟინერო-ტეხნიკურ სექციებთან არსებულ ტეხნიკური ბიბლიოთეკებით.

სამეურნეო ორგანოებსა და კავშირებს წინადადება ეძლევათ შეთანხმებით შეიმუშაონ იმ ქარხნების სიები, სადაც უნდა მოეწყოს ტეხნიკური კონსულტაციები, რომელთა მუშაობა უნდა დაიწყოს არა უგვიანეს პირველი მაისისა.

ფასების დაკლება

მუშკოოპში

უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში მუშკოოპის გამგეობამ დაუკლო ფასები მთელ რიგ პირველმოხმარების საგნებზე. გაიაფებულია საპონი, ფქვილი, პაპიროსები; მოსლეპრომის ნაწარმოებანი, ბრინჯი, მაგარი სასმელები; ხმელი ხილი, თევზეულობა და სხ.

საპონზე დაკლებულია ფასები 4 პროცენტით, ფქვილზე 3 პროცენტით, მაგარ სასმელებზე—30 პროცენტით და სანოვაგეზე საშუალოთ—10 პროცენტით. ფასების დაკლება უკვე გატარებულია ცხოვრებაში და მუშკოოპის ყველა მაღაზიებში ვაჭრობა სწარმოებს უკანასკნელ შეფასების კვალობაზე.

ს. მ. უ. ს. ტრესტებში

ს. მ. უ. ს. ტრესტებში და გაერთიანებებში ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების შემცირების მიზნით, გადაწყვეტილია მოხდეს ყველა ტრესტებში და გაერთიანებებში ხარჯების შესამცირებლად ჩატარებულ მუშაობის გადასინჯვა და გამოკვლევა. აღნიშნული ხასიათის ხარჯების შემცირების მიზნით ყველა ტრესტების წარმოებებს მიცემული ჰქონდათ შესაფერი გეგმები, რომელთა მიხედვითაც უნდა მოეხდინათ მიმდინარე ხარჯების შემცირება.

ამის გამო, ს. მ. უ. ს.-თან არსებულმა ფასების დამკლებმა კომისიამ მიიღო დადგენილება, რომლითაც წინადადება ეძლევა ს. მ. უ. ს. სარევიზიო განყოფილების მოახდინოს აღნიშნულ სამუშაოთა გამოკვლევა.

ფასების დამკლები კომისია იმუშავებს გეგმას იმის შესახებ, თუ რა სახით უნდა მოხდეს ადმინისტრატიულ-სამეურნ. და სხ. ხარჯების შემდეგი შემცირება ყველა დაწესებულებებში. სარევიზიო კომისია მუშაობას შეუდგება ამ დღეებში.

მეაბრეშუმეობა

საქ. აბრეშუმის ტრესტი ქუთაისში დიდ სამშენებლო მუშაობას აწარმოებს. აშენებულია ხუთ-ოთახიანი საინკუბაციო შენობა. საძირკველი ჩაეყარა მე-3 საგრენაჟო სადგურს. შენობა იქნება ორსართულიანი და აიგება ქვის მასალისაგან. ქუთაისის პირველ საგრენაჟო სადგურის გვერდით აშენებული იქნება ხის ფარდული საზაფხულო მუშაობისათვის. ფარდულის ასაშენებლად საქ. აბრეშუმის ტრესტმა გადასდო 20.000 მან.

შეუდგენ მე-3 საგრენაჟო სადგურის ძველი შენობის გადაკეთებას და გაფართოვებას.

სოფ. ვანში (ქუთაისის მაზრა) შენდება ახალი ერთსართულიანი ქვის შენობა მე-2 საგრენაჟო სადგურისათვის. შენობა დაჯდება 30.000 მან.

საქ. აბრეშუმის ტრესტი შეუდგა აბრეშუმის თესლის დამზადებას, ორ საგრენაჟო სადგურში ქუთაისში და ერთ სადგურში ვანში დამზადებული იქნება 80.000 კოლოფი აბრეშუმის თესლი საერთო მოთხოვნილება კი უდრის 110.000 კოლოფს. ამ დანაკლისს — 30.000 კოლოფ აბრეშუმის თესლს დაამზადებენ მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის ქუთაისის საბრეშუმო სადგური და კერძო პირები.

სწარმოებს შენობათა დეზინფექცია სოფლებში, ეძლევა ინსტრუქცია გლეხობას, რისთვისაც სპეციალური ინსტრუქტორები დადიან სოფლებში. გარდა ამისა, გლეხობას დაურიგდა 100.000-მდე ცალი თუთის სანერგე.

დამთავრდა მექანიკური გასაშრობების დადგმა ვენტილიაციით და სპეციალური ღუმელებით. ასეთი გასაშრობები დასავლეთ საქართველოში არის შვიდი: თითო—ოზურგეთში, ლანჩხუთში, სენაკში, ვანში, ქუთაისში და ორი ზუ-

წითელ ჯარში

სამხედრო წვევამდე მზადება თბილისში

ავლაბრის წერტზე 1906 წელში დაბადებულ ახალგაზრდების სამხედრო წვევამდე მზადება დაიწყო მიმდინარე წლის 28 თებერვალს.

მეცადინობა სწარმოებს სისტემატიურად, ყოველ დილით წერტზე ტარდება პოლიტმეცადინობა პოლიტსაათის სახით, რომელსაც დათმობილი აქვს 45 წუთი.

ხელმძღვანელებათ გამოყოფილნი არიან კარგათ მომზადებული წვევამდელნი. სამხედრო ხასიათის მეცადინეობას ატარებენ მე-6-ე ქართ. ლეგიონის მეთაურნი.

წერტზე მოწყობილია ლენინის კუთხე, სადაც თავისუფალ დროს თავს იყრიან წვევამდელნი და აწარმოებენ საუბრებს. ხმა მაღლა კითხვას, დრო გამოშვებით კუთხეში ეწყობა კითხვა-პასუხის საღამოები.

წერტზე გამოდის აგრეთვე კედლის გაზეთი თვით წვევამდელთა ძალებით.

წვევამდელი ახალგაზრდები დიდი ხალისით ეკიდებიან როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო მეცადინეობას. პოლიტმეცადინეობის პროგრამა სავსებით გავლილია.

სამხედრო დარგიც კარგათ აქვთ შეთვისებული. წვევამდელებმა იციან სამხედრო წყობილება, შაშხანას ხმარება და სხვა.

როდესაც წვევამდელნი ჩადგებიან წყობილებაში, ან მხედრული სიმღერით მიდიან ველად სავარჯიშოთ, სტოვებენ კარგათ გაწვრთნილ არმიელთა შთაბეჭდილებას.

წრევანდელი მზადება გაცილებით ნაყოფიერია, ვიდრე იყო გასულ წელს და 1906 წელში დაბადებულნი წვევამდელები იქნებიან სახელოვანი არმიელნი.

რკინის გზებზე

ა.-კ. რკ.-გზ. გამგეობის სხდომა

გუშინ დილას ა.-კ. რკ.-გზ. სამმართველოში შესდგა გზის გამგეობის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა გზათა მიმოსვლის სახ. კომისარი ამხ. **რუძუტაკი.** სხდომას დაესწრენ: გზათა-მიმოსვლის კომისარიატის რწმუნებული ა.-კავკასიაში ამხ. **შ. ელიავა,** ა.-კ. რკ.-გზ. გამგეობის წევრები, ა.-კ: საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **პ. ხაზაშვილი** და გზის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

ამხ. კ. ივანოვის მოხსენება

სხდომაზე მოკლე მოხსენებით ა.-კ. რკ.-გზ. მდგომარეობის შესახებ გამოვიდა გზის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. **კ. ივანოვი,** რომელმაც დაახასიათა გზის ტეხნიკური მდგომარეობა.

მომხსენებელმა განაცხადა რომ გზებზე უვარგის შპალების რიცხვი იზრდება. ეს აიხსნება ორი გარემოებით: ერთი იმით, რომ სატყეო ტრესტები არ ასრულებენ დაკვეთებს და მეორე იმით, რომ პროფ. გულენკოს მეთოდით შპალების გაჟღენთვამ ვერ გამართლა იმედები.

მდგომარეობა რელსების მხრივ უკეთესია. მძიმე რელსების რიცხვი გადიდებულია 17 პროცენტით. მიუხედავად ამისა, პროგრამა რელსების შეცვლისა წელს ვერ შესრულდება სავსებით.

გაუმჯობესებულია ხიდების მდგომარეობა. უკვე გახსნილია მთელი რიგი ახალი ხიდები და წელს დამთავრდება ეცლახის და საჯევახოს ხიდების აგება; ორი კვირის შემდეგ გაიხსნება ქსნის ხიდი.

საბინაო აღმშენებლობის საქმე ვერ არის სათანადოდ მოგვარებული. ა.-კ. რკ. გზებისათვის საჭიროა — 14.500 კვადრატიული საჟენის საცხოვრებელი არე: ჯერ-ჯერობით კი აშენებულია მხოლოდ ბინები 3.200 კვ. საჟენის საცხოვრებელი არეთი. რკინის გზელთა ცეკა გადაუდვია 500.000 მან.

მოძრავ შემადგენლობათა შეკეთების შესახებ ამხ. ივანოვმა სთქვა, რომ თუ არ მოხდა თბილისის მთავარ სახელოსნოების გადაკეთება, იგი ვერ შეასრულებს დასახულ ამოცანებს. სახელოსნოების გადაკეთებისათვის საჭიროა 2.300 [illegible]

დაზიანებულ ორთქლმავლების რიცხვმა გზებზე იმატა. ეს სხვათა შორის, აიხსნება იმითაც, რომ ცენტრიდან მიღებულ ორთქლმავლებში რიგი შეუკეთებელი აღმოჩნდა. დასასრულ მომხსენებელმა გაუკეთა ანალიზი შემთხვევებს და განაცხადა, რომ გამგეობა იღებს ტეხნიკურ ზომებს შემთხვევების რიცხვის შესამცირებლად.

ინჟ. ზ. ბერიძის მოხსენება

ამხ. ივანოვის მოხსენება შეავსო გზის გამგეობის წევრმა **გ. ბერიძემ,** რომელიც შეეხო მოძრავი შემადგენლობის შეკეთების საქმეს, აღნიშნა, რომ იგი სუსტად არის დაყენებული და დასძინა, რომ ამისათვის საჭიროა ბაქოსა და განჯის სახელოსნოების გაფართოება.

შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა – გამოცვლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო გზის გამგეობის წევრმა ამხ. გ. ასლანოვმა, ა.-კ. საგზაო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **პ. ხაზაშვილმა** და ამხ. **გ. ბერიძემ.**

ამხ. რუძუტაკის სიტყვა

დასასრულ სიტყვით გამოვიდა ამხ. **რუძუტაკი.** იგი შეეხო ა.-კ. რკ.-გზების მუშაობას და სთქვა, რომ ამ მუშაობამ გადააჭარბა ომის წინა დროინდელ ნორმებს.

ეს მიღწეულია ისეთ პირობებში, როდესაც გზის ტეხნიკური საშუალებანი საკმარისი არ არის და შესაძლებელია ითქვას, რომ ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდება ჩვენს დღევანდელ ფინანსიურ პირობებში.

ჩვენ მაინც უნდა შევასრულოთ ჩვენი გეგმები. უამისოდ ჩვენი სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას ტრანსპორტი ვერ დააკმაყოფილებს. ვიტყვით, რომ მეორე ხაზის დაგებას ვერც წელს და ვერც გაისად ვერ შევსძლებთ. მის განხორციელებამდე გზის გატარებითი და გადაზიდვითი უნარიანობის გაძლიერებაში დაგვეხმარება მხარის ამქცევი ხაზების მოწყობა. ეს ხაზები უნდა მოეწყოს დროებით.

ჩვენთვის საჭიროა მოძრავ შემადგენლობის ბრუნვა. ამის საშუალებას არ გვაძლევს ორთქლმავლების საკმაო რაოდენობის და მეორე ხაზის უქონლობა. ამისათვის საჭიროა მატარებლების წონის გადიდება.

რაც შეეხება ორთქლმავლების ამერიკული მეთოდით გამოყენების საკითხს, უნდა ითქვას, რომ ეს არის არა ტეხნიკური, არამედ ეკონომიური საკითხი.

ამერიკული წესით მიმოსვლის შემოღება ჩვენს გზებზე აუცილებლივ საჭიროა. ამაში ჩვენ უნდა დაგვეხმაროს პროფესიონალური კავშირი.

საქ. კ. პ. ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის პლენუმი

რეზოლიუციები

ფასების დაკლების და წარმომადგენლობათა გადასინჯვის შესახებ

(ამხ. ა. დოლიძის მოხსენების გამო)

მოისმინა რა ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მოხსენება ფასების დაკლების და წარმომადგენლობათა გადასინჯვის შესახებ, ა. კ. საოლქო საკონტროლო კომისიის პლენუმი ადგენს:

§ 1. ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა სახალხო კომისარიატის მუშაობა ფასების დაკლების და წარმომადგენლობათა გადასინჯვის საქმეში—მოწონებულ იქნეს.

§ 2. ცნობილ იქნეს, რომ მახლობელ პერიოდისათვის, საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ერთ-ერთ ძირითად და უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს მუშაობა ფასების დაკლებისათვის, საქონლის გამტარებელ ქსელის რაციონალიზაციისათვის, სავაჭრო აპარატის ზედმეტი საფეხურების გაუქმებისათვის და საერთოდ თვითღირებულების გაიფებისა და საზრუნვე ხარჯების შემცირებისათვის.

ეს მუშაობა გამომდინარეობს საერთო პირველ ხარისხოვან ამოცანიდან, რომელიც გულისხმობს ბრძოლას საბჭოთა აპარატის ბიუროკრატიულ გადამახინჯებათა წინააღმდეგ და მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიის ნამდვილად გატარებას, რაც წამოყენებულ იქნა მეთხუთმეტე პარტკონფერენციის მიერ.

§ 3. ამ მიზნით საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციას ევალებათ:

ა) სისტემატიური და ფხიზელი კონტროლი გაუწიონ როგორც საბჭოთა, ისე პარტიულ ორგანოების მიერ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებას და პასუხისგებაში მისცენ ამ დირექტივების დამრღვევნი.

ბ) განაგრძონ შეუპოვარი და დაუღალავი ბრძოლა საქონლის გამტარებელ ქსელის რაციონალიზაციისათვის, გადალახონ ყველა დაბრკოლებები, რომლებიც თავს იჩენენ ამ გზაზე, აგრეთვე წინააღმდეგობანი სავაჭრო ორგანიზაციების მხრივ.

§ 4. ნამდვილი კონტროლის განხორციელება უნდა ხდებოდეს არა მარტო წერილობითი ანგარიშების და ცნობების მოთხოვნით სავაჭრო და ვაჭრობის მომწესრიგებელ ორგანოებისაგან, არამედ სავაჭრო ორგანიზაციებზე კონტროლში მათი მონაწილეობით და მასების საშუალებით ცოცხალი კონტროლის დაწესებით.

§ 5. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მეთოდს ფასების დაკლების კამპანიაში ქალაქისა და სოფლის ფართო მომხმარებელ მასების ნამდვილი მონაწილეობის განხორციელებისათვის, რაზედაც სავსებით დამოკიდებულია ამ კამპანიის წარმატება, წარმოადგენს საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ პარტიულ-პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან ერთად მომხმარებელთა ფართო კრებების გამართვა, რომლებზედაც საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლები უნდა გამოდიოდენ მოხსენებებით პარტიისა და მთავრობის ყველა გადაწყვეტილებათა შესახებ ფასების დაკლების საკითხში, მათ უნდა განუმარტონ მომხმარებლებს, თუ რა და რა საქონელზეა დაკლებული ფასები და რამდენად. ამასთან ერთად საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ თვალყური უნდა ადევნონ იმას, რომ ყველა გადაწყვეტილებები ფასების დაკლების შესახებ თავის დროზე ქვეყნდებოდეს და აღწევდეს მომხმარებლებამდე ისე, რომ ადვილი იყოს მათი შემოწმება.

საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია თავის მუშაობაში უნდა ხელმძღვანელობდენ როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა ხაზით გამომუშავებულ ორგანიზაციულ ღონისძიებებით, რომლებიც შეეხებიან ფასების დაკლებისათვის ბრძოლის საქმეში ფართო მასების ჩაბმას. (კოოპერ. საზოგადოებრიობის, პროფკავშირების, სადუქნო და სარევიზიო კომისიების, ეკონომიური კომისიების, კოოპერატიული კომისიების და სხვ.).

§ 6. უნდა აღინიშნოს, რომ არადამაკმაყოფილებლად იყო შესრულებული შარშანდელი დირექტივა ფასების დაკლების შესახებ, რაც აიხსნება მით, რომ სავაჭრო აპარატი ამას ფარულ თუ აშკარა წინააღმდეგობას უწევდა, ის გაიტაცა მოგებამ და ბაზრის ხელსაყრელ კონიუნქტურის გამოყენებამ, აგრეთვე მაღალი იყო დანართი და სავაჭრო ხარჯები და საერთოდ ვაჭრობის მუშაკებს არ ჰქონდათ შეგნებული ფასების დაკლების პრობლემის დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა. ამასთანავე პარტიულმა ორგანიზაციებმა და ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა ვერ გამოიჩინეს საკმაო აქტივობა ამაში და მათ თითქმის არაფერი გაუკეთებიათ ფასების დაკლებისათვის ბრძოლაში ფართო მუშურ-გლეხურ მასების ჩასაბმელად.

საჭიროა სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკთა ფსიქოლოგიის სავსებით გარდაქმნა და ამასთან ერთად ზეგავლენის გაძლიერება სახელმწიფო, კოოპერატიულ, სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციებზე, რათა განხორციელებულ იქნენ დასახული ამოცანები ფასების, განსაკუთრებით, საცალო ფასების დაკლების დარგში.

§ 7. აღნიშნულ იქნეს, რომ ამიერ-კავკასიის დედა-ქალაქებიდან მიღებულ წინასწარ ცნობების მიხედვით დირექტივა 1 მარტისათვის სამრეწველო საქონელზე საცალო ფასების 3 პროცენტით დაკლების შესახებ შესრულებულია მხოლოდ თბილისში. ამასთანავე, თუ 1 მარტისათვის დედა-ქალაქებში საერთოდ ადგილი აქვს გარდატეხას ფასების დაკლების მხრივ, პროვინციაში კი, როგორც საქალაქო, ისე სასოფლო კოოპერატივებში ეს გარდატეხა კიდევ არ მომხდარა.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ კამპანია ამიერ-კავკასიაში ვითარდებოდა ერთგვარი დაგვიანებით და არა საკმაოდ ფართოდ და ინტენსიურად.

უფრო საგრძნობი გარდატეხა ფასების შემცირების დარგში წინასწარი ცნობითვე უნდა აღინიშნოს დედა-ქალაქებში 1 მარტის შემდეგ, როცა შინა ვაჭრობის სახ. კომისარიატმა გამოაცხადა ახალი დაკლებული ზედნართი და ფასები ზოგიერთ სამრეწველო საქონელზე.

ამის გამო ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახ. კომისარიატმა და ამიერ-კავკასიის კოოპერატიულმა კავშირმა განსაკუთრებული აქტიობა უნდა განავითარონ იმისათვის, რომ ფასების დაკლებისათვის ბრძოლაში ნამდვილად ჩაბან სამაზრო-საქალაქო და სასოფლო კოოპერაცია.

§ 8. აღიარებულ იქნეს, რომ უკანასკნელ ხანებში შემჩნეული ტენდენცია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე საცალო ფასების გადიდებისაკენ ქმნის საფრთხეს იმისა, რომ მუშათა ბიუჯეტისათვის მნიშვნელოვნად მცირდება სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლების რეალური მნიშვნელობა.

ამის გამო, მიეცეს წინადადება ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს და ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ კავშირს განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე საცალო ფასების მაქსიმალურად შემცირების აუცილებლობის საკითხს და მაქსიმალურად გაადიდონ კოოპერაციის როლი იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე, რომელნიც მუშის პროდუქტის არსებით ნაწილს შეადგენენ.

§ 9. წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახ. კომისარიატს და ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ კავშირს ხელი აიღონ ფასების იმგვარ დაკლებაზე, რომელიც იწვევს საცალო ფასების დაკლებას საქონლის ერთეულზე კაპეიკის ნაწილადებში და წესად მიიღონ, რომ მინიმალურად დასაშვები რაოდენობა შემცირებისა არის 1 კაპ. საქონლის ერთეულზე.

§ 10. დაევალოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და პროფკავშირებს მიაქციონ ყურადღება ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და იმას, რომ გასაცემი ფასების დაკლება არ ხდებოდეს პროდუქციის ხარისხის გაუარესების ხარჯზე.

§ 11. დაევალოს ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატს და ამ.-კავკ. კოოპერატიულ კავშირს საჩქაროდ დაამუშაოს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შორის და კერძოდ დედაქალაქებსა და რესპუბლიკების მაზრებს შორის არასაკმაო საქონლის უფრო სწორად განაწილების საკითხი.

§ 12. ამიერ-კავკ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატმა და ამიერ-კავკ. კოოპერატიულმა კავშირმა ფართოდ და ინტენსიურად უნდა განავითარონ მუშაობა ფასების დასაკლებად და მიიღონ ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ პარტიისა და მთავრობის დირექტივა აუცილებლად შესრულდეს სავსებით და აღნიშნულ ვადებში.

ამის უზრუნველსაყოფად აუცილებელია გატარდეს ცხოვრებაში პლენუმის გადაწყვეტილებანი შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის ორგანოების განმტკიცების შესახებ მისი მუშაკების თვისობრივი შემადგენლობის მხრივ.

§ 13. ცნობილ იქნას, რომ ფასების მოძრაობის სტატისტიკური აღრიცხვის არსებული მეთოდები არ იძლევიან საკმაო გარანტიას ნამდვილი სურათის დახატვისათვის ამ დარგში. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფასების უშუალო შემოწმებას და განსაკუთრებით მომხმარებელთა ფართო მასების საზოგადოებრივ კონტროლს, რომელსაც ატარებს მუშათა და გლეხთა ინსპექცია პროფკავშირთა ორგანიზაციებთან ერთად.

§ 14. საქონლის გამტარებელი ქსელის რაციონალიზაციის დარგში პირველ რიგში აუცილებელია შეურყევლად გატარდეს ცხოვრებაში დადგენილებანი მთელ რიგ წარმომადგენლობათა ლიკვიდაციისა და აგრეთვე ყველა იმ წარმომადგენლობათა აპარატის გამარტივებისა და გაიაფების შესახებ, რომელთა არსებობა ცნობილ იქნა მიზანშეწონილად.

§ 15. მოწონებულ იქნას მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ შემუშავებული ღონისძიებანი, რომელთა გატარება აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმისათვის, რომ წარმომადგენლობათა ლიკვიდაციამ გავლენა არ იქონიოს ამიერ-კავკასიაში საქონლის ბრუნვაზე და კერძოთ საქონლის შემოტანაზე და აგრეთვე არ გამოიწვიოს კერძო ვაჭართა გაძლიერება ამ გარდამავალ მომენტში.

§ 16. აღიარებულ იქნას, რომ იმ წარმომადგენლობათა ლიკვიდაცია, რომელთა ფუნქციებს სავსებით შეასრულებენ კოოპერაცია და ადგილობრივი სახვაჭრობა, შეეფერება პარტიის სავაჭრო პოლიტიკას და ხელს უწყობს კოოპერაციის და ადგილობრივი სავაჭრო ორგანოების მნიშვნელოვნად გაძლიერებას.

§ 17. ამასთან დაკავშირებით და აგრეთვე კოოპერაციისა და ადგილობრივი სავაჭრო ორგანოების დატვირთვის მნიშვნელოვნად გადიდების გამო, ადგილობრივ სავაჭრო ორგანოებისათვის იქმნება ობიექტიური პირობები და ეკონომიური საფუძველი მათი აპარატის ნამდვილად გამარტივებისა და გაიაფებისათვის და ზედნართი და სავაჭრო ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირებისათვის, რამაც ბოლოს და ბოლოს ხელი უნდა შეუწყოს ფასების შემდგომ დაკლებას.

§ 18. იმ მიზნით, რომ მომავალში თავიდან იქნას აცილებული ზედმეტ წარმომადგენლობათა წარმოშობა, წინადადება მიეცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციას, რომ ჩატარებული გამოკვლევის შედეგების მიხედვით შეიმუშაოს საკანონმდებლო დადგენილების პროექტი წარმომადგენლობათა გახსნისა, რეგისტრაციისა და აგრეთვე ლიკვიდაციისა და მათი მოქმედების მოწესრიგების შესახებ.

§ 19. წარმომადგენლობათა ლიკვიდაციასთან დაკავშირებით მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა აუცილებლად უნდა გააძლიეროს თავისი მუშაობა ყველა მიღებულ გადაწყვეტილებათა კონტროლისა და შესრულების შემოწმების დარგში, თვალყური ადევნოს ამ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას და ყველა შესაძლებელ დაბრკოლებათა და იმ გადახრათა თავის დროზე თავიდან აცილებას, რომელნიც ეწინააღმდეგებიან პარტიის სავაჭრო პოლიტიკას.

ამიერ კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის გეგმა

(ამხ. ა. ნაზარეტიანის მოხსენების გამო)

I. მოწონებულ იქნას ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის მუშაობათა გეგმა.

II. საგეგმო ამოცანების მიხედვით, რომელნიც ემყარებიან მე-15 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს, წინადადება მიეცეს საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს, რომ თავიანთ მუშაობაში იხელმძღვანელონ შემდეგი დებულებებით:

1) საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითადი ამოცანა არის სახელმწიფო და სამეურნ. მმართველობის მთელი სისტემის შეცვლა იმ მიმართულებით, რომ იგი გაიაფდეს და მაქსიმალურად შეეფარდოს პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე მდგომ პირველ ხარისხოვან პრობლემას—ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას.

2) ამ ძირითადი ამოცანის შესრულება შესაძლოა მხოლოდ იმ პირობით, თუ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში ნამდვილად იქნებიან ჩაბმულნი მშრომელთა ფართო მასები, რისთვისაც საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ამოცანების ირგვლივ აუცილებლად მოვახდინოთ მუშათა და გლეხთა საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია იმ მიზნით, რომ გამოაშკარავებულ იქნას აპარატის ბიუროკრატიზმი, საქმის გაჭიანურება და სხვა ნაკლულოვანებანი.

3) საკონტრ. კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში მშრომელთა მასების ჩაბმის აუცილებელი პირობა არის არა მარტო მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითადი პრაქტიკული ამოცანების რეგულიარული გაშუქება პარტიულთა და უპარტიოთა კრებებზე, არამედ მუშათა და გლეხთა უშუალოდ ჩაბმა გამოკვლევით მუშაობაში და მუშათა და გლეხთა ინსპექციის დასკვნათა და წინადადებათა ერთად განხილვა.

4) მასებთან კავშირი უნდა განხორციელდეს პროფესიონალური კავშირების მთელი სისტემის გასწვრივ, დაწყებული დაბალი საფეხურის უჯრედიდან—საქარხნო კომიტეტებით, საწარმოო თათბირებით, ადგილობრივი და ეკონომკომისიებით და გათავებული ზედა საფეხურის ორგანოებით შეთანხმებული და ერთად მუშაობის ფორმით, როგორც წლიური გეგმების შემუშავების, ისე ცალკე ამოცანათა შესრულების პროცესში.

5) იმ მიზნით, რომ საზოგადოებრივი აზრი წარმატებით დამუშავდეს საკონტროლო კომისის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ამოცანების ირგვლივ, აუცილებელია გაძლიერდეს პრესის აქტიობა იმ მხრივ, რომ გააშუქოს ბიუროკრატიზმის და საქმის გაჭიანურების ყველა შემთხვევები და გაზეთის ფურცლებზე ჰპოვოს გამოხატულება საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყველა დადებითმა მიღწევებმა.

6) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობას. ამისათვის აუცილებელია მაქსიმალურად გაძლიერდეს საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების კავშირი მუშგლეხკორებთან. უზრუნველყოფილ იქნას მათ მიერ გაზეთებში გამოგზავნილი შენიშვნების სრული და თავის დროზე გამოკვლევა.

7) მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასებთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი რგოლთაგანი არის საჩივართა ბიურო, რომლის ამოცანას შეადგენს მასებთან უშუალო კავშირის გზით გამოაშკარავოს სახელმწიფო აპარატის ნაკლულოვანებანი; ამიტომ აუცილებელია ყოველმხრივ გამოცოცხლდეს საჩივართა ბიუროს მუშაობა, დამყარდეს მჭიდრო კავშირი პროფკავშირთა ორგანიზაციებთან, ჩაბმულ იქნან ეს ორგანიზაციები ამ საჩივართა განხილვაში და მიღებულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების შემოწმებაში.

8) სახელმწიფო აპარატის ყოველმხრივ გაჯანსაღება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ნამდვილად იქნება აღმოფხვრილი მმართველობის ძველი ფორმები და მეთოდები. ამიტომ საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს თავისი მუშაობა. ბიუროკრატიზმთან, საქმის გაჭიანურებასთან, ნათლიმამობასთან, მშრომელთა აბუჩად აგდებასთან დაუნდობელი ბრძოლის ხაზით და აგრეთვე იმ ხაზით, რომ სახელმწიფო აპარატი სავსებით რეალურად იქნას დაახლოებული მასებთან, გაკიცხულ იქნას ნაკლულოვანებანი და პასუხისგებაში იქნან მიცემული დამნაშავენი მიუხედავად მათი მდგომარეობისა.

9) სამეურნეო აღმშენებლობის აქტუალური ამოცანა არის ფასების დაკლების პრობლემა. ამის მიხედვით საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ყურადღებით უნდა ადევნონ თვალი ფასების დაკლების შესახებ დირექტივის შესრულებას სამეურნეო ორგანოების მიერ, რისთვისაც საბჭოთა საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით აუცილებელია მივაღწიოთ ნამდვილ კონტროლს ამ დირექტივის გატარებისათვის, გამოაშკარავებულ იქნას მისი დარღვევის შემთხვევები და სასტიკ პასუხისგებაში იქნან მიცემული ის პირნი, რომელნიც არ ატარებენ პარტიის პოლიტიკას და ამის შესახებ პრესის საშუალებით ეცნობოს ფართო მასებს.

10) ფასების დაკლების პრობლემასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული სავაჭრო ორგანოების მეტად მაღალი ზედნართი ხარჯები. საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ აუცილებლად უნდა განაგრძონ მტკიცე კურსი ზედნართი ხარჯების შემცირებაზე და ზედმეტი საქონლის გამტარებელი ქსელის გაუქმებაზე, რომელნიც მძიმე ტვირთად აწვებიან საქონლის ღირებულებას და ქმნიან სამეურნეო აპარატის ბიუროკრატიზმს.

11) ფასების დაკლების პრობლემასთან უშუალოდ არის დაკავშირებული აგრეთვე საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა მომჭირნეობის რეჟიმის ბრძოლისათვის სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებში, ის მუშაობა, რომელიც სავსებით შეიცავს აპარატის გამარტივებისა და გაიაფების ამოცანებს. ამიტომ მუშათა და გლეხთა ინსპექციამ და საკონტროლო კომისიამ აუცილებლად უნდა გააძლიეროს შემოწმება იმისა, თუ როგორ ასრულებენ სახელმწიფო-სამეურნეო ორგანოები დირექტივებს მომჭირნეობის რეჟიმის დარგში, უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს ანგარიშიანობის შემცირებას და კონტროლის გამარტივებას.

12) რომ უზრუნველყოფილ იქნას პარტიისა და სახელმწიფოს დირექტივების გატარება ცხოვრებაში საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინაშე მდგომი ამოცანების დარგში, და აგრეთვე იმისათვის, რომ თვალყურის დევნება სწარმოებდეს საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინადადებათა ასრულებაზე, ამ უკანასკნელთა ორგანოებმა ამ მიმართულებით უნდა ჩაატარონ ნამდვილი და სისტემატიური საკონტროლო შემოწმებითი მუშაობა.

13) მოწონებულ იქნეს ამიერ-კავკასიის და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ღონისძიებანი ზედმეტ წარმომადგენლობათა ლიკვიდაციისათვის და პრაქტიკული პროგრამა ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის თებერვლის პლენუმის იმ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, რომელნიც კონტროლს შეეხება, შემოწმებას და ფასების დაკლებისათვის ბრძოლაში ფართო მასების ჩაბმას.

ქრონიკა

ამხ. ტერ-მიქაელიანის დანიშვნა

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს საუწყებათაშორისო სატრანსპორტო თათბირის თავმჯდომარის მოადგილედ ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დანიშნა ამხ. ტერ-მიქელიანი.

კომისიის ჩამოსვლა

3 აპრილს, მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა სპეციალური კომისია ქიათურის და ტყიბულის სამთო-მადნო რაიონების შესასწავლად. კომისიაში შედის საკავშირო შრ. სახ. კომისარიატის სანიტ. ინსპექტორები, ინჟინრები და სამთო-მადნო კავშირის თავმჯდომარე ამხ. შვარც. კომისია უკვე გაემგზავრა ქიათურაში.

პრივატ-დოცენტის სახელის მინიჭება

ორშაბათს, საღამოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სხდომაზე მოსმენილ იქნა ორი ლექცია. პირველი ლექცია წაიკითხა მედიცინის დოქტორმა ამაშუკელმა, ხოლო მეორე მედიცინის დოქტორმა მაზვლიაძემ.

სხდომამ მოიწონა ორივე ლექცია და აღძრა შუამდგომლობა უნივერსიტეტის წინაშე, რომ ორივე დოქტორს მიენიჭოს პრივატ-დოცენტის სახელწოდება და აგრეთვე ნება მიეცეს ამაშუკელს წაიკითხოს ტუბერკულოზის ცალკე კურსი სამკურნალო ფაკულტეტზე და მაზვლიაძეს—კერძო კურსი შინაგან მედიცინის ერთ-ერთ დარგში, სახელდობრ ტროპიკულ მედიცინაში, იმავე ფაკულტეტზე.

ტროპიკულ სნეულებათა კურსები

4 აპრილს სახელმწიფო ტროპიკულ ინსტიტუტთან გაიხსნა ტროპიკულ სნეულებათა შემსწავლელი კურსები. კურსებზე ჯერ-ჯერობით ჩარიცხულია 15 კაცი, ყველა ექიმია. კურსების დამთავრების შემდეგ ექიმები დაიგზავნებიან საქართველოს იმ მაზრებში, სადაც უფრო გავრცელებულია ტროპიკული სნეულებები. კურსები სამთვიანია. ხელმძღვანელებად მოწვეულნი არიან ტროპიკულ ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ვირსალაძე, ნათიშვილი, ელიაშვილი და სხვ.

სატყეო ტექნიკუმები

განათლების სახალხო კომისარიატში 4 აპრილს შედგა საგანგებო თათბირი სატყეო ტექნიკუმების დაარსების შესახებ. თათბირს დაესწრო განათლების და მიწათმოქმედების კომისარიატების, სახელმწიფო უნივერსიტეტის და მიწა-ტყის მუშაკთა პროფესიონალური კავშირის წარმომადგენლები.

თათბირმა განიხილა სატყეო ტექნიკუმების დაარსების საკითხი და გადასწყვიტა სატყეო მუშაკთა მომზადების მიზნით რესპუბლიკაში გახსნას ორი სატყეო ტექნიკუმი, ერთი თბილისში და მეორე ბორჯომში.

ამჟამად საქართველოში არც ერთი სატყეო სასწავლებელი არ არსებობს.

ცენტრალურ სამკურნალოს გადაკეთება

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებამ გამოჰყო სპეციალური კომისია ექ. არაჯიშვილის, ა. ცომაიას, ლ. წერეთლის, ზანზიბარიძის და სხვების შემადგენლობით, რომელთაც დაევალათ ერთი კვირის განმავლობაში, ჩატარონ გამოკვლევა ცენტრალური სამკურნალოს და ცენტრალური ამბულატორიის პოლიკლინიკად გადაკეთების შესახებ.

9.200 კილოგრამი ჩაი

ა.-კ. კოოპ. კავშ. რუსეთიდან მიიღო 9.200 კილოგრამი ჩაი. ჩაის ეს რაოდენობა კავშირმა გაანაწილა ა.-კ. კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის.

თბილისის მუშკოოპს მიეცა—2000 კილოგრამი, „ზაკტპა"-ს—1300 კილოგრ., „მეომარ"-ს—600 კილოგრ. და ცეკავშირს—1.500 კილოგრამი.

ჩაის დანარჩენი რაოდენობა დანაწილდა აზერბეიჯანის, სომხეთის და აფხაზეთის კოოპერატივებს შორის.

საექიმო დახმარება

დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმე მთლიანად გადავიდა ჯანმრთელობის ორგანოების ხელში. ამასთან დაკავშირებით, რესპუბლიკის სოცდაზღვევის სამმართველოს დადგენილებით, საანგარიშო წიგნაკების დაზღვევის ნაწილის შევსებაც დაევალა ჯანმრთელობის დაწესებულებებს.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ ფსიქო-ტექნიკური შემოწმება. 15 აპრილიდან პროფ. უზნაძის ხელმძღვანელობით დაიწყება ვატმანების და შოფერების ფსიქო-ტექნიკური გამოცდა.

◆ ფოთის ნავთსადგურის მტვირთავ მუშაკების ჯანმრთელობის გამოსაკვლევად ადგილობრივ მივლინებული იქნა ექ. ხმალაძე.

განათლების კომისარიატში

◆ საბავშვო ლიტერატურა. პოლიტგანათლების მთავარ სამმართველომ გადასწყვიტა მაზრებისათვის საბავშვო ლიტერატურის სისტემატიურად მისაწოდებლად სკოლის გარეშე განათლების სახლთან დაარსოს სპეციალური კომისია.

◆ სარწმუნოებრივ ფანატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით პოლიტგანათლების მთავარ განყოფილებამ გადასწყვიტა გამოსცეს პოპულიარული წიგნაკები ადგილობრივ ენებზე.

◆ „წიგნის მეგობარი". პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო ახლო ხანში განაახლებს ჟურ. „წიგნის მეგობარის" გამოცემას.

◆ „საწერ კალამი". განათლების კომისარიატის წინაშე აღიძრა შუამდგომლობა „საწერ კალმისათვის" საბიბლიოთეკო ნივთების დამზადების და გაყიდვის მონოპოლიის უფლების გადაცემის შესახებ.

◆ სახელმწიფო უნივერსიტეტს საზღვარგარეთ საჭირო ნივთების შესაძენად გადაეცა 20.000 მანეთი.

◆ სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობაში სამეცნიერო მუშაკთა სექციიდან წევრად დაინიშნა პროფ. ახვლედიანი.

მიწად-მოქ. კომისარიატში

◆ „საბალოსნო" მეურნეობასთან არსებული ვაზის შემეცნობის კურსები წელს დაამთავრა 80 გლეხმა. პრაქტიკაზე სამუშაოდ დატოვებულ იქნა 30 კაცი.

◆ აბრეშუმის თესლი. მეაბრეშუმეობის სადგურს ქუთაისში წინადადება მიეცა წელს დამზადოს აბრეშუმის თესლი. ამ თესლის დამზადებას ექნება საცდელი ხასიათი.

შემთხვევები

◆ მორგებული გასაღების საშუალებით 4 აპრილს შტაბის ქ. № 2 გაქურდეს ვლადიმერ დანელიას ბინა. წაიღეს 165 მ. ნივთები.

◆ კარების შემტვრევის საშუალებით 4 აპრილს ნაკადის ქ. № 11 გაქურდეს თამარა ოსიტაშვილის ბინა. წაიღეს 150 მ. ნივთები.

◆ შეპყრობა. 4 აპრილს ქურდობისათვის დააპატიმრეს გიორგი ვოროზოვი და იოსებ სულემანოვი.

◆ უცნობ პირებმა 4 აპრილს ბებუთოვის ქ. № 54 ივანე ზროკეს ბინიდან მოიპარეს წყალსადენის მილები.

◆ ყალბი საშუალებით „ზაკგოსტორგიდან" საქონლის გამოტანისათვის შეიპყრეს მიხეილ გიორგის ძე ლოლაძე.

აფერისტი დროზდოვსკი

1926 წ. 15 ივნისს ა.-კ. რკ. გზების სალიანდაგო დარგის სამოქალაქო მშენებლობის ნაწილის უფროსად დაინიშნა მოქ. დროზდოვსკი. მის მიერ შევსებულ საანკეტო ფურცელში აღნიშნული იყო, რომ ის არის ინჟინერი.

ეხლა გამოირკვა, რომ დროზდოვსკი არ არის ინჟინერი.

ინჟინერის წოდების მითვისებისათვის, ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. გ. ჩხეიძემ გამოსცა ბრძანება დროზდოვსკის სამსახურიდან მოხსნის შესახებ.

პირველი აპრილიდან დროზდოვსკი მოხსნილია სამსახურიდან.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის № 75 გამოქვეყნებული საქართველოს ცაკის წევრთა სიაში შეცდომით გამოტოვებულია ცაკის წევრი ამხ. აკაკი თათარიშვილი.

სამოსამართლ. ორგანოები

დასავლეთ საქართველოში

ამ რამოდენიმე ხნის წინათ ჩატარდა სამოსამართლო ორგანოების გადაჯგუფება დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლო რაიონში, რომელიც შეიცავს შემდეგ 8 მაზრებს: ქუთაისის, შორაპნის, ოზურგეთის, ზუგდიდის, რაჭის, ლეჩხუმის, ქვედა და ზედა სვანეთის მაზრებს.

დასავლეთ საქართველოს რაიონში იყო სულ 38 სახალხო სასამართლო—აქედან გაუქმდა ორი—ბანძისა და სალხინოს სასამართლოები, და ახლად გაიხსნა სამი სასამართლო: ზუგდიდში, ჩოლურში (სვანეთი) და სვირში. ამ რამდენიმე ხნის წინეთ ჩატარებულმა სასამართლოების მუშაკთა თათბირმა, საჭიროდ სცნო სახალხო სასამართლოების ქსელის გაფართოება ყველა მაზრებში. მაგრამ ამ დადგენილების გატარება სამაზრო აღმასკომებმა ფინანსიური მდგომარეობის უსახსრობის გამო ჯერ ვერ შესძლეს.

გადაჯგუფებამდე მთელს დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს რაიონში მოქმედებდა 25 სახალხო საგამომძიებლო უბანი აქედან გაუქმებულ იქნა სამი უბანი—ბანძის, აბაშის და ხარაგოულის და ახლად გაიხსნა ერთი უბანი ფოთში.

განძეულობის გამოყენება

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მიიღო და ა.-კ. ცაკს წარუდგინა დასამტკიცებლად დადგენილება აღმოჩენილი განძეულობის გამოყენების შესახებ.

აღმოჩენილი განძეულობა უნდა გადაეცეს რესპუბლიკანურ ფინსახკომს; ამ უკანასკნელთან არსდება კომისია ფინსახკომის და იმ აღმასკომის წარმომადგენლებისაგან, რომლის რაიონშიაც იქნა აღმოჩენილი განძეულობა. კომისიაში შედიან აგრეთვე ექსპერტები განძეულობის გამოყენების შესახებ.

მხატვრული და ანტიკვარული მნიშვნელობის განძეულობა გადაეცემა იმ რესპუბლიკის სახკომსაბჭოს, რომლის ტერიტორიაზეც იქნება აღმოჩენილი განძეულობა. დანარჩენი განძეულობა გადადის რესპუბლიკანურ ფინსახკომების განკარგულებაში.

განძეულობის გაყიდვისაგან შემოსული თანხები ნაწილდება შემდეგნაირად: 20 პროც. ეძლევა იმ პირს, რომელიც აღმოაჩენს განძეულობას, 30 პროც. გადადის აღმასკომის ადგილობრივ თანხებში, 50 პროც. კი—რესპუბლიკის შემოსავალში.

ხელოვნება

„სისხლის დღესასწაული". მუშათა თეატრი, ქართული დრამა. დრ. ექვს მოქ. ს. პროკოფიევის მიერ გადმოკეთებული ვოინიჩის რომანიდან „კრაზანა". დადგმა მ. ქორელის.

ინგლისელ მწერალ ქალის ეთელ ლილიან ვოინიჩის რომანის „კრაზანას" სიუჟეტს წარმოადგენს ფარული რევოლიუციონური საზოგადოების „ახალგაზრდა იტალიის" ბრძოლის ისტორია, რომელიც დაარსებულ იქნა მაძინის მიერ 1831 წელს. „ახალგაზრდა იტალია" იბრძოდა დამოუკიდებელ და ერთიან იტალიისათვის. არ გასულა ორი წელი საზოგადოების დაარსებიდან, რომ მისი ორგანიზაციები მოეფინა მთელ იტალია. ავსტრიის პოლიციამ თავის ჯაშუშების და განსაკუთრებით, კათოლიკ მღვდლების შემწეობით, რომელნიც ამჟღავნებდნენ მათთან აღსარებისათვის მოსულ ფარულ ორგანიზაციის წევრებს, მიაგნო ფარული საზოგადოების კვალს, მის ორგანიზაციებს და აიძულა სარდინიის მთავრობა მიეღო სასტიკი ზომები მის წინააღმდეგ. საზოგადოების ბევრი წევრი დაპატიმრებულ და გადასახლებულ იქმნა. 1834 წ. თებერვალში „ახალგაზრდა იტალიის" საზოგადოებამ მოაწყო აჯანყება სავოიაში და ერთი წლის შემდეგ ამბრუცის მთებში, რომ იქიდან გამოეცხადებინათ თავისუფალი და ერთიანი იტალია. მაგრამ არც ერთი ამ გაბედულ გამოსვლათაგანი არ გამართლდა. საზოგადოებამ იარსება 1838 წლამდის, რის შემდეგ შეუერთდა გარიბალდის ნაციონალურ კავშირს.

რომან „კრაზანას" გმირი ნაწილობრივ ატარებს ამ ფარულ საზოგადოების დამაარსებლის მაძინის ხასიათს.

თვით „კრაზანას" და კარდინალ მონტანელის სახით მოცემულია ნება-შეუდრეკ ბაირონის გმირების სამოსელში, რომლებიც უმალ მზად არიან დასთმონ ყველაფერი, გარდა თავისი „მე"-სი.

რომანს რევოლიუცი. შინაარსი, მისი სოციალური ღირებულება—ეკლესიის და სამღვდელოების გამყიდველობა დაუსრულებელ, მომაბეზრებელ დიალოგების, აზრთა გაცვლა გამოცვლის, პაექრობის სახით არის მოცემული, და არა დინამიკაში, მასიურ მოქმედებაში გაშლილი.

ეს მასიური მოქმედებები როგორც პიესაში, ისე დადგმაში უკანა „პლანზე", კულისების მიღმა არის გადატანილი და, რაც მთავარია, ის ვერ არის მოწესრიგებული. მასების აჯანყება მღელვარება რაღაც დაუნაწევრებელ, ყოველგვარ შინაარს და აზრს მოკლებულ ხმაურში არის მოცემული.

მსახ. ბორის გამრეკელის შესრულებაში საკმაოდ კარგად არის დამუშავებული რომანის მთავარი გმირის „კრაზანა"-ს შეუდრეკელი, დაგეხილი და გაუგებარი ხასიათი. მსახ. იმედაშვილი (კარდინალი მონტანელი) ვერ გამოვიდა თავის გადათამაშებულ ფსევდო-კლასიკურ რეპერტუარიდან. ჩვეულებრივ გულწრფელობით და განცდით იქნა შესრულებული ჯემმას როლი ვეროკო ანჯაფარიძის მიერ. დანარჩენ შემსრულებლებში აღსანიშნავია: გვინჩიძე, ძნელაძე, თ. თვალიაშვილი, ჭუმბურიძე და ღვინიანი.

შხეფი.

სამუშაო დღის განსაზღვრა კინო-მსახიობებისათვის

შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებაში შედგა საგანგებო თათბირი დღიურად მომუშავე კინო-მსახიობების სამუშაო დღის განსაზღვრის შესახებ. თათბირზე გამოირკვა, რომ საქართველოს კინო-მრეწველობაში არ არის განსაზღვრული დღიურად მომუშავე მსახიობების სამუშაო დღე. თათბირმა დაადგინა: დღიურად მომუშავე კინო მსახიობებისათვის სამუშაო დღეთ დაწესებულ იქნას 6 საათი. ამავე დროს კინო-მრეწველობის ადმინისტრაციას მიეცეს უფლება დააწესოს მუშაობის ორჯერ შეწყვეტა თითო საათის შესვენებით, იმ ანგარიშით, რომ სურათის გადაღება არ უნდა გაგრძელდეს რვა საათზე მეტს, ხოლო ღამე სურათის გადაღების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 6 საათს.

ხელოვნების ქრონიკა

◆ „ლოენგრინ". დღეს ოპერის თეატრში მიდის ოპერა „ლოენგრინ".

◆ ფოთის დრამის სეზონი დამთავრდება 30 აპრილს.

◆ მსახიობ იუზა ზარდალიშვილი შეუდგა მსახიობთა კოლექტივის შედგენას. კოლექტივი ზაფხულის განმავლობაში წარმოდგენებს გამართავს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებში.

◆ „ბელლა დონნა". დაიწყო „არფასტოსა" და „სოლეიში" ახალი სურათის: „ბელლა დონნას" ჩვენება. დადგმა ე. ლიუბიჩის.

— „რობერტ ტიმი", რომელიც დადგმული უნდა ყოფილიყო მუშათა თეატრში სამშაბათს 5 აპრილს, უფასო თანამშრომელთა სასარგებლოდ, ორი მსახიობის ავადმყოფობის გამო გადაიდო 7 აპრილისათვის.

საახალშენო საქმე

1926 წლის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა ადგილებში მოეწყო ახალშენები, სადაც დასახლებული იქნა ულარიბესი და უმიწაწყლო გლეხები. ცალკე მაზრების მიხედვით ახალშენები მოეწყო გორის მაზრაში 15 კომლისათვის, დუშეთის მაზრაში—23 კომლისათვის, თელავის მაზრაში—20 კომლისათვის, სიღნაღის მაზრაში—6 კომლისათვის და თბილისის მაზრაში—151 კომლისათვის. სულ მთელი წლის განმავლობაში მოეწყო 5 ახალშენი, რომლებშიაც დასახლებული იქნა 447 კომლი.

სასამართლო

განაჩენი ტერ-იოანესიანცის საქმეზე

სასამართლომ ტერ-იოანესიანცს (თამბაქოს არტელ „ლევ"-ის ყოფილი თანამშრომელი) მოხსნა ბრალდება 79 ფუთი თამბაქოს მითვისების შესახებ.

ტერ-იოანესიანცი დამნაშავედ იქნა ცნობილი 606 მანეთის მითვისებაში და ყალბი საბუთების შედგენაში, რისთვისაც მიესაჯა მას 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ტერ-იოანესიანცს ჩაეთვალა წინასწარი დაპატიმრება, რის გამო ის განთავისუფლდა სასჯელისაგან.

მოქალაქე ნაბახტიანის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს უფროსმა გამომძიებელმა ს. მესარკიშვილმა დაასრულა წინასწარი გამოძიება შაქრის ტრესტის თბილისის განყ. პირველი ფარდულის ყოფილ გამგის მიხეილ ნაბახტიანის საქმეზე.

ნაბახტიანს აღმოაჩნდა 4.292 მანეთის დანაკლისი.

საქმე გადაეცა პროკურატურას.

ბოროტმოქმედება ცეკავშირში

(დ. ლორთქიფანიძის საქმე)

გუშინდელ სხდომაზე დაკითხულ იქნა მთელი რიგი მოწმეებისა.

მოწმე **დემუროვი** (ცეკავშირის ექსპედიტორი) და **ლოსკუტოვი** (საფინანსო ნაწილის გამგე) აღნიშნავენ, რომ ბრალდებული ლორთქიფანიძე სამსახურში დიდი ნდობით სარგებლობდა.

მოწმე ლოსკუტოვი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ლორთქიფანიძეს საფინანსო განყოფილებაში არ შეუტანია არც ერთი განცხადება ფულის მიღებების შესახებ.

მოწმე **შარაშიძე, მაისურაძე და მახაჯაშვილი** მოუთხრობენ სასამართლოს, რომ ხშირი იყო შემთხვევები, როცა ისინი ცეკავშირიდან ღებულობდნენ ფულს ლორთქიფანიძისათვის გადასაცემად, მაგრამ ყოველთვის კუთვნილებისამებრ აბარებდნენ.

მოწმეების სიტყვით, ლორთქიფანიძე ფულების მიღების დროს მათ ხელწერილებს არ აძლევდა. ამ გარემოებას მოწმეები ხსნიან მით, რომ საერთოდ ასეთი წესი არსებობდა მაშინ ცეკავშირში.

ალ. მალაქიანცის საქმე

გუშინდელ სხდომაზე დაკითხულ მოწმეების ჩვენებიდან გამოირკვა, რომ **მალაქიანცი** სოხუმის სამართლის ტიპია. ერთ-ერთმა მოწმემ, სხვათა შორის სთქვა:

— მე გაგონილი მაქვს, რომ მალაქიანცი კაცის მკვლელი არისო.

გამოირკვა, რომ მოკლულ **ხითაროვისა** და მოქ. **გიორგი კობახიძეს** შორის ცუდი განწყობილება არსებობდა.

კობახიძე წინედ დამუქრებია ხითაროვს დაუთქვამს: დიდი ხნის სიცოცხლე არ გაქვსო.

პროკურორმა **კაკაბიძემ** შუამდგომლობა აღძრა სასამართლოს წინაშე კობახიძის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

სასამართლომ ცოტახნის თათბირის შემდეგ დაადგინა: ვინაიდან მოწმეების ჩვენებიდან გამოირკვა, რომ კობახიძეს მიუძღვის მონაწილეობა მოქ. ხითაროვის მოკვლაში, ამიტომ კობახიძე პასუხისგებაში იქნას მიცემული.

მოქ. კობახიძე გუშინვე დააპატიმრეს.

კობახიძის საქმე დაერთო მალაქიანცის საქმეს და გადაეცა გამომძიებელს დამატებითი გამოძიების მოსახდენათ.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის № 73-ში სასამართლოს განყოფილებაში მოთავსებულია ცნობა სათაურით „ცილის წამება". ამ ცნობაში მოყვანილ სასამართლოს დადგენილებაში შეიპარა შეცდომა: სწერია „ვართანოვის პასუხისგებაში მიცემა ცილისწამებისათვის სასამართლომ მიზანშეწონილად სცნო", რაც არ შეეფერება სინამდვილეს.

ეთნოგრ.-არქეოლოგიური

გამოფენა

საქ. მუზეუმის გამგეობა შეუდგა სამზადისს დიდი ეთნოგრაფიულ-არქეოლოგიური გამოფენის მოსაწყობად.

გამოფენა გაიხსნება მუზეუმის ახალ შენობაში; გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება საქართველოს ყველა კუთხეები დამახასიათებელი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ექსპონატებით. გამოფენაზე ცალკე განყოფილება დაეთმობა არქეოლოგიას. ამ განყოფილებაში გამოფენილი იქნება საქართველოს ყველა კუთხეებში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები.

სამეურნეო ორგანოების

ხარჯების შემცირება

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ დაამტკიცა დადგენილება იმ სახელმწიფო ორგანოების ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების შესახებ, რომლებიც კომერციული ანგარიშის საფუძვლებზე მოქმედობენ.

დადგენილება ავალებს ფედერატიულ, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ორგანოებს დაუყოვნებლივ შეამცირონ ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები არა ნაკლებ 15 პროცენტისა.

ხარჯების შემცირება უნდა მოხდეს აპარატის სტრუქტურის გამარტივების, შტატების შემოკლების, შენობების ქირის და მივლინებების რიცხვის შემცირების და სხვ. ხარჯზე; ამასთანავე აღნიშნულმა ორგანოებმა უარი უნდა სთქვან იმ ხარჯებზე, რომლებსაც კავშირი არ აქვთ მათ პირდაპირ მოვალეობასთან.

ბიბლიოგრაფია

ВЛ. ОРДЖОНИКИДЗЕ. «ТЕМИ ССР ГРУЗИИ». Их экономические и финансовые возможности.

გვ. 70. ფასი 95 კაპ. საქ. სახელმ. საგეგმო კომისიის გამოცემა

საქართველოს რაიონებათ დაყოფა დიდათაა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ადმინისტრატიულ-სამეურნეო ერთეულების—თემების ჩამოყალიბებაზე. ამ მხრივ, როგორც განაცხადა საბჭოების მე-4 ყრილობაზე ამხ. ფ. მახარაძემ სამი ეტაპი განვლეთ: საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 1923 წლამდე საქართველოში არსებობდა სათემო სისტემა, მაგრამ 1923 წელს—საქართველოს მაზრები ნაცვლად თემისა დაყოფილ იქნა მოზრდილ ერთეულებათ—რაიონებათ. რაიონულმა სისტემამ მალე გამოამჟღავნა თავისი ნაკლი, მისი შეუფარდებლობა საქართველოს მაზრებისათვის მთელ რიგ სამეურნეო, ტოპოგრაფიულ, კულტურულ და ნაციონალურ თავისებურებათა გამო, ამიტომ ცაკის 1925 წლ. 8 იანვრის დადგენილებით მაზრების რაიონებათ დაყოფა უარყოფილ იქნა და შემოღებულ იქნა კვლავ თემების სისტემა მაზრების მთელ ტერიტორიაზე, გარდა აფხაზეთისა, სადაც მაზრები დღემდე თემის საბჭოების სისტემით არსებობს.

ამგვარად გასული წლიდან ჩვენში დამკვიდრდა აღმასკომების და სათემო საბჭოების სისტემა. თემი წარმოადგენს ამიტომ ძირითად, დასაწყის ადმინისტრატიულ და სამეურნეო ერთეულს. თემის მუშაობაზე დამოკიდებულია საბჭოთა აღმშენებლობის წარმატებით მიმდინარეობა სოფლად სამეურნეო, კულტურულ და ადმინისტრატიულის მხრივ. სათემო სისტემა ჯერ კიდევ დაუმუშავებელი და შეუსწავლელია, რომლის გარეშე შეუძლებელია ამ ძირითად სამეურნეო და ადმინისტრატიულ ერთეულის წარმართვა საჭირო გზით.

ვლ. ორჯონიკიძის შრომაც ამ მიზანს ემსახურება და უნდა ითქვას, რომ ის წარმოადგენს საყურადღებო ცდას ჩვენში თემის გამოკვლევის და მეტად საგულისხმიერო ღონისძიებათა დასახვისა, რომელიც ფრიად დიდ დახმარებას გაუწევს ერთის მხრივ ადგილობრივ მომუშავეებს და მეორეს მხრივ სათანადო გარკვეულობას შეიტანს ამ საკითხებში.

ავტორი არ ისახავს, როგორც ნათქვამია რედაქციის წინასიტყვაობაში რაიონებათ და მომავალ ადმინისტრატიულ დაყოფის პრობლემის პრინციპიალურ საკითხთა გაშუქებას. არამედ ცდილობს ჩვენი თემების სტატიკის მოცემას, რაიც ავტორის თქმით გვიადვილებს მომავალში მუშაობას და აგვაცდენს მეტად მნიშვნელოვან შეცდომებსაც. ავტორს უსარგებლია უმთავრესად ოფიციალური მასალებით, როგორიცაა 1925 წლის მაის-ივნისში ცაკის მიერ შეკრებილი ცნობები, საქართველოს ფინანსთა კომისარიატის და საგეგმო კომისიის ცნობები და აგრეთვე სპეციალური ანკეტები-კითხვარები, რომელიც დაგზავნილი ყოფილა ყველა თემებისადმი შესავსებათ.

ავტორის მიზანია აღნუსხოს ის ღონისძიებანი, რომლითაც შესაძლებელი იქნება თემის ბიუჯეტის გაჯანსაღება, თემის ფინანსიურ-ეკონომიურ შესაძლებლობათა გაძლიერება და ადმინისტრატიულ დაწესებულებათა რაციონალური გამოყენება. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა ადგილობრივი ბიუჯეტს ახასიათებს მაღალი ხარჯები ადმინისტრაციის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის. უმაღლესი საბჭოთა ორგანოები კი ყოველმხრივ მიისწრაფვიან, რათა მინიმუმამდე შეამცირონ ადმინისტრატიული ხარჯები, რომ ამ საშუალებით მიღებული ეკონომია გამოყენებულ იქნას ნაწილობრივ მაინც ადგილობრივ კულტურულ და სამეურნეო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამ მიზნით აუცილებელია ადგილობრივი ბიუჯეტის გასაჯანსაღებლად მცირდება არა მარტო არსებული შტატები, ქსელი და საოპერაციო ხარჯები ადმინისტრაციულ ორგანოების, არამედ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ადმინისტრატიულ-სამეურნეო ერთეულთა (თემების) საერთო რაოდენობაც. ასე მაგ., მთელ (ცენტრალურ საქართველოში (ავტონომიურ ერთეულთა გარეშე) იყო 457 თემი და 63 სოფლის საბჭო, ხოლო რეფორმის გატარების შემდეგ დარჩა 392 თემი და 22 სოფლის საბჭო.

ავტორი დაწვრილებით ეხება, თუ რა პრინციპები უნდა დაედვას ადმინისტრატიულ-სამეურნეო ერთეულთა შემცირებას, როგორ ხარჯებს უნდა მიეკუთვნოს უპირატესობა თემის ბიუჯეტში და რა პერსპექტივები ეშლება ჩვენს თემებს ბიუჯეტის გაჯანსაღების და საერთოდ თემის ეკონომიურად მოღონიერებისათვის. ამხ. ორჯონიკიძე სამართლიანად აღნიშნავს იმ უდაო დებულებას, რომ „თემის მეურნეობა არ წარმოადგენს განცალკევებულს, არამედ ის არის ნაწილი მთლიანი მთელის—სახელმწიფო მეურნეობის და, ამიტომ, ჩვენი თემების ეკონომიური სისუსტე აიხსნება საქართველოს ეკონომიური უძლურებით და ჩამორჩენილობით". ამიტომ თემის მეურნეობის წინსვლა მჭიდროთ უკავშირდება და პირდაპირ გამომდინარეობს სახელმწიფო მეურნეობის განვითარება-მოღონიერებისაგან.

საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის გამაგრება, მისი წინსვლა გახდება უეჭველი საწინდარი სათემო მეურნეობის, როგორც შემადგენელ ნაწილის გაჯანსაღებისათვის. მდიდარი ფაქტიური მასალებით ის გვაძლევს საყურადღებო გამოკვლევას საქართველოს თემის და მისი ფინანსიურ-ეკონომიურ შესაძლებლობათა შესახებ. გაუგებარია თუ რისთვის გამოდის ესოდენ მნიშვნელოვანი წიგნი რუსულ და არა ქართულ ენაზე. აუცილებელი არის მისი თარგმნა.

ახალი.

არქეოლოგიური გათხრა

წყალთა სამმართველოს მიერ სამგორის ველზე წარმოებულ საგამოკვლევო მუშაობის დროს არქეოლოგმა **გ. ნიორაძემ** მოახდინა სამგორის ველის ერთ-ერთი დიდი კორღანის გათხრა.

არქეოლოგების აზრით, სამგორის ველის სახელწოდება წარმოშობილია იქიდან, რომ აღნიშნულ ველზე ქრისტეს დაბადებამდე რამოდენიმე საუკუნით ადრე ქართველთა წინაპრებს გაუკეთებიათ ხელოვნური სამი გორაკი, ანუ სამი კორღანი. ძველ დროში კორღანი ძეგლს წარმოადგენდა. როდესაც რომელიმე ტომს მოუკვდებოდა მეთაური, გვამს დასდებდენ მიწის პირზე და ზედ მიწას დააყრიდენ. ასეთი კორღნები საქართველოში ძლიერ იშვიათი მოვლენაა და ამის გამო სამგორის სამი კორღანიც დიდ ინტერესს წარმოადგენს.

პირველ კორღანში არქ. გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით გათხრილ იქნა ექვსი საჟენის სიღრმის საცდელი ჭა. კორღანის ფსკერზე იპოვნეს ძველებური თიხის ჭურჭლები, რომელთაც ხმარობდენ ქრისტეს დაბადებამდე. ჭურჭლები უკვე ჩამოიტანეს თბილისში.

ახლო ხანში განზრახულია მოხდეს პირველი კორღანის უფრო საფუძვლიანი შესწავლა და დანარჩენი ორი კორღანის გათხრა.

ტელეგრაფისტების

კონკურსი

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ მიიღო პირობები ტელეგრაფისტების პირველ საკავშირო კონკურსისა, რომელიც იხსნება მოსკოვში 20 მაისს.

კონკურსი ჩატარებული იქნება კლოპფერის, ბოდოს, იუზის და სიმენსის სისტემის აპარატებზე. დაჯილდოვებული ტელეგრაფისტები გაგზავნილი იქნებიან იტალიაში, სადაც ისინი მონაწილეობას მიიღებენ ტელეგრაფისტების საერთაშორისო კონკურსში 1927 წლის სექტემბერში.

საბჭოთა კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს ამიერ კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს ჩაატაროს ადგილობრივი და საოლქო კონკურსები, რომელზედაც მოწვეული უნდა იქნენ საუკეთესო ტელეგრაფისტები.

ადგილობრივი კონკურსებისათვის ჯილდოთ დაწესებულია 100 მანეთი, საოლქო (ამიერ-კავკასიის) კონკურსებისათვის კი—400 მანეთი.

მეცნიერება და ტექნიკა

სახლები ტორფიდან

გერმანიაში უკანასკნელ ხანებში ძლიერ გავრცელდა იაფი, სტანდარტული ტიპის სახლები გამომშრალ, დაპრესილ ტორფიდან. სახლის ჩონჩხი კეთდება ფოლადიდან. ჩონჩხის ჩარჩოებში ამაგრებენ ტორფის ფირფიტებს.

ტორფი სითბოს ცუდი გამტარია და ამიტომ მისგან გაკეთებულ შენობებში ზამთრობით სითბოა. დაპრესილი ტორფი მეტად მშრალია და ეს საშუალება აძლევს სახლის პატრონს ჩასახლდეს ბინაში, როგორც კი შენობის შეკრებას დაამთავრებენ.

უდიდესი ჰიდრო-სადგური შეერთებულ შტატებში

ზრახულია აგება ახალი უზარმაზარი ელექტრო სადგურის. ახალი სადგურისათვის აგებული იქნება ჯებირი მდ. სალიურზე. ამ ჯებირის საშუალებით მოეწყობა ტბა, რომლის სიგრძე იქნება 50 ვერსი, განი—5 ვერსი. სადგურის აგება ჯდება 400 მილიონი მანეთი.

ფუტკრები და ღამურები ბაღებისათვის

ამერიკელი აგრონომები ურჩევენ ფერმერებს, რომლებიც სპეციალურად ხეხილის მოვლა-მოშენებას მისდევენ, თვალყური ადევნონ, რომ ბაღებში ხეხილის ყვავილობის დროს, საკმაოთ მოიპოვებოდეს ფუტკარი. თუ ბაღი დიდია, აგრონომების რჩევით, ფერმერმა უნდა იყოლიოს საკუთარი სკა, რადგან გამორკვეულია, რომ წარსულ ზაფხულზე, მიუხედავად იმისა, რომ ამინდი ხელსაყრელი იყო, ხეხილმა კარგი მოსავალი არ გამოიღო, რადგან ყვავილების უმრავლესობა გაუნაყოფიერებელი დარჩა.

მებაღის მეტად სასარგებლო მოკავშირეს წარმოადგენს აგრეთვე ღამურა, რომელიც სპობს მწერებს და პეპლებს, რომლებიც კვერცხებს დებენ ყვავილებში. ღამურების კუჭის განკვეთის დროს აღმოჩნდა, რომ ღამის პეპლები შეადგენენ მისი საკვების 95 პროცენტს. ღამურები სპობენ აგრეთვე დიდძალ კოღოებს და ამით ხელს უწყობენ მალარიასთან ბრძოლას.

უხილავი სხივები ნისლში

ერთი ახალგაზრდა ამერიკელი გამომგონებელი, რომელიც „უხილავ სხივებზე" მუშაობს, ამუშავებს ახალ გამოგონებას—შუქურას უხილავ სხივებიდან. მან გამოარკვია, რომ ასეთი სხივები შეიძლება გაიგზავნოს ყოველგვარი მიმართულებით, 30 მილის მანძილზე, ნისლში, კვამლში ან თოვლში. გემზე, აეროპლანზე ან ორთქლმავალზე დადგმულია სპეციალი ფოტოელექტრონული კამერა, რომელიც აკავებს ამ სხივებს, რომლებიც კამერაში იწყებენ ნათებას.

ნარევი

მოტოციკლი ფოტო-რეპორტაჟისათვის

ერთმა ფოტო-რეპორტიორმა ბერლინში მოაწყო მოტოციკლი გვერდის ეტლით, რომელიც სპეციალურად დანიშნულია საკორესპონდენტო მუშაობისათვის. ეტლს აქვს კოშკისებური ფორმა და შესაძლებლობას აძლევს ფოტოგრაფს ამაღლებული ადგილიდან გადაიღოს სურათები. იგივე ეტლი შეიძლება გადაქცეულ იქნეს ბნელ ოთახად, სადაც ფოტო-რეპორტიორი გამოამჟღავნებს გადაღებულ ნეგატივს.

ბანკები შეერთებულ შტატებში

შეერთებულ შტატებში სპეციალური საანკეტო გამოკვლევა მოახდინეს ბანკების რიცხვის გამოსარკვევად. გამოირკვა, რომ საშუალოდ თითოეულ 4.500 მცხოვრებზე მოდის ერთი ბანკი. აღმოსავლეთის ყველაზე უფრო დასახლებულ შტატებში ერთი ბანკი მოდის 7.500 მცხოვრებზე; დასავლეთში და სამხრეთში კი—1.500 კაცზე და ზოგჯერ 800 კაცზეც. რასაკვირველია, ბანკების უმრავლესობის კაპიტალი მცირეა—საშუალოდ 100.000 დოლარს არ აღემატება.

აისედორა დუნკან „ერთობა"

ცნობილმა მოცეკვავემ აისედორა დუნკანმა, რომელიც ამჟამად უცხოეთში იმყოფება, კვლავ აალაპარაკა უსაქმო საზოგადოება თავის უკანასკნელი „სენსაციური" საქციელით. ერთ დღეს, ნიცაში ზღვის ნაპირას სეირნობის დროს, აისედორა დუნკანი გადავარდა ზღვაში. ამ დროს შემთხვევით ახლო მყოფი ინგლისელი კაპიტანი პეტერსონი გადახტა წყალში და ამოიყვანა ნაპირზე გრძნობა დაკარგული მოცეკვავე ქალი. გაყინული აისედორა დუნკანი წაიღეს სასტუმროში და შეუდგენ გრძნობაზე მოყვანას. როგორც კი გონს მოვიდა ა. დუნკანმა სიცილით განაცხადა:

— იცით, მე სანაძლეო მოვიგე.

გამოირკვა, რომ აისედორა დუნკანს სანაძლეო დაუდვია ინგლისელ კინო-რეჟისორ ინგრამთან, რომ ღამით, თავის ახალ ტანსაცმელში ტან დაიბანს ზღვაში.

რეკლამა... სასაფლაოზე

ლონგ-აილენდის (კუნძულია ნიუ-იორკის ახლო) სასაფლაოზე, ერთ-ერთ ძეგლზე ასეთი წარწერაა გაკეთებული:

„აქ განისვენებს ანი გოპკინს. მას შეეძლო კიდევ დიდხანს ეცოცხლა, რომ ესარგებლა კარტონსისა და კომპ. პარფიუმერიითა და კოსმეტიკით".

როგორც „ნიუ-იორკ ჰერალდი" იუწყება, განსვენებული გამოჩენილი მსახიობი იყო და თავის სიცოცხლეში მიჰყიდა კარტონსის ფირმას თავის საფლავზე ასეთი სარეკლამო ძეგლის დადგმის უფლება".

იურიდიული დახმარება

ალმასკომის გალის მუშაკ. ამხანაგ დავ. გვაზავას.

პასუხი

როგორც თქვენი შეკითხვიდან სჩანს, თქვენ [illegible] აქვსენცილ-შ[illegible] მეავიას [illegible] ერთსა და იმავე ბინიდან ჩასახლებულნართ (სწვაგან) ერთ ბინაში. ბინის ქირას იხდით [illegible] ურთიერთშორის და იხდიდით კიდევ [illegible] თანასწორად. აქედან ცხადია, რომ თქვენ და მეავიას გაქვთ თანასწორი უფლებები აღნიშნული ბინის სარგებლობისა და ფლობისა. ორივე მხარენი ითვლებით ერთი და იმავე ბინის ამა თუ იმ საცხოვრებელ ფართობის (ე. ი. ოთახის ნაწილის) დამქირავებლად და ორივე მხარეზე აუცილებლად ვრცელდება ყველა ის წესები, რომლებიც გათვალისწინებულია საბინაო ტარიფის მე-22 მუხლში. ამიტომ მოქ. მეავიას არა აქვს არავითარი უფლება მოითხოვოს თქვენი გამოსახლება, ვინაიდან თქვენ სრულებით არა ხართ მისი სტუმარი, არამედ ითვლებით საერთო ოთახის განსაკუთრებული ნაწილის იურიდიულად დამოუკიდებელ მობინადრეთ.

ზუგდიდის მცხოვრებ პროფკავშირის წევრს ალ. ხა—იას.

პასუხი

ქორწინების „მმაჩის" რეგისტრაციაში გატარება დაწესებულია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივ ინტერესების თვალსაზრისით და მასთან იგი შემოღებულია იმ მიზნითაც, რომ სრულიად უდავოთ და უფრო ადვილად შეიძლებოდეს მეუღლეთა და ბავშვთა პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვა, ვინაიდან რეგისტრაცია ქორწინების ფაქტს უდავოთ ხდის სასამართლოსა და მესამე პირისათვის. „მმაჩის" რეგისტრაციაში ქორწინების გატარება უდავო ფაქტად ხდის მეუღლეობას ყოველივე აქედან გამომდინარე პირადი და ქონებრივი უფლებებით ბავშვთა და მეუღლეთათვის. თუმცა ურეგისტრაციო (ე. ი. ფაქტიური) მეუღლეობა ქმნის მეუღლეთა რეგისტრაციაქმნილი ქორწინება, მაგრამ ასეთ მეუღლეთა და ბავშვთა უფლებები არ არის ისე უზრუნველყოფილი, როგორც რეგისტრაციაქმნილ ქორწინებაში. მეუღლეობის უდავობა ასეთ შემთხვევაში არ არის მესამე პირთათვის ისე ცხადი და თვალსაჩინო, როგორც პირველში. სწორედ ამისათვის მეუღლეთა და ბავშვთა ინტერესების და უფლებათა უაღრესად დაცვის მიზნით საბჭოთა კანონმდებლობა აძლევს მოქალაქეთ უფლებას თავიანთი ფაქტიური მეუღლეობა გაატარონ ყოველთვის (თავიანთი სურვილისამებრ) რეგისტრაციაში.

ამგვარად იურიდიული თვალსაზრისით არ არსებობს არავითარი განსხვავება რეგისტრაციაქმნილი და ურეგისტრაციო მეუღლეობას შორის. მეუღლენი და შვილები ორივე სახის მეუღლეობაში სრულუფლებიანი არის ყველაფერში, ხოლო რეგისტრაცია კი აშკარას (უდავო ფაქტად) ხდის მეუღლეობას და მისი მიზანშეწონილობა ცხადზე უცხადესია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 14/90

ა.-კ. შინა-ვაჭრობის რწმუნებულისა საქართველოში

1927 მარტის 28

შაქარზე ფასების დაწესების შესახებ

თანახმად ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა.-წ. მარტის 23-ს დადგენილებისა №- 13-128, და შესაცვლელად და დამატებად ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის 1926 წ. დეკემბრის 29-ს დადგენილებისა № 28-76 და ა.-წ. თებერვლის 4-ს დადგენილებისა, № 6-82, ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

§ 1.

დაწესებულ იქნეს სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის და აგრეთვე კერძო ვაჭრებისათვის შემდეგი მაქსიმალური საზღვრითი საცალო საგასაცემო ფასები რაფინად შაქარზე ყველა იმ ქალაქებისა და ადგილებისათვის, რომელნიც რკინის გზის ხაზზე მდებარეობენ:

	ნატეხი შაქარი	ნახერხი შაქარი	ნაჭრობ. შაქარი	თავი შაქარი
1 კილოგრ.	75 კ.	76 კ.	73. კ.	71 კ.

შენიშვნა: თბილისსა და ბათომში თავი შაქარი გაცემული უნდა იქნეს შემდეგ ფასებში: 1 კილოგრ.—71 კ.

დაწესებულ იქნეს რაფინად შაქარზე შემდეგი მაქსიმალური-საზღვრითი საცალო საგასაცემო ფასები ყველა იმ სოფლის კოოპერატივისათვის, რომელიც დაშორებულია რკინის გზის ლიანდაგიდან:

1 კილოგრ.	ნატეხი შაქარი	ნახერხი შაქარი	ნაჭრობ. შაქარი	თავი შაქარი
1-დან 25 კილ-მეტრ.	77 კ.	78 კ.	75 კ.	73 კ.
25-დან 50-მდე	78 კ.	79 კ.	76 კ.	74 კ.
50-დან 75-მდე	79 კ.	80 კ.	77 კ.	75 კ.
75-დან ზევით	80 კ.	81 კ.	78 კ.	76 კ.

§ 3

დაწესებულ იქნეს სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის და აგრეთვე კერძო ვაჭრებისათვის შემდეგი მაქსიმალური-საზღვრითი საცალო საგასაცემო ფასები ფხვნილ შაქარზე ყველა იმ ქალაქებისა და ადგილებისათვის, რომელნიც რკინის გზის ხაზზე მდებარეობენ:

	ფხვნილი შაქარი
1 კილოგრამი	65 კ.

შენიშვნა: 1. ქ. თბილისში ფხვნილი შაქარი გაცემულ უნდა იქნეს შემდეგ ფასებში: 1 კილოგრამი—63 კ.

შენიშვნა: ქ. ბათომში ფხვნილი შაქარი გაცემულ უნდა იქნეს შემდეგ ფასებში: 1 კილოგრამმი — 64 კაპ.

დაწესებულ იქნეს ფხვნილ შაქარზე შემდეგი მაქსიმალური-საზღვრითი საცალო საგასაცემო ფასები ყველა იმ სოფლის კოოპერატივებისათვის, რომელიც დაშორებულია რკინის გზის ლიანდაგიდან:

	ფხვნილი შაქარი 1 კილოგრამმი
1-დან 25 კილომეტრამდე	67 კაპ.
25-დან 50 „	68 კ.
50-დან 75 „	69 კ.
75-დან და ზევით	70 კ.

§ 5

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინა-ვაჭრობის კომისიას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალ-ყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 6

ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

§ 7

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში **ათაბეკოვი.**

შ.-ვ. მომწესრიგებელი განყოფილების უფროსი **ბერელაშვილი.**

დადგენილება № 16

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოსი

საქართველოს სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შედგენის ვადისა და წესის შესახებ.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს ს.ს.რ. ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას შეადგინოს და წარუდგინოს არა უგვიანეს 1927 წლის ივლისის 15-სა საქართველოს ს.ს.რ. ეკონომიურ საბჭოს დასამტკიცებლად საქართველოს სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრები 1927—28 წლისათვის.

2. საქართველოს ს.ს.რ. ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას უფლება აქვს დაავალოს საქართველოს სახალხო კომისარიატებსა და სხვა ცენტრ. დაწესებულებებს საქართველოს სახალხო მეურნეობის ცალკე დარგთა საკონტროლო ციფრების შედგენა, მისი პროგრამის მიხედვით და მის მიერ დაწესებულ ვადაზე.

3. საქართველოს ს.ს.რ. ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას უფლება აქვს: 1) მოიწვიოს წინა მუხლში აღნიშნულ უწყებათა პასუხისმგებელი წარმომადგენელნი საქართველოს სახალხო მეურნეობის სათანადო დარგების საკონტროლო ციფრების შედგენაში მონაწილეობისათვის და 2) მოსთხოვოს ზემოაღნიშნულ უწყებათ და დაწესებულებათ, აგრეთვე საქართველოს ს.ს.რ. ტერიტორიაზე მომქმედ სახელმწიფო (საერთო-საკავშირო და ფედერატიულ), კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებებს და საწარმოთ საკონტროლო ციფრების შესადგენად საჭირო ყველა ცნობის წარდგენა მის მიერ დაწესებულ ვადაზე.

4. დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას ყოველ ორ კვირაში ერთხელ წარუდგინოს ხოლმე საქართველოს ს.ს.რ. ეკონომიურ საბჭოს მოხსენება საკონტროლო ციფრების შედგენისათვის წარმოებული მუშაობის მსვლელობის შესახებ.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1927 წ. მარტის 15-ს.

თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— ოთხშაბათს 6 აპრილს დღის 2 საათზე ს. კ. პ. (ბ) ცეკას მდივნის ამხ. კახიანის კაბინეტში შესდგება **ცეკას კინო-კომისიის სხდომა,** რომელზედაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ბერია, სუტირინი, ასრიბეკოვი, დუდუჩავა, ყურულაშვილი, დ. კანდელაკი, მაჭავარიანი (ც. კ. ახ. ლ. კ.), არუსლანოვი და შუშანია.

— ოთხშაბათს 6 აპრილს საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტპროპის გამგის ამხ. თათარიშვილის კაბინეტში შესდგება **უმაღლეს სასწავლებელთა წარმომადგენლების თათბირი,** რომელზედაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: კანდელაკი, სმირნოვი, ერქომაიშვილი, სულაქველიძე, თალაკვაძე, მეძმარიაშვილი, ზახაროვი, ასრიბეკოვი, ბუდილიევი, არუთინოვი და ორაგველიძე. (ს. ა. ლ. კ. კ. ცეკა)

დღის წესრიგი: 1) უმაღ. სას-ში კათედრასთან დატოვებულთა შესახებ (კანდელაკი და სმირნოვი) 2) აკადემიურ წმენდის შედეგები (თალაკვაძე) და 3) მეცნიერულ თანამშრომელთა შორის მუშაობის შესახებ.

— ლენრაიონის მ. გ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ ოთხშაბათს 6 აპრილს საღამოს 6 საათზე შესდგება სადელეგატო კრების ქართული ჯგუფის მეცადინეობა პლეხანოვის სახ. კლუბის ქალთა კუთხეში. დასწრება ყველა დელეგატებისა სავალდებულოა, ვისაც საპატიო მიზეზით არ შეუძლიან დასწრება—ევალებათ წარმოადგინონ ქალთა ორგანიზატორებიდან სათანადო ცნობა.

ამავე დღეს (6 აპრილს საღამოს 6 საათზე ლენრაიკომის შენობაში) შესდგება ქალთა ორგანიზატორების თათბირი. დღის წესრიგი არის: 1. პიონერ-კოლექტივებში მუშაობის შესახებ, 2. დელეგატების საანგარიშო კამპანია, 3. მიმდინარე საკითხები.—ყველა ქალთა ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

ლენრაიკომის ქალთა განყოფილება.

— ა. წ. 6 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე შესდგება საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის [illegible] კოლეგიის სხდომა. სავალდებულოა კოლეგიის ყველა წევრების დასწრება დაუგვიანებლად.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს 6 აპრილს საღამოს 6 საათზე, ქალაქის რაიკომის შენობაში შესდგება ქალაქის რაიონის ყველა უჯრედთა მდივნების თათბირი, რომელიც განიხილავს საკითხს, თუ როგორ უნდა იქნას დამუშავებული უჯრედთა კრებებზე საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ცირკულიარი მასიური მუშაობის შესახებ.

გამოცხადება სავალდებულოა.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 6 აპრილს, საღამოს 5 ნახ. საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში შესდგება არსენალის რაიონის ქალთა სადელეგატო კრება.

სავალდებულოა ყველა დელეგატების დასწრება დაუგვიანებლად.

— საქართველოს ცენტრალური საკონტროლო კომისია სთხოვს გომბორის თემკომის მდივანს გამოცხადდეს 6—7 აპრილს საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. № 24, მესამე სართული, ოთახი № 12).

— საქართველოს ცენტრალური საკონტროლო კომისია სთხოვს საგარეჯოს თემკომის მდივანს გამოცხადდეს 6—7 აპრილს საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული, ოთახი № 12).

— საქართველოს ცენტრალური საკონტროლო კომისია სთხოვს მარტყოფის თემკომის მდივანს გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპექტი № 24, მესამე სართული ოთახი № 12).

— საქართველოს ცენტრალური საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. არჩილ დიმიტრიძე მუქტარიძეს გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში (რუსთ. პროსპ. 24 მესამე სართული, ოთახი № 12) 5. 6 აპრილს 9 საათზე.

— ხუთშაბათს ა. წ. 7 აპრილს საღამოს 5 საათზე შესდგება საქ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისიის სხდომა. სავალდებულოა საკონტროლო კომისიის წევრების და აგრეთვე იმ პირთა დასწრება, რომელთა საქმეები გარჩეულ უნდა იქნეს საკონტროლო კომისიის მიერ.

ელისაბედ გლახუნის ასული ბერეჟიანისა, შვილებით მწუხარებით იუწყება, რომ პარასკევს, 8 აპრილს, ქ. ოზურგეთში გადახდილი იქნება დაუვიწყარ

ივანე ნიკოლოზის ძე

ბერეჟიანის

წლის წირვა და პანაშიდი 2328

---

5 აპრილს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ეკატერინე სვიმონის ასული

რატიშვილისა

რასაც მწუხარებით აუწყებენ შვილები ალექსანდრა, ვლადიმერი და ნიკოლოზი, რძალი ელენე და სიძე ვასილი ხახანაშვილი შვილებითურთ. გამოსვენება ოთხშაბათს, 6 აპრილს, ბინიდან (ძნელაძის, ყოფ. საპიროს, მესახევი № 3) ნაშუადღევს, 4 საათზე და დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 2327

მამიდები ნინო ნაკაშიძე, ეკატერინე კრემერი მეუღლით და შვილებით, მარიამ ნაკაშიძე მეუღლით და ლიზა ანთაძე, ბიძები: სამსონ, ალექსანდრე და იოსებ მეუღლებით, ძმები: დიომიდე, ლეო და რეზო ანთაძეები მწუხარებით აცხადებენ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტის საყვარელ და დაუვიწყარ

ვიქტორია (ნინო) დავითის ასული

ანთაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე, 7 აპრილს ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე. გამოსვენება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან (ყოფ. მიხეილის) კამოს ქ. № 49.
2—1 2333

თავზარდაცემული მეუღლე ივანე მალაქიასძე მუსელიანი, შვილები: ვახტანგ, ელიზბარ, ოთარა და შუქურა, ძმები: ლეო და გრიშა აბაიშვილები, და მანია შვილებითურთ; მამა დარისპანი, დედა დარიკო, სიძე ლეო სურგულაძე, აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 3 აპრილს დილის 12 საათ. გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი, საყვარელი და დაუვიწყარი

ნადია დარისპანის ასული

მუსელიანისა

რომლის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 7 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე, სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე, ორბელიანის ქუჩა. ტელეგრაფის ხიბო № 4 2336

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის თანამშრომელნი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს ამავე კომისარიატის თანამშრომლის ამხ. ივანე მალაქიასძე მუსელიანის მეუღლის

ნადეჟდა დარისპანის ასული

მუსელიანის

უდროოდ გარდაცვალებას 2335

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 6 აპრილს მე-3 აბონემენტის მეათე წარმოდგენა ლოენგრინ
მაზოველცკაიას, სკიბიცკაიას, კანცბურგის, სანდრო ინაშვილის, შარაშიძის და ქარცივაძის მონაწილეობით.
დირიჟორი ი. ფალიაშვილი
ხუთშაბათს, 7 აპრილს, დ. ხმირნოვის გასტროლი მარგალიტის მაძიებელნი
პარასკევს 8 აპრილს
უკანასკნელად დაისი
ბ. 958

აპოლლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. № 19—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03.
0—4 ბ. 924
მხატვრული შედევრი! ამერიკ. სურათი
„მეორე ახალგაზრდობა"
ლიუს სტონის და კლეო მადისონის მონაწილეობით
მსოფლიო შედევრი! ბელლა დონა
ერნსტ ლიუბიჩის დადგმა
მთავარ როლებში: პოლა ნეგრი, ად. მენჟუ, კონვეი ტირლ
პირველად თბილისში! ყველგან წარმატებით იქნა ნაჩვენები მხატვრული დრამა ამერიკ. ნაწარმ.
„კაპიტანი დუნკანი"
ანნა ნილსონის მონაწილეობით
ანონსი: მალე „სიძულვილის სახლი"
ანონსი: მალე „გოლი" საქართველოს სახკინმრეწვის სურათი

თბილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოება

ამით აცხადებს, რომ პარასკევს, 22 აპრილს, 1927 წ. საღამოს 5 საათზე. საზოგადოების ბინაზე. კომინტერნის ქუჩა № 6, (ყოფილი სასახლის) დანიშნულია

საზოგადოების წევრთა

არაჩვეულებრივი კრება

რომლის საგანს შეადგენს:

1. საბჭოს და გამგეობის ინფორმაციული მოხსენება ბანკის მდგომარეობის შესახებ.
2. თბილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებების გაერთიანების შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

თუ წევრთა კანონიერი რიცხვი ამ დღეს არ გამოცხადდა, მეორე კრება შესდგება შაბათს, 30 აპრილს, იმავე ბინაზე საღამოს 5 საათზე იმავე საკითხების განსახილველად და წესდების ძალით ჩაითვლება კანონიერად, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

ბ. 961.

გამგეობა.

დაკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 351—ლუბა გელაძის სახელზე, ხ. გ. 2332

დაკარგა თბილისის კომუნალურ ბანკის, გორის განყოფილებიდან მოცემული აქცია ორმოცდაათი მანეთის (50) მან. № 516 | 680, ვასო ზაქარიას ძე სამადალაშვილის სახელზე, ხ. გ. 2331

დაკარგა სამთო-მადნო პროფკავშირის წიგნაკი № 2362, პირადობის მოწმობა, სამხედრო აღრიცხვის ნუსხა ხელ-წერილი მოცემული ჩაგლულოვის მიერ, კონსტანტინე დოლობერიძის სახელზე, ხ. გ. 2330

დაკარგა თბილისის ქალ. ბანკის სენაკის განყოფილ. შეძენილი 2 აქციის დროებითი მოწმობა № 240 ილია ფოფხაძის სახელზე, ხ. გ. 2331

დაკარგა დამზღვევ წიგნაკის ტალონი № 451—პეტრე ალექსანდრეს-ძე იოსელიანის სახელზე, ხ. გ. 2326

დაკარგა განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 5668—დომენიკა დეკანოსის-ძე მაღრაძის სახელზე, ხ. გ. 2329

ანონსი:
ორშაბათიდან 11 აპრილიდან
კინო თეატრებში
აპოლო-არფასტო-სოლეი



დადგმა—ლ. პუშის და ნ. შენგელაიასი
ოპერატორი—მ. კალატოზიშვილი
მთავარ როლებში:
ნატა ვაჩნაძე ა. თაყაიშვილი
ც. წუწუნავა ა. ყარალაშვილი,
ა. იმედაშვილი შ. მელიავა.
ბ. 960

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 9 აპრილს 1927 წ. დღის 3 საათზე სახლში № 23, რუსთაველის პრ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. მოქ. ივლიანე და ვალოდია ჩიქოვანების მოძრავ ქონებას: სასადილოს მოწყობილობა, როგორც საყინულეს, ქვაბებს და სხვ. შეფასებულს 97 მანეთად, სახალხო კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქალ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 30 მარტს 1927 წლ. თარიღით, № 1063, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ბ. 959

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.